გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№402 (461) 21 მარტი-4 აპრილი 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე**

# SOS! SOS! SOS! — სამშობლო საფრთხეშია!

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ამერიკის საელჩომ გამოაქვეყნა დამნაშავე ნაციონალების ასევე დამნაშავე ტელეარხ "რუსთავი-2"-ის მხარდამჭერი განცხადება, რასაც მოჰყვა სულბინძურ სააკიანცკეზერაშვილის მიერ მოქრთამული ევროსასამართლოს მალტელი მოსამართლის სუბიექტური გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზე შეჩერდა საქართველოს უზენაესი სასამართლის დიდი პალატის 9 მოსამართლის ერთსულოვანი განაჩენი — ტელეარხის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების თაობაზე.

ეს გახლდათ ქართული სახელმწიფოებრიობის სულში ჩაფურთხება და ჩვენი სასამართლო ხელისუფლების საჯაროდ შეურაცხყოფა, რაც ქართველებმა არ უნდა გადავყლაპოთ.

ნაცბანდის წევრები და სხვა ყიამყრალები როცა რუსეთის უარყოფით როლზე გვესაუბრებიან ქართული სახელმწიფოს მიმართ, იქნებ გაიხსენონ, რომ კრემლს არასოდეს უკადრებია საქართველოსათვის ის, რაც ევროსასამართლომ აკადრა! შეიძლება კრემლი ჩარეულიყო საქართველოს მიერ ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხის მომზადების პროცესში და მოეხდინა მისი კორექტირება, მაგრამ იგი არასოდეს აკადრებდა ქვეყანას ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ შეცვლას და ჩვენი ქვეყნის ღირსების ფეხქვეშ უხეშად გათელვას.

მაგრამ უფრო მძიმე გამოცდა წინ გველოდება!

საკონსტიტუციო კომისია მუშაობს საქართველოს კონსტიტუციის რედაქტირებაზე, რათა იგი არსებულ პოლიტიკურ რეალობას მიუსადაგოს. საუბარია იმაზე, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის უფლებები უნდა შეიკვეცოს და მისი არჩევა მოხდეს არა პირდაპირი წესით, არამედ პარლამენტის მიერ. ეს მით უმეტეს სასწრაფოდაა გასაკეთებელი იმიტომ, რომ ქვეყანას ჰყავს უთავმოყვარეო, ნაძირალა პრეზიდენტი, ავადსახსენებელი "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნაციონალების აშკარა მხარდამჭერი და მარიონეტი, ამერიკელთა ბოროტი ნებით ივანიშვილისათვის შეტენილი ეთნიკური ურია გიორგი მარგველაშვილი (მისი ბებია გვარად იყო ტეტელმანი), რომელმაც ყველა წესისა და კანონის ფეხებზე დაკიდებით დაიკავა ავლაბრის რეზიდენცია და ისედაც გაძვალტყავებული სახელმწიფო მილიონებს იხდის უმაქნისი პრეზიდენტისა და მისი უმაქნისი ბანდის შენახვისათვის.

ახლა, როცა საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების საკითხი თითქმის მომზადებულია და მას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნების დაუფარავად მსურველი ამერიკელები და მათი ელჩად წოდებული რეზიდენტი იან კელი ღია ტექსტით გამოვიდა მარგველაშვილის მხარდაჭერის მოწოდებით, რადგან კარგად იცის, რომ მას არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ აღარავინ აირჩევს საქართველოს პრეზიდენტად, მისი პოლიტიკური არენიდან გაქრობა კი კიდევ უფრო ამცირებს ნაციონალთა ხელისუფლებაში დაბრუნების ისედაც ნულოვან პერსპექტივას! (ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქართველო კვლავ შერეკილი არაქართველების, პედერასტებისა და ლესბოსელების საჯირითო გახდეს!). არა და, ამის რეალური საშიშროება რომ არსებობს, დაადასტურა ბათუმში მიმდინარე მოვლენებმა.

ამიტომ, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული წინადადებების ამერიკელთა მიერ უკუგდების შემთხვევაში აუცილებელი იქნება ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის მოწყობა ამერიკის საელჩოსთან ელჩ იან კელის გაწვევის და ამერიკელთა მხრიდან საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაურევლობის მოთხოვნით.

ზუსტად იგივე გააკეთა მოლდოვას პრეზიდენტმა დოდონმა, რომელიც საკმაოდ მკაცრად აუწია ყური ამერიკის ელჩს მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

როგორ დავიჯერო, რომ ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმას, რაც მოლდოვის პრეზიდენტმა გააკეთა.

ასევე ძალლად არ უნდა ჩავაგდოთ ევროსასამართლოს მექრთამე მოსამართლის მიერ მიღებული დანაშაულებრივი გადაწყვეტილება და ტელეარხი "რუსთავი-2" სასწრაფოდ დავუბრუნოთ პატრონს!

მოგიწოდებთ ვიმოქმედოთ, რადგან სამშობლო საფრთხეშია!

გაზეთი "ილორი"

## ზაურ აბრალავა: ვისთვის რეკს ზარი?

გვ.6

## ჰამლეტ ჭიპაშვილი: მოვლენები, რომლებმაც გადარია მოსახლეობა

გვ.3



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



## ალექსანდრე ჭაჭია: ქართული ოცნება იმკის იმას, რაც დათესა

გვ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ოცნება იმკის იმას, რაც დათესა

*რატომ გვმოძღვრავენ „გამოსოროსებულები" ტელეეკრანებიდან*



**ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა — ე.წ. ციანიდის საქმემ, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის სასამართლო პროცესმა და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, სებასტიან კურცის განცხადებამ საქართველოში ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების მისაღები ცენტრების გახსნის შესახებ ნათლად წარმოაჩინა:**

1. გრძელდება შეტევა მართლმადიდებლობასა და საპატრიარქოზე — ქართველი ხალხის თვითმყოფადობის შემანარჩუნებელ უკანასკნელ ბურჯზე; ცდილობენ, ამ მაღალი სანდოობის მქონე ინსტიტუციას რეპუტაცია შეულახონ და ხალხს რწმენა დაუკარგონ. რა თქმა უნდა, თვით ეკლესიაშიც არის პრობლემები — ერთმანეთს უპირისპირდებიან მაღალი იერარქიის სასულიერო პირები, მაგრამ პროცესებზე საქართველოში მოქმედი და მის გარეთ არსებული ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური ძალების გავლენაც შესამჩნევია;

2. უზენაესი სასამართლოს მიერ „რუსთავი-2"-ის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების დროებით შეჩერება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ უპრეცედენტოა, თუმცა აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები: საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა და პიარსამსახურების არაკომპეტენტურობა. ამასთანავე, სახელისუფლო სტრუქტურებში ძალიან ბევრია სისხლიანი რეჟიმის, „ნაციონალური მოძრაობის", მოქმედი თუ ყოფილი, ამჟამად კი „ქართულ ოცნებაში" გადაბარგებული წევრი, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელს უტეხენ საქართველოს. სწორედ ნაციონალების მიერ წარდგენილმა კადრმა სტრასბურგის სასამართლოში, იუსტიციის ყოფილი მინისტრის, ამჟამად ძებნილი ზურაბ ადეიშვილის მოადგილემ შეუწყო ხელი ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში „რუსთავი-2"-ის საქმის გახმაურებას და მასზე არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

აღსანიშნავია, რომ სანამ გირგვლიანების თითქმის მთელი ოჯახი არ დაიღუპა და „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ნაწამები სულხან მოლაშვილი სიკვდილის პირას არ მივიდა, მათ მიერ რამდენიმე წლის წინათ შეტანილ საჩივრებზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ახლა კი რამდენიმე წუთში მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვერდიქტის შეჩერების შესახებ, ამასთანავე, დააკმაყოფილა შს ყოფილი მინისტრის — ვანო მერაბიშვილის მოთხოვნები. ამ ყველაფრის უკან კი სწორედ ნაციონალი მოსამართლე, სააკაშვილის ჯალათი რეჟიმის წარმომადგენელი დგას. ეს ყველაფერი არის „ქართული ოცნების" მხრიდან სამართლიანობის აღდგენაზე თვალის დახუჭვის, ე.წ. კოაბიტაციის, აგრეთვე, არაკომპეტენტური კადრების შერჩევის შედეგი, ანუ „ქართული ოცნება" იმკის იმას, რაც დათესა;

3. საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი პირველი პირების მხრიდან დუმილი ეუთოს თავმჯდომარის, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ სებასტიან კურცის განცხადებაზე, საქართველოში შეიძლება ახლო აღმოსავლელი მიგრანტების მიმღები ცენტრები განთავსდესო, ნიშნავს, რომ ქვეყანას, რომელშიც 300 ათასამდე დევნილია, ხელისუფლება არ ჰყავს; რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელსაც საპროტესტო ნოტები უნდა გაეგზავნა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისთვის, მაგრამ ამის ნაცვლად დუმს, ფეხებზე ჰკიდია ქვეყნის ბედი. ასე იმიტომ ხდება, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლება გაძეძგილია ყოველივე ქართულისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლი სოროსის ფონდისა თუ სხვა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე, „ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრებით. თუმცა რაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თვითონ ბიძინა ივანიშვილის მიერ პრეზიდენტად დასმული გიორგი მარგველაშვილი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ავნოს ქართულ სახელმწიფოს.

ხელისუფლების სათავეში ასეთი ადამიანების მოყვანის გამოა დღეს საქართველო ასეთ დუხჭირ დღეში, მაგრამ სწორედ ეს გამოსოროსებულები სხედან დღეს „რუსთავი-2"-ის ეთერში და გვმოძღვრავენ, როგორ ვიცხოვროთ, ჩვენ, ნორმალურმა ადამიანებმა. ეს პროცესები დაიწყო ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც „მოქალაქეთა კავშირის" ხელშეწყობით საქართველოში პირველი ე.წ. არასამთავრობო, სინამდვილეში — დასავლეთის ინტერესების გამტარებელი ანტიქართული ორგანიზაციები შეიქმნა.

სწორედ ამაზე მიუთითებდა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია თავის 15 წლისწინანდელ და არაერთ მომდევნო ინტერვიუში, რომლებშიც გამოთქმული პროგნოზები ზედმიწევნით ახდა და დღესაც აქტუალურია:

„ხელისუფლების საკადრო პოლიტიკის არსი არის პოლიტიკურ არენაზე გაუნათლებელი, გამყიდველი, არაეროვნულად მოაზროვნე, მექრთამე ადამიანების გამოყვანა. თანაც უმეტესობას, თუ ამჩნევთ, ან რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი გააჩნია, ან არაქართული წარმოშობისაა, ან არანორმალური მიდრეკილებების მატარებელია. ასეთი ხალხი ადვილი სამართავია. მეტიც, ხელისუფლება სამართლიანადაა დარწმუნებული, რომ არც ერთი მათგანი ქართველობის დასაცავად ხმას არ აიმაღლებს. ერის ფიზიკური და სულიერი მოსპობისთვის სწორედ ასეთი ხალხია საჭირო" (გაზეთი „ფარტაზის სამრეკლო" №1, ოქტომბერი, 2002 წ.).

დიახ, სწორედ ფსიქიკური ნაკლისა და არანორმალური მიდრეკილების მქონე პირებით გაავსეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა", რათა ადვილად ემართათ თავიანთი ინტერესების გასატარებლად, შემდეგ კი ეს ადამიანები, ლგბტ-პირების, ქალებისა თუ ცხოველების უფლებების დამცველები, რომლებმაც ანტიქართული საქმიანობის გამოცდილება შეიძინეს, სახელისუფლო სავარძლებში წამოასკუპეს.

* ნიშანდობლივია ე.წ. მსოფლიო ფილანტროპის — მილიარდერი ჯორჯ სოროსის მიმართვა „თავისუფლების ინსტიტუტისა" და არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი, რომელშიც მოუწოდებს, სიფხიზლე გამოიჩინონ ადგილობრივი მცხოვრებლების მისწრაფების მიმართ, იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები, რადგან სწორედ ასეთ შემთხვევაში იჩენსო ფაშიზმი თავს (?).

აი რას ამბობდა ამ საკითხზე ალექსანდრე ჭაჭია გაზეთ „ასავალ-დასავალისთვის" მიცემულ ინტერვიუში:

„ახლახან ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჯორჯ სოროსის მიმართვა, რომელიც მან „თავისუფლების ინსტიტუტს" და სხვა მისდამი დაქვემდებარებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გაუგზავნა. მიმართვაში სხვა საზიზღრობებთან ერთად წერია: „იყავით ფხიზლად... ფაშიზმი სწორედ იქ იჩენს თავს, სადაც ჯეროვან შეფასებას ვერ ვაძლევთ ადგილობრივი მოსახლეობის მისწრაფებას — იყვნენ თავიანთი მიწის ბატონ-პატრონები". მაშასადამე, ქართველები, ჯორჯ სოროსის აზრით, ფაშისტებად გადაიქცევიან, თუ საკუთარი მიწის პატრონად იგრძნობენ თავს! დაიწყო უფროსი თაობის სოციალური და მორალური დამცირების პროცესი. უფროს თაობას ლაფს ასხამდნენ „კომუნისტური წარსულისთვის", „ცუდი რუსების" მხარეზე „კარგი გერმანელების" წინააღმდეგ ომში მონაწილეობისთვის, ცხოვრების „არაცივილიზებული" წესისთვის და ა.შ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველთა საშუალო თაობას გაუჭირდა საკუთარი მამების ლანძღვა-გინება, მათი უარყოფა, მით უმეტეს, რომ ამ მამებმა შვილების არც ისეთი ცუდი ბავშვობა უზრუნველყვეს, განათლება მიაღებინეს და არც მთლად ჩამორჩენილი ქვეყანა დაუტოვეს, უფრო მეტიც, საშუალო თაობა (35 წლის ზევით) აღიზარდა და განათლება მიიღო მანამ, სანამ ამ პროცესში სოროსი, ლომაია, ჭიაბერაშვილი, ბერძენიშვილი და სხვა უაღრესად „სიმპათიური" ვაჟკაცები ჩაერივნენ. ამიტომ სათანადო ინსტანციებმა გადაწყვიტეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებიდან ამ საშუალო თაობის ამოგდება, საზოგადოების ფუნქციონირების ყველა სფეროდან მისი განდევნა, რათა წაართვან მას მომდევნო თაობის ჩამოყალიბებაზე გავლენის შესაძლებლობა. დამეთანხმებით, რომ ძნელია, საკუთარი შვილებისთვისაც კი გახდე ავტორიტეტი, თუ უმუშევარი ხარ, არანაირი სოციალური სტატუსი არ გაგაჩნია და ოჯახის შენახვა არ შეგიძლია, ასეთ პირობებში ადამიანი საკუთარ თავსაც კი არ სცემს პატივს, რომ არაფერი ვთქვათ პატივისცემაზე სხვა ადამიანების, თუნდაც, ახლობლების მხრიდან... სწორედ ამიტომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ინიშნებიან 22-26 წლის ახალგაზრდები, რომლებიც „წმენდნენ" მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურებს უფროსი თაობის წარმომადგენლებისგან. ყველაზე სასაცილოა, რომ ისინი ამას აკეთებენ ყოფილი მუშაკების „არაპროფესიონალიზმის" საბაბით, ხოლო გათავისუფლებულ ადგილებზე დანიშნულ თავიანთ თანაკლასელებს, ეზოს ძმაკაცებს წარმოგვიდგენენ, როგორც „გამოცდილ პროფესიონალებს". ჭეშმარიტად, ვუნდერკინდებით მდიდარია სოროსისეული ორგანიზაციები!" (გაზეთი „ასავალ-დასავალი", 2004 წლის სექტემბერი).

**მაღალ სახელისუფლო პოსტებზე დანიშვნა სოროსის ორგანიზაციების სკოლაგამოვლილი 22-26 წლის ახალგაზრდებისა საჭირო იყო იმისთვის, რომ 40 წელს გადაცილებული ადამიანები, რომლებსაც ქვეყნის აშენების სათანადო კომპეტენცია და გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ უარს ამბობდნენ ქვეყნის ნგრევაში მონაწილეობაზე, სამსახურებიდან გაეყარათ და საბოლოოდ ჩაერეცხათ.**

აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: საქართველოს ხელისუფლების პატრონებს — ამერიკელებს, თავიანთ ქვეყანაში მაღალი სახელისუფლო პოსტზე არასოდეს დაუნიშნავთ 20-26 წლის ცხვირმოუხოცავი ღლაპები. ამერიკულ მედიაშიც არავინ ანდობს ახალგაზრდა, გამოუცდელ ჟურნალისტს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე წერას ან გადაცემის წაყვანას. მაგალითად, სახელგანთქმული ჟურნალისტი ლარი კინგი 84 წლისაა, ოპრა უინფრი — 63-ის.

ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის, 71 წლის დონალდ ტრამპის, მთავრობაში კი ყველაზე ახალგაზრდაა შრომის მინისტრი, 48 წლის ალექსანდრე აკოსტა.

* უაღესად მწვავედ აფასებს ალექსანდრე ჭაჭია საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს. მწვავედ ლაპარაკობს, აგრეთვე, საზოგადოების ფართო ფენების დეგრადაციაზე, უღირსებო ხელისუფლების მონურ მორჩილებაზე დასავლეთის მიმართ.

„რაც შეეხება სააკაშვილისა და მისი გუნდის წასვლას პოლიტიკიდან, რომელსაც ბევრი ელის, ამას პრინციპულ საკითხად არ ვთვლი, კოლონიური ქვეყნისთვის არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად ვინ იკავებს პრეზიდენტის სავარძელს. საქართველოში არ არიან დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტები (პარტიები, მოძრაობები, ლიდერები), პოლიტიკური სპექტრი მხარს დაუჭერს მათ, ვისზეც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კურატორები მიუთითებენ. დამოუკიდებელი პოლიტიკური პროცესები თანამედროვე საქართველოში ნაკლებად მოსალოდნელია. პოლიტიკური ძალები ანგაჟირებული, დისკრედიტებული, უავტორიტეტოა. ერის ფართო მასები იზოლირებულნი არიან პოლიტიკური ცხოვრებისგან, ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნავენ, საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან. ის, რასაც ჩვენ საზოგადოებას ვეძახით, დღეს უნებისყოფო, ღირსების გრძნობისგან დაცლილ, დეგრადირებულ კონგლომერატს წარმოადგენს. ღირსეული, ეროვნულად და პატრიოტულად მოაზროვნე საზოგადოება აიტანდა ასეთ სამარცხვინო პოლიტიკურ ელიტას — ფიზიკურად და მორალურად მახინჯთა უჯიშო ჯგუფს? აიტანდა სიტუაციას, როდესაც ხელისუფლების თითქმის მთელი შემადგენლობა — უცხო ქვეყნების (აშშ, ინგლისი, ისრაელი, რუსეთი) მოქალაქეები არიან? ღირსეული საზოგადოება იცეკვებდა მოედანზე იმ დროს, როდესაც ჯარი დამარცხებულია, ტერიტორიები — დაბომბილი, ასობით ახალგაზრდა დაიღუპა და ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა? „რუსთავი-2"-ის ფანტასტიკურ ტყუილს აიტანდა?" (გაზეთი „ალია", 2008 წლის დეკემბერი).

ახლაც ისეთივე ვითარებაა საქართველოში, როგორიც 10 წლის წინათ იყო — წავიდა სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა არც პოლიტიკისა და არც სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში, რადგან საქართველო კვლავ რჩება ამერიკის კოლონიად, რომლის ხელისუფლებამ, ბუნებით ვასალმა და მარიონეტმა, რომელსაც ღირსება არ აქვს, მხოლოდ სიუზერენის მითითებები უნდა შეასრულოს საკუთარი ქვეყნის საზიანოდ. განა ღირსების მქონე ხელისუფლება დაუშვებდა ქართველი ხალხის ჯალათი სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური მოძრაობის" კვლავ პარპაშს ქვეყანაში? განა ღირსების მქონე ხელისუფლება აიტანდა აშშ-ის ელჩის მითითებებს, ვინ დაინიშნოს ამა თუ იმ მინისტრად? განა ღირსების მქონე ხელისუფლება არ გააპროტესტებდა ეუთოს თავმჯდომარის თავხედურ განზრახვას საქართველოში ახლო აღმოსავლელი ლტოლვილების დასახლებაზე? განა ღირსების მქონე ხელისუფლება დაუშვებდა, რომ დასავლეთიდან მართულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციაში გამობრძმედილი კადრები კვლავ სატელევიზიო ეთერში ისხდნენ და თვალში ნაცარს აყრიდნენ მოსახლეობას?

თუმცა ჰყავს კი საქართველოს ხელისუფლება? — საკითხავი აი ეს არის.

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# მოვლენები, რომლებმაც გადარია მოსახლეობა

დამოუკიდებლად არსებობის არცთუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველომ მინიმუმ ოთხჯერ იზეიმა საკუთარი ისტორიის დაწყება. პირველი – 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებში გამარჯვებულმა ე.წ. ეროვნულმა ხელისუფლებამ დააანონსა. მეორე – 1992 წლის ანალოგიურ, მაგრამ ვადამდელ, არჩევნებში გამარჯვებულმა შევარდნაძის ხელისუფლებამ. მესამე – 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულმა სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ხოლო მეოთხე – მათზე, 2012 წელს გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“.

ამ ისტორიული თარიღებიდან მართლაც მნიშვნელოვანი 1990 წელს დაანონსებული ახალი ისტორიის დასაწყისი იყო, ვინაიდან ქვეყნის 70-წლიანი ცხოვრების განმავლობაში, ცხადია კომუნისტურის, კაპიტალისტურზე გადასვლის მაუწყებელი გახლდათ. ყველა დანარჩენს ქვეყნის ისტორიისთვის მნიშვნელობა კი ჰქონდა, მაგრამ „ისტორიულის“ სახელს ვერ ამართლებდა. მიუხედავად სააკაშვილის დაჟინებული სურვილისა – „მისი“ რევოლუცია, ქვეყნის ისტორიის დასაწყისად აღქმულიყო, წარუმატებლად დასრულდა. ხალხმა არ ჩათვალა 2003 წლის რევოლუცია ახალი ერის დასაწყისად.

წინა სამისგან განსხვავებით, „ისტორიულის დაჩემების“ თვალსაზრისით, 2012 წლის არჩევნები, რომელმაც სააკაშვილის ერთმმართველობას მოუღო ბოლო – ისტორიულად არ ჩაითვლება. მას მეტადრედ შეიძლება მტარვალი ხელისუფლების ჩამომგდების სახელი შემორჩეს, რაც ამ გამარჯვების მომსწრეთათვის ას რევოლუციაზე მეტია, მაგრამ ისტორიისთვის არცთუ ისეთი, განსაკუთრებულის სახელი რომ დაერქვას.

მიუხედავად ამისა 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნების“ ბობოლები ამ გამარჯვებას ისტორიულს არქმევენ, თან ისეთს, ქართულ ისტორიაში რომ არ ჰქონია ადგილი, რითაც ქვეცნობიერად მანამდე არსებულ ხელისუფალს და ხელისუფლებას უწევენ რეკლამას, რამეთუ „ისტორიული გამარჯვება“ მოხდა არა სუსტ და უქნარა ხელისუფლებაზე, არამედ ძლიერსა და მზაკვარზე.

სიტყვა „ისტორიულის“ თამაშით იმდენად იყო და არის გართული ხელისუფლება, რომ ნებისმიერ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხს (მეტადრე უმნიშვნელოს) ისტორიულად ნათლავს, რითაც უდავოდ ასუსტებს ამ სიტყვის მნიშვნელობას და მის შინაარსს. 25 წელიწადია წამდაუწუმ ამ სიტყვის ტრიალშია გართული ხელისუფლება და წამითაც არ ფიქრობს გაკეთდა თუ არა რაიმე „ისტორიული“ ქვეყანაში.

სისტემატურად ვუსმენ, ვუყურებ, თვალს ვადევნებ დასავლეთის ელექტრონულ და ბეჭვდით მედიას, ისე, როგორც ჩვენი მეზობელი რუსეთის, სხვების და იშვიათად თუ მოხვდება ყურს აღნიშნული სიტყვა – ხელისუფლების მიღწევების შესამკობად. დავიჯერო, მათ ისეთი რამ მაინც არ გაუკეთებიათ, ჩვენმა რომ გააკეთა და უმალ ისტორიულად მონათლა?

მათ გაკეთებულ საქმეებს თუ თვალს შეავლებთ, ისტორიული კი არა, ჩვენი ხელისუფლების გაგებით, ზეისტორიულიცაა, როგორც სააკაშვილი იტყოდა – ნურას უკაცრავად – ისტორიული სხვაა, გაკეთებულ ყოველდღიურ საქმეებზე მაღალი, მართლაც ისტორიული და არა მხოლოდ სიტყვის მასალად ქცეული – „ისტორიული“.

სულ ახლახანს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ვიცე-პრემიერმა კალაძემ „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით თქვა: „ეს არის ზუსტად ის, რაც ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა 2012 წლის არჩევნების შედეგად, სხვა დემოკრატიულ ღირებულებებთან და საკითხებთან ერთად და ამას, პირველ რიგში, ჩვენი გუნდი არ დათმობს, ვინაიდან ძალიან კარგად გვახსოვს, როგორი იყო ჯიბის სასამართლო და დატერორებული ტელევიზიები. ...სირცხვილია, როცა სრული თავისუფლების პირობებში ყვირიან, რომ იზღუდებიან რამეში“.

„ქართული ოცნების“ ლამის ხუთწლიანი მმართველობის პერიოდში ისეთი წნეხი, როგორიც მედიაზე იყო „ნაცების“ დროს აღარ არის, მაგრამ „ისეთი“ თუ არა, „ასეთი“ მაინც არის, რაც ოპოზიციაში გადაბარგებულ „ნაცებს“ დიდი კრიტიკის საფუძველს აძლევს. ანალოგიური ითქმის მართლმსაჯულებაზეც.

მე არ შევუდგები ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სიბინძურეთა ჩამოთვლას, სააკაშვილისა და „ნაცების“ დიქტატორულ, აუტანელ მმართველობაზე თვალის დახუჭვას, სიცრუის ტირაჟირებას და ა.შ., რამაც მას ქართული აუდიტორიის თვალში დიდი ნეგატიურობა შესძინა. თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ტელეკომპანიას დადებითად აღიქვამენ, ხოტბასაც ასხამენ და მზად არიან მის ეზოში გაშლილ კარვებში (ტელეკომპანიის დაცვის და გადარჩენის მიზნით) ღამეც გაათიონ.

„რუსთავი-2“, ის ტელეკომპანიაა, რომელიც უდავოდ გულზე არ ეხატება „ქართულ ოცნებას“ და მის შემქნელ ივანიშვილს, ვინაიდან ეს, ის ერთადერთი ტელევიზიაა, რომელიც აკრიტიკებს ხელისუფლებას, მილიარდერს, მათ მიერ წამოწყებულ თუ გაკეთებულ საქმეებს. არ მოსწონს მილიარდერის ასწლოვან ხეებთან ჭიდილი, გადატან-გადმოტანის დროს სამანქანო თუ სარკინიგზო კომუნიკაციების შეფერხება და ა.შ.

ივანიშვილსაც არ მოსწონს „რუსთავი-2“, ისე, როგორც სხვა ტელევიზიები. თუ იმ სხვებს, როგორც იქნა უღელი ჩამოადო კისერზე და თავის მორჩილებად აქცია, „რუსთავი-2“-ს ვერაფერი მოუხერხა. საიდან არ უტრიალა და ბოლოს ისევ საკუთრების საქმე არჩია ანუ მესაკუთრე ხალვაშისთვის და მხოლოდ მისთვის დაკარგული ქონების დაბრუნება.

რატომ ხალვაშისთვის და არა სხვა დაზარალებულთათვის? იმიტომ, რომ ხალვაში „რუსთავი-2“-ს უკავშირდება და თუ ის, ივანიშვილის წყალობით დაიბრუნებს ტელეკომპანიას, ვისი კარნახით შეეცდება ივანიშვილისთვის გამაღიზიანებელი ტელევიზიის „გაკეთილშობილებას“?

რა იცის ხალვაშმა ტელევიზიის, საერთოდ ჟურნალისტიკის? არც არაფერი! ამიტომაც სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჯაროებისთანავე განაცხადა, რომ გაყიდის ტელეკომპანიას. ამაში გასაკვირი არაფერია. „მეპატრონეს“ აღარ უნდა და ყიდის, თუმცა არის ერთი პატარა ნიუანსი – უზენაესი სასამართლოს განაჩენის შეუვალობაში დარწმუნებული ხალვაში და კიდევ ვიღაც, გაყიდვის თემას უმალ აჟღერებს, რითაც „რუსთავი-2“-ის ირგვლივ აგორებული საქმის სწრაფი მოგუდვა უნდა და ახალი მფლობელის მიერ, ცხადია ივანიშვილის ბანაკიდან, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა.

არ გამოუვიდათ. „რუსთავი-2“-მა აჯობა – ამოიყენა რა გვერდში სტრასბურგის ევროპული სასამართლო. საქართველოს საზოგადოებამ ნახა, რა ელვისებური სისწრაფით ამუშავდა „რუსთავური“ მანქანა, რა სისწრაფით ეცნობა „ტელევიზიის დასაქცევი“ გადაწყვეტილება ვაშინგტონს, ბრიუსელს, სტრასბურგს, ვინ იცის კიდევ ვის. რა სწრაფად მოხდა აღნიშნული ადრესატების მიერ რეაგირება და „პრორუსთავური“ განცხადებების გაკეთება, საქართველოს ხელისუფლების მკაცრი გაფრთხილება და ა.შ.

ერთობ უხერხულ მდგომარეობაში, უფრო სწორად სტრასბურგისა და ივანიშვილის მიერ აგიზგიზებულ ორ ცეცხლსშუა მოქცეულმა ხელისუფლებამ სულ ის იძახა – რა დემოკრატიულია, როგორ იცავს მედიის თავისუფლებას და გაძლიერებული დაცვის მიზნით „მზად არის დამატებითი გარანტიები შექმნას მედიის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი, ობიექტური საქმიანობის მხარდაჭერისთვის“, რისთვისაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ახალი ინიციატივა ტყორცნა საზოგადოებას – მედია-ომბუდსმენის შექმნის სახით.

ოოო! აი, აქ უდავოდ გვიჩნდება მინიმუმ ორი შეკითხვა – პირველი, ვისგან უნდა დაიცვას ომბუდსმენმა მედია და მეორე – ფული საიდან? სერიოჟას ანეკდოტისა არ იყოს, არ მითხრათ – „ტუმბოჩკიდანო“.

„რუსთავი-2“ შევიწროებაში ივანიშვილსა და ხელისუფლებას ადანაშაულებს და თუ ხელისუფლება შემოიღებს მედია-ომბუდსმენისა და მისი აპარატის საშტატო ერთეულს და დაფინანსების საკითხებს გადაწყვეტს, ვის დაიცავს მთავრობაზე დამოკიდებული ომბუდსმენი? ნუ ჩაერევა ხელისუფლება მედიის საქმეში და არ იქნება საჭირო მედია-ომბუდსმენის შემოღებაც.

სულ ახლახანს ხელისუფლებამ, რთული ეკონომიკურ-ფინანსური ვითარებიდან გამომდინარე, მოუწოდა ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას ქამრების შემოჭერა და საშტატო ერთეულების შემცირება, რასაც მოჰყვა სამინისტროების მხრიდან პატაკი – არათუ საშტატო ერთეულებს შევამცირებთ, ზოგიერთ სამსახურსაც გავაუქმებთო. შემდეგ საზოგადოებას ამცნეს (თუ ეს სინამდვილეს შეეფერება), ვინ რამდენი საშტატო ერთეული შეამცირა და ამ დროს ახალი, სრულიად გაუგებარი მედია-ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღება.

აი რა ბრძანა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა თალაკვაძემ: „საჭირო დაფინანსება შესაძლებელია მოვიძიოთ. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან. არ ვფიქრობ, რომ ეს არის იმდენად ძვირი ინსტიტუტი, რომ დაფინანსების მოპოვება გაჭირდეს“.

დიახ! ასეა, პენსიების მომატება და სოციალური საკითხების მოგვარება უჭირთ. ახალი სამსახურის შექმნა, თანაც გაურკვეველი – არ უჭირთ. რამდენ ნათესავს დაასაქმებენ ალბათ?!

და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც პენსიების ოდენობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების დონეს საგრძნობლად ჩამორჩება, რომ აღარაფერი ვთქვათ საზღვარგარეთის სახელმწიფოებზე. მოვიყვან გაზეთ „საქართველო და მსოფლიო“-ში გამოქვეყნებულ მონაცემებს, რომელიც ნიკა კორიანთელს ეკუთვნის: „რუსეთში საშუალო პენსია 237 დოლარია ანუ 616 ლარი; ბელარუსში – 175 დოლარი ანუ 475 ლარი; ყაზახეთში – 250 დოლარი ანუ 650 ლარი; აზერბაიჯანში – 210 მანათი ანუ 300 ლარი; სომხეთში – 85 დოლარი ანუ 221 ლარი; თურქეთში – 465 დოლარი ანუ 1200 ლარი. აშშ-ი საშუალო პენსია 1500 დოლარია; გერმანიაში – 1200 ევრო; ბულგარეთში – 140 ევრო; რუმინეთში – 175 ევრო; ისრაელში – 1500 დოლარი“.

ამ სტატისტიკის შემყურეს არ უნდა გაუჩნდეს პარლამენტარ თალაკვაძის მსგავსი ფუქსავატური მოსაზრება ახალი სამსახურის შექმნის თაობაზე, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც მშვიდად უყურებს საპარტნიორო ფონდის უფროსის (საგანელიძე) თვიურ ხელფასს 31.000 ლარი ანდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მარეგულირებელი კომისიების, რკინიგზის ხელმძღვანელობის, სხვათა და სხვათა უკიდეგანო ხელფასებს, ხელფასზე დანამატებს და პრემიებს, სულაც იოლად შეხედავს ახალი სამსახურის შექმნისთვის გადაყრილ თანხებს.

პარლამენტარების, აღმასრულებელი ხელისუფლების, ბანკირების, სხვა მაღალჩინოსანთა რეაქციას არ იწვევს ნავთობზე ფასების კატასტროფული მატება. 2017 წლის იანვრიდან აქციზის ღირებულებამ ერთ ლიტრ საწვავის ფასში 15%-ით მოიმატა. 2016 წლის დეკემბრიდან თებერვლის ბოლომდე საწვავის ფასი 18.26%-ით გაიზარდა, მაშინ, როდესაც თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში მსოფლიოს ბაზარზე 10%-ით შემცირდა ნავთობის ფასი.

ნავთობკომპანიები უსამართლოდ გაბერილი ტარიფებით მოქმედებენ, სახელმწიფო კი მშვიდად უყურებს ამ საშინელებას, რამაც კატასტროფულად გაზარდა ფასები კვების პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, მედიკამენტებზე, მომსახურებაზე, პამპერსებზეც კი და ა.შ.

ხელისუფლებას ხალხისთვის რაიმე დასამშვიდებელი სათქმელი არ აქვს და ნაცვლად ამისა ცირკს სთავაზობს „რუსთავი-2“-ის, საპატრიარქოს ისტორიების სახით. ხელისუფლებას არც იმის ახსნა შეუძლია, რა ხდება ლართან მიმართებაში, რამ გამოიწვია ლარის კურსის ვარდნა, ხოლო შემდეგ თავბრუდამხვევი გამაგრება და მოქმედებს თუ არა ესოდენ სწრაფი აწევ-დაწევა ეკონომიკაზე. მაგრამ ხელისუფლება იქნებ სულაც არ არის თავში?

იქნებ თავში ისაა, ვინც ეს ხელისუფლება მოიყვანა ქვეყნის სათავეში, თვითონ კი დროს ხეების გადარგვა-გადმორგვაში, მოშინაურებულ ცხოველებთან თამაშში კლავს?! იქნებ მან წამოიწყო მისთვის მიუღებელი „რუსთავი-2“-ის საქმე? იქნებ მას სურს მედიის ისე მოთოკვა, რომ ვერვინ გაბედოს მისი სახელის აუგად ხსენება?

თუ როგორ ღიზიანდება ივანიშვილი ჟურნალისტის მიერ დასმულ არასასიამოვნო კითხვაზე, საქართველოს ტელემაყურებელმა არაერთხელ იხილა.

ზემომოყვანილი სიტყვა „იქნებ“ მოვაშოროთ წინადადებას და მივიღებთ იმ რეალობას, რასაც ქვეყანაში აქვს ადგილი. აღნიშნულ მოსაზრებას ძალაუნებურად გვიმტკიცებს „GDS“-ელი“ მაღლაფერიძის კონკურსში „გამარჯვება“, რამაც მას და მის „მშობელ“ ბიძინას საზოგადოებრივი ტელევიზია ჩაუგდო ხელში.

ჯერი „რუსთავი-2“-ზე მიდგა, მაგრამ არ გამოუვიდა, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით. მაგრამ მას არ გამოუვიდა? არა, ის ჩრდილშია. არ ჩანს. ვინც ჩანს – ხელისუფლებაა. ასეც დაფიქსირდა სტრასბურგში – „ბრძოლა „რუსთავი-2“-სა და ხელისუფლებას (საქართველოს) შორის“. არადა უნდა ამ ხელისუფლებას ასეთი თავსატკივარი?

როდესაც მათ გასუქებულ ლოყებს უყურებ – ჭარბი ჭამის შედეგს და ქონში ჩაფლულ თვალებს, უმალ იფიქრებ, რომ მათ მშვიდად ყოფნა უნდათ, ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე. კონფლიქტის, ტვინის ჭყლეტვის, ფიქრისა და განსჯისთვის არ მოსულან ისინი ხელისუფლებაში. ისინი მშვიდი ცხოვრებისთვის მოვიდნენ, კაპიტალის დაგროვებისა და უცხოეთში მოგზაურობისთვის. ბიძინა კი, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად, ხან რას გამოიგონებს და ხან რას, რითაც აიძულებს ხელისუფალთ იმოძრაონ, ცუდათ, მაგრამ იმოძრაონ.

და ისინიც მოძრაობენ და მოძრაობაში უხეშ შეცდომებსაც უშვებენ, რამაც გააუარესა, ისედაც მძიმე სოციალური ყოფა. ერთმანეთს წაჰკიდა „რუსთავი-2“-ის მომხრე და მოწინააღმდეგეები, ხოლო საპატრიარქოსთან დაკავშირებულმა ამბავმა ხომ გადარია, ისედაც წონასწორობადაკარგული მოსახლეობა. და ეს ყველაფერი ახალი ხელისუფლების მოღვაწეობის დასაწყისში. წინ კი 4 წელიწადია. რამდენი ასეთი ბრძოლის გადატანა მოუწევს ხალხს?

რამდენ ექსპერიმენტს უნდა გაუძლოს მან? იქნებ, ვიდრე გვიან არ არის, თავი დაგვანებოს და წავიდეს, თვითონაც დაისვენოს და ხალხიც დაასვენოს. მაგრამ ახალიც რომ ბიძინას დასანიშნი იქნება და უეჭველად ისეთივე „ყოჩაღი“ აღმოჩნდება, როგორც „ვუნდერკინდი“ ღარიბაშვილი ან „გაწონასწორებული“ კვირიკაშვილი?

არ ყოფილა ჩვენი საშველი. არისო – იტყვის მავანი – ბიძინა წავიდესო. კი ბატონო, წავიდეს, მაგრამ საიდან? არავითარი თანამდებობა მას რომ არ აქვს? ქვეყნიდან კი ის წამსვლელი არ არის. ანდა რატომ უნდა წავიდეს? ნუთუ სხვაგან მას ისეთი განსაკუთრებული მდგომარეობა ექნება, როგორც აქ?!

უგვირგვინო, გვირგვინოსანია ის და ამ პოზიციას დათმობს?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

ყველაფერი გააფუჭა საოლქო კომიტეტის მდივანმა გრიგორი მოისეენკომ. მან ყველა კარტი ერთმანეთში აჭრა და წინააღმდეგ წავიდა, რომ ნიკიტა პრეზიდიუმში შეეყვანათ.

– ამხანაგი ხრუშჩოვი აქტიური ტროცკისტია, – თქვა მან, – და მას არ ეკუთვნის ჩვენს პრეზიდიუმში ჯდომა.

ეს გახლდათ დიდი დარტყმა მომავალი ბელადის თავმოყვარეობასა და გეგმებზე. მაგრამ არც მოისეენკოსათვის დასრულდა ეს ყველაფერი კარგად. როცა ხრუშჩოვი ძალას მოიკრებს, იგი მას დახვრეტს როგორც ხალხის მტერს. მაგრამ ეს მოხდება გვიან, მაშინ კი ხრუშჩოვი ფიქრობდა როგორ გადაერჩინა მდგომარეობა და, როგორც იტყვიან – მშრალი გამოსულიყო წყლიდან. და მან იპოვნა ერთადერთი სწორი გამოსავალი. აი, როგორ მოგვითხრობს ამის თაობაზე სიცოცხლის მიწურულს თავად კაგანოვიჩი, თავის "სამახსოვრო ჩანაწერებში":

"კონფერენციის მუშაობის დროს, წერდა იგი, – ჩემთან მოვიდა კონფერენციის დელეგატი ამხანაგი ხრუშჩოვი და მითხრა: თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ მე გიცნობთ. თქვენ ჩვენთან ჩამოხვედით 1917 წელს როგორც ამხანაგი კოშეროვიჩი. აი, მე თქვენ მოგმართავთ პირად საკითხზე. მე აქ მუშაობა მეტად მიმძიმს. საქმე იმაშია, რომ 1923-1024 წელსში მე მხარს ვუჭერდი ტროცკისტთა გამოსვლებს და 1924 წლის ბოლოს შევიგნე ჩემი დანაშაული. ვაღიარე ჩემი შეცდომა, მაგრამ ახლა ყველანი ამაზე მიკიჟინებენ, განსაკუთრებით კი საოლქო კომიტეტის მდივანი მოისეენკო. ჩვენმა დელეგაციამ მხარი დამიჭირა პრეზიდიუმის წევრობაზე, მე კი არ შემიყვანეს. როგორც ჩანს, მე აქ მუშაობის საშუალებას არ მომცემენ.. მე გთხოვთ, როგორც უკრაინის ცეკას გენერალურ მდივანს, რომ გადამიყვანოთ სხვა სამუშაოზე".

როცა კაგანოვიჩს უკრაინაში აგზავნიდა, სტალინმა გააფრთხილა იგი მოსალოდნელ სიძნელეებთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორც ლაზარ მოისეევიჩი იხსენებდა, სტალინმა მას ნახევრადხუმრობით უთხრა, რომ უკრაინის პოლიტბიუროში, ყოველ საკითხთან დაკავშირებით, მუდმივად დომინირებს 14 აზრი. კაგანოვიჩი არ დაეთანხმა და მოახსენა, რომ უკრაინის პოლიტბიუროში სულ 7 კაცია და 14 აზრი არ შეიძლება იყოსო. სტალინმა უპასუხა: "ჯერ პოლიტბიუროს ერთი წევრის აზრი განსხვავდება მეორის აზრისაგან – გამოდის 7 აზრი, მერე კი პოლიტბიუროს თითოეული წევრის აზრი განსხვავდება საკუთარი აზრისაგან – გამოდის კიდევ 7 აზრი და საბოლოო ჯამში ვიღებთ 14 აზრს. თქვენ ეს უნდა დაძლიოთ. ტყუილად კი არ ამბობენ, სადაც ორი უკრაინელია, იქვე სამი გეტმანი არსებობსო".

სტალინი ცოტა ხანი ჩუმად იყო და შემდეგ დაუმატა:

– იქ ადგილობრივ კადრებს მიადევნე თვალი, საზრიანი მუშები უნდა დავაწინაუროთ პარტიულ სამუშაოზე.

ამ განწყობით მოხვდა ზემდგომთა თვალსაწიერში ნიკიტა ხრუშჩოვი.

"ხრუშჩოვმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, – წერდა ლაზარ მოისეევიჩი, – მე მომხიბლა საკუთარი შეცდომების მისეულმა პირდაპირმა აღიარებამ და მდგომარეობის ფხიზელმა შეფასებამ. მე დავპირდი, რომ ხარკოვში დაბრუნებისთანავე (ხარკოვი მაშინ უკრაინის დედაქალაქი იყო) მოვიფიქრებდი, თუ სად გადავიყვანდი მას სამუშაოდ".

ეს გახლდათ პირველი შეხვედრა, რომელმაც სათავე დაუდო ხრუშჩოვის პოლიტიკურ კარიერას.

არსებობს იმის ეჭვი, რომ კაგანოვიჩმა შესთავაზა გრიგორი მოისეენკოს ხრუშჩოვის აყვანა საოლქო კომიტეტში და მისთვის თვალყურის დევნება. მხოლოდ ამით შეიძლება იმის ახსნა, რომ კონფერენციის შემდეგ ხრუშჩოვი დაინიშნა სტალინოს საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. ახლა იგი მუშაობდა გრიგორი მოისეენკოს ხელმძღვანელობით და მონდომებით ასრულებდა მის ყველა დავალებას. უფრო მეტიც – მან დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა გუშინდელ თანამოაზრე ტროცკისტებს. იგი აშინებდა ყველას, ვინც სამოქალაქო ომის პერიოდში ებრძოდა ბოლშევიკებს და მხარს უჭერდა ტროცკისტულ პლატფორმას.

მაგრამ გრიგორი მოისეენკო მაინც სკეპტიკურად უყურებდა მის ამგვარ მონდომებას. ნიკიტას ამგვარი უცაბედი იდეოლოგიური სახეცვლილება სიფრთხილისაკენ უბიძგებდა მოისეენკოს და ისიც ამუხრუჭებდა ხოლმე ხრუშჩოვის ინიციატივებს.

მალე საოლქო კომიტეტში დაირხა ხმები, რომ მოისეენკომ ვერ გაამართლა პარტიის ნდობა და მას მალე მოხსნიან დაკავებული თანამდებობიდან. მას მიაწერდნენ მორალურ გახრწნას, ლოთობებს და სხვა დანაშაულებს. მან კარგად იცოდა საიდანაც უბერავდა ქარი, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა ინტრიგების წინააღმდეგ. მას უნდოდა მიეწვია ხრუშჩოვი და გულღიად ესაუბრა მასთან, მაგრამ ხრუშჩოვი თავად, მიპატიჟების გარეშე, გამოცხადდა საოლქო კომიტეტის მდივანთან. უყურებდა რა კეთილი, სათნო თვალებით თავის უფროსს, ხრუშჩოვმა თანაუგრძნო მას:

– ამხანაგო მდივანო, ფაქტია, რომ ვიღაცა ცილს გწამებთ, მაგრამ ჩვენ თქვენთან ვართ და არასოდეს მიგატოვებთ გაჭირვების ჟამს.

როცა უკრაინის ცენტრალურ კომიტეტში შეიტყვეს სტალინოს საოლქო კომიტეტში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე (როგორც ჩანს, არც ეს ინფორმაცია მოხვდა ცეკაში ხრუშჩოვის მცდელობის გარეშე), მოისეენკო გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

ასე ამუშავდა პირველად ნიკიტა ხრუშჩოვის მძლავრი იარაღი – ინტრიგა და ცილისწამება.

ნიკიტა სერგის ძე იმედოვნებდა, რომ მოისეენკოს თანამდებობას დაიკავებდა, მაგრამ აქ მას აშკარად არ გაუმართლა. უკრაინის პოლიტბიურომ ამ თანამდებობაზე ვ. სტროგანოვი დანიშნა. ეს ამბავი ნიკიტას არაფრად ეამა და მალე სტროგანოვზე გავრცელდა ხმები, რომ იგი "გაცვეთილი კალოშია", "დალევის დიდი მოყვარულია", რომელსაც არაფერი გაეგება ქვანახშირისა და მეტალურგიული წარმოების სპეციფიკაში.

ნიკიტა სერგის ძეს მოსალოდნელი უბედურების შეცნობის განსაკუთრებული ალღო გააჩნდა. მას შეეძლო მოხერხებულად გასხლტომოდა საშიშროებას და დარტყმის ქვეშ სხვებს აყენებდა. ამ შემთხვევაშიც მან ყველაფერი სწორად გათვალა. სტროგანოვთან კონფლიქტი მას ხელს არ აძლევდა და ამიტომაც გადაწყვიტა, რომ კიდევ ერთხელ შეეხსენებინა თავი კაგანოვიჩისათვის. აი, როგორ წერს თავის "სამახსოვრო ჩანაწერებში" ამის თაობაზე თავად ლაზარ მოსეს ძე:

"თანაშემწემ მომახსენა, რომ სადგურიდან რეკავს დონბასიდან ჩამოსული ამხანაგი ხრუშჩოვი და მთხოვს, რომ მივიღო. მე ვუთხარი, მოვიდეს-მეთქი და მაშინვე მივიღე. მახსოვს, როგორ მემადლიერებოდა, რომ უცებ მივიღე და არ ვალოდინე. "მე მეგონა, რომ დიდი ხნით მომიწევდა ლოდინი", მითხრა მან.

შევნიშნე, რომ სახეზე ფერი არ ედო და ვკითხე: "ალბათ მშიერი იქნებით, რადგან მატარებლიდან პირდაპირ აქ მოხვედით". მან გაიღიმა და მითხრა: "გასაოცრად საზრიანი ადამიანი ხართ, მართლაც არაფერი მიჭამია, დიდი ხანია". მაშინ ისადილეთ და მერე ვისაუბროთ-მეთქი, ვუთხარი.

მოიტანეს ჩაი და ბუტერბროდები, რომელსაც იგი მადიანად მიირთმევდა..."

გაიხსენა რა სტალინის სიტყვები, რომ პარტიულ სამუშაოზე უნდა დაეწინაურებინათ საზრიანი და ჭკვიანი ახალგაზრდები, მან ხრუშჩოვს შესთავაზა პარტიის ცეკას საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორის თანამდებობა.

– ჯერჯერობით ინსტრუქტორად იმუშავეთ, – უთხრა ხრუშჩოვს კაგანოვიჩმა, – მერე კი, ვნახოთ...

კაგანოვიჩი არაფერს ამბობს ნიკიტა სერგის ძის საქმიან თვისებებზე, აგზავნის მას კიევში და ნიშნავს საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. კიევში ხრუშჩოვი ცხოვრობს ხუთოთახიან ბინაში და მისი მეზობელია უკრაინის (შემდეგ კი კიევის) სამხედრო ოლქის სარდალი ი. იაკირი. მოკლედ, მისი ცხოვრება აეწყო წარმოუდგენლად კარგად. ამის თაობაზე რამდენიმე წლის წინ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. მაგრამ ეს თვალის უსწრაფესი გადაადგილება – პროვინციალური სტალინოდან ხარკოვში, ხარკოვიდან კი კიევში და ამავდროულად იერარქიულ კიბეებზე აღმასვლა, მხოლოდ ზრდიდა ნიკიტა სერგის ძის კარიერულ ინსტინქტს. მას მეტი სწყურია, მაგალითად, საკავშირო კომპარტიის ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგეობა. საამისოდ იგი კვლავ იყენებს თავის ძირითად იარაღს – ინტრიგას.

მალე დაირხა ხმები იმის თაობაზე, რომ ხრუშჩოვი კაგანოვიჩის კაცია, დროებით გადმოიყვანეს კიევის საოლქო კომიტეტში და მალე გადაიყვანენ უკრაინის პარტიის ცეკაში. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – კაგანოვიჩი მოსკოვში გაიხმეს, უკრაინის კომპარტიის ცეკას პირველ მდივნად კი დანიშნეს სტანისლავ ბიკენტის ძე კოსიორი, რომელმაც კარგად უწყოდა ნიკიტას ტროცკისტული წარსულის თაობაზე და არ აღიარებდა მის რაიმე დამსახურებას.

მან იგრძნო მოსალოდნელი კატასტროფა, დრო აღარ დაკარგა, პირდაპირ მიადგა ნიკოლოზ დემჩენკოს (იმ დროს იყო ცეკას საორგანიზაციო განყოფილების გამგე და ხრუშჩოვის უშუალო უფროსი) და განუცხადა, რომ აქვს სურვილი წავიდეს სასწავლებლად მოკოვის სამრეწველო აკადემიაში...

...იმავე დღეს ნიკიტა სერგეევიჩი მიღებაზე ჩაეწერა უკრაინის კომპარტიის (ბ) ცეკას პირველ მდივანთან კოსიორთან.

– განათლება აშკარად არ მყოფნის, – გულწრფელი აღიარებით მიმართა მან კოსიორს, – მინდა სასწავლებლად წავიდე.

– ამბობ, განათლება არ მყოფნისო? – ეს გახლავთ თქვენი ცოდნის არასაკმარისი აღიარება. თქვენ ერთობ გაუნათლებელი ადამიანი ბრძანდებით. მე ვნახე თქვენს მიერ წაწერილი რეზოლუცია: "გეეცაენაით". ერთ სიტყვაში სამი შეცდომაა დაშვებული.

კოსიორის ამ შენიშვნამ ხრუშჩოვის სულიერი ამბოხი გამოიწვია. იგი ორგანულად ვერ იტანდა მათ, ვინც რაიმე ნაკლოვანებებზე ან გაუნათლებლობაზე მიანიშნებდა.

– სწავლის დრო არ მქონდა, – თქვა ნიკიტამ, – მე მეშახტე ვარ, მუშაკაცი, ომში ვიბრძობდი...

მომავალში ამ "დამსახურებებს" ნიკიტა არაერთგზის გამოიყენებს და საკმაოდ მოხერხებულადაც.

– და, ვინ გინდათ გახდეთ სამრეწველო აკადემიის დამთავრების შემდეგ? – ჰკითხა კოსიორმა.

– მეტალურგი, – უპასუხა ნიკიტამ, – მე არ მიყვარს საკანცელარიო სამუშაო.

– ძალიან კარგი, – დაფიქრებით წარმოთქვა სტანისლავ ბიკენტის ძემ, – პარტიას სჭირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, – და იქვე დაამატა, – მაგრამ, ამბობენ, რომ თქვენ კაგანოვიჩის კაცი ხართ და მისი მიწვევით მიემგზავრებით მოსკოვში. ასეა?

– რაღაც საკითხები უნდა გადავწყვიტო, – იდუმალად უპასუხა ხრუშჩოვმა, იცოდა რა, რომ რასაც იგი "საიდუმლოდ" იტყოდა, ხვალ ცნობილი იქნება ზემოთ. ამ ეშმაკური სვლით ნიკიტას უნდოდა საკუთარი თავისათვის ფასის დადება და, ამავდროულად, იმის გაგება, თუ რაოდენ მყარი გახლდათ მისი პოზიციები უკრაინაში. იგი მიხვდა, რომ კაგანოვიჩის მოსკოვში გადაყვანის შემდეგ მისი ბედი არავის აინტერესებდა. ეს მან იგრძნო დემჩენკოსა და კოსიორთან საუბარში.

– რახან ასეა, – თქვა სტანისლავ ბიკენტის ძემ, – აღარ დაგაკავებთ. წადით სადაც გენებოთ. სწავლა გინდა? ისწავლე, შეიძლება შენგან რამე გამოვიდეს.

მოსკოვი არც თუ კეთილმოყვრულად დახვდა მომავალ ბელადს. სამრეწველო აკადემიაში იგი არ მიიღეს.

– თქვენ არც განათლება გაქვთ და არც სამრეწველო საქმიანობის გამოცდილება, – განუცხადეს მას კანცელარიაში, – თქვენთვის უმჯობესია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებზე წახვიდეთ, რომელიც ეს-ესაა გაიხსნა კომპარტიის ცეკასთან.

– მაშ ვინ სწავლობს სამრეწველო აკადემიაში? – იკითხა გაწბილებულმა ხრუშჩოვმა.

მას აუხსნეს, რომ სამრეწველო აკადემიაში ირიცხებიან საწარმოთა დირექტორები, წარმოების ორგანიზატორები და სხვადასხვა რანგის სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში საქმიანობის გამოცდილება.

– იქნება მიმიღოთ, როგორც გამონაკლისი, – იკითხა ხრუშჩოვმა, – მე დონბასელი მეშახტე ვარ, ვომობდი...

– ჩვენთან გამონაკლისები არ დაიშვება, – განუცხადეს მას – ამასთან, თქვენი განათლების დონით აქ არაფერი გესაქმებათ.

იგი არ წასულა მარქსიზმ-ლენინიზმის კურსებზე და კაგანოვიჩთან გაიქცა, რომელიც იმ დროს საკავშირო კომპარტიის ცეკას მდივანი გახლდათ. აი, როგორ იხსენებს ამ შეხვედრას ლაზარ კაგანოვიჩი თავის მოგონებებში: "...1929 წელს მე მომახსენეს, რომ უკრაინიდან ჩამოვიდა ამხანაგი ხრუშჩოვი და მთხოვს რომ მივიღო. მაშინვე მივიღე. მისი თხოვნა იყო, რომ მხარი დაგვეჭირა სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიში მისი ჩარიცხვისათვის. "მე მუშათა ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ ვერ დავამთავრე და ახლა მინდა სწავლა გავაგრძელო სამრეწველო აკადემიაში. შეუძლიათ გამოცდაზე ჩამჭრან, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, რათა დამეთანხმოთ", – განმიცხადა მან. სამრეწველო აკადემიაში შეღავათებით მიღებული უამრავი ადამიანი სწავლობდა და მე, ამხანაგებთან კუიბიშევთან და მოლოტოვთან წინასწარი შეთანხმებით დავრეკე სამრეწველო აკადემიაში და ვთხოვე ხრუშჩოვის ჩარიცხვა"...

ის, რომ ხრუშჩოვი სამრეწველო აკადემიაში ჩაირიცხა, დიდ უბედურებას არ წარმოადგენდა. აკადემიაში უსიამოვნებები დაიწყო მას შემდეგ, რაც ნიკიტა სერგის ძე ათიოდე ლექციას დაესწრო და მიხვდა, რომ აკადემიის ყველა მსმენელი მასზე ათი თავით ძლიერია და იგი ვერასოდეს დაეწევა ცოდნით თანაკურსელებს, რომელთა ფონზე იგი საკმაოდ უსუსურად გამოიყურება.

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,**

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იდეოლოგიური საწამლავი და მეფისტოფელის ღიმილი

## ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისათვის

გაზეთში „ქართული სიტყვა" (№4-ში, 1-7 თებერვალი 2017 წელი) გამოქვეყნდა ინტერვიუ დ. პაპოშვილთან, რომელმაც თარგმნა ამერიკელი მწერლის – ფრიც სპინგმაიერის "ილუმინატური საგვარეულოები". წიგნში მოთხრობილია მსოფლიოში დომინირებულ სატანურ ძალებზე და ქართველმა გამომცემლებმა მის დაბეჭდვაზე უარი განაცხადეს. მსგავსი იდეოლოგიის პასკვილები ყურადღების ღირსადაც არ უნდა ჩაითვალოს, რომ არა თავად გაზეთის სახელწოდება, რომელიც ქართველი პოეტის – ჯ. ჩარკვიანის რეაქტორობით გამოდის. მოპოვებული ცნობების საფუძველზე ავტორი საუბრობს ი. სტალინის პირად ცხოვრებაზეც. სიცრუითა და ცილისწამებით გაჯერებული ეს პასკვილი შეურაცხმყოფელია არა მარტო სტალინის პიროვნებისათვის, არამედ სრულიად საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის. ეს ცილისწამებები კი ასეთია: სტალინი ნახევრად ებრაელი იყო, კარგად საუბრობდა იდიშზეც, მაგრამ მალავდა; მასონურ სამყაროს იგი მისმა პირადმა ასტროლოგმა – გურჯიევმა დააკავშირა; სტალინი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა და სიცოცხლის ბოლომდე მას ებრაელები აკონტროლებდნენ; იგი იყო თავისუფალი მასონი, სატანისტი და ქვეყანაში გავლენითა და ავტორიტეტით არ სარგებლობდა. მთარგმნელი საუბრობს წიგნში მოთხრობილ სისხლიან სატანისტურ რიტუალებზეც – როგორ შესწირეს 7 ბავშვს სხვა 7 ბავშვი, როგორ ნადირობდნენ ისრებით ტყეში ბავშვებზე და ა.შ.

რატომ გავრცელდა ქართველ გენიოსზე ასეთი ცილისმწამებლური მასალა, ნაცვლად იმისა, რომ მისით ვამაყობდეთ? იქნებ მსოფლიოს ფაშისტური ჭირისაგან მხსნელი ერთადერთი ქართველი გენიოსისთვის ტალახის სროლა პრიორიტეტული მას შემდეგ გახდა, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა და სტალინზე ბრძანა: ჩემთვის მისი პიროვნება პრიორიტეტული არ არისო? ბ-ნ ჯ. ჩარკვიანს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი სტალინისადმი. ერთ-ერთ ლექსში მას არწივს ადარებს და ასე მიმართავს: **"იფრინე, მაგრამ ისიც იცოდე, მარტოობაში კვდება არწივი"**.

მაგონდება სტუდენტობისას აღმოსავლური კულტურის გასაცნობად ბუხარასა და სამარყანდში ვიმოგზაურეთ, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა უკან დაგვდევდა შეძახილებით – **"სტალინ! სტალინ!"** – საქართველო ხომ მსოფლიოს ხალხებისათვის სტალინთან ასოცირდებოდა! ჩვენ, ქართველები რატომ ვცხებთ ჩირქს ქართველ გენიოსს, მით უფრო, რომ ავტორი წიგნის შესავალშივე წერს: **"ჩემ მიერ მოპოვებულ წყაროებს გთავაზობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი სიმართლეაო. ზემოაღნიშნულ ცილისწამებებზე დაყრდნობით სატანისტი გაუზრდია საქართველოს, მართლმადიდებელ ეკლესიას, სასულიერო სემინარიას და ქართულ ოჯახს, მაშინ, როცა თავად ებრძოდა მასონებს, სატანისტებს და სწორედ მათგან გაანთავისუფლა მსოფლიო. სტალინის ქალიშვილი – სვეტლანა ალილუევა თავის მოგონებებში იხსენებს, როგორ ეწინააღმდეგებოდა მამა მის ურთიერთობას ეროვნებით ებრაელ კინომატოგრაფ – ალექსანდრე კაპლერთან, რადგან არ გამორიცხავდა, რომ იგი მასონების "შემოგდებული" იყო. თავად უცხოელები არიან გაოგნებულნი – რატომ ხდება სტალინის დისკრედიტაცია საქართველოში, როცა სხვა ქვეყნებში, თვით იმპერიული ქვეყნის მეთაურებიდან დაწყებული ყველანი პატივს სცემდნენ? ვინ გვყავდა ქართველებს უახლოეს წარსულში სტალინზე უკეთესი და ვინ იზრუნა რეალურად უძლიერესი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნაზე, სადაც ქვეყნის ყველა სიკეთე ხალხს თანაბრად მიეწოდებოდა? ილუმინატებს და მასონებს მსოფიოს მმართველობა ხელთ რომ ჩაეგდოთ ხელს მხოლოდ ქრისტიანობა უშლიდა და დღესაც უშლის, ამაზე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიც მეტყველებენ. სტალინი სიცოცხლის ბოლომდე იყო მართლმორწმუნე ქრისტიანი. 1943წ. საქართველოს ეკლესიას დაუბრუნა ავტოკეფალია, მანვე გადაავადა გლობალიზაციის პროცესი 50 წლით. ცნობილი ფაქტია, რომ გენშტაბის უფროსის – ალექსანდრე ვასილევსკის მამას, რომელიც ერთ-ერთი ეკლესიის მღვდელი გახლდათ შვილისაგან ფარულად უგზავნიდა ფულს თავისი დანაზოგიდან დახმარების სახით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სტალინი მოღვაწეობდა უსასტიკეს ღმერთმოძულეობის დროს და მისი დამხმარე იყო მხოლოდ – უფალი ღმერთი! მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთსა და ამერიკას მისი გაკონტროლების სურვილი ყოველთვის ჰქონდა, ევროპისა და ამერიკის ლიდერებს თამაშის წესებს თავად კარნახობდა: ყირიმის კონფერენციის დროს სტალინმა ამერიკის პრეზიდენტს – რუზველტს წინადადებით მიმართა, ხოლო რუზველტმა კენინგსბერგისა და კურილიის კუნძულების მიერთებაზე თანხმობა განუცხადა და აღნიშნა, რომ სსრკ-მ ეს დაიმსახურა თავისი ქვემეხების გრიალით. ასე ჩაიგდო ხელში სსრკ-მ სტატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტები.**

**ცნობილია, რომ სტალინს უამრავი მტერი ჰყავდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ და არაერთი თავდასხმა იგეგმებოდა მისი ფიზიკური განადგურების მიზნით. მკვლელობის მცდელობები მისი სიკვდილის შემდეგაც ხორციელდებოდა და განსაკუთრებით გულსატკენია, რომ ეს საქართველოშიც ხდებოდა: 1956წ. 9 მარტის სისხლიანი ტრაგედია, როცა ქართველები მისი ხსოვნის დასაცავად აღდგნენ; 2010წ. ზაფხულში, როცა სახელმწიფო ბოროტმოქმედმა სააკაშვილმა თავის ბანდასთან ერთად მისი ძეგლი დაამხო; ზემოაღნიშნული ცილისწამებებიც, რომელსაც გაზეთი „ქართული სიტყვა" გვთავაზობს სტალინის მკვლელობის კიდევ ერთი მცდელობაა მისივე სამშობლოში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ 1953წ. მარტში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა – ალექსი პირველმა სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა: "როგორც გენიალური ადამიანი იგი ყველა საქმეში აღმოაჩენდა ხოლმე იმას, რაც უხილავი და მიუწვდომელი იყო ჩვეულებრივი ადამიანისთვის".**

სტალინს ებრძოდნენ, რადგან

– ის იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი და მთლიანად გაანადგურა მასონურ-გლობალისტური ბანდა, რომელსაც ტროცკი ხელმძღვანელობდა.

– კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომი მოიგო და მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ძალებს ყველა გეგმა ჩაუშალა.

– ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა პედერასტიას: მან ზედმიწევნით იცოდა დ. აღმაშენებლის მეფობის ქრონიკებიც და რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაც, სადაც პედერასტია მახსენიებულია, როგორც ყველა ვნებაზე უფრო საძაგელი სიბილწე. 1934 წლიდან სტალინის ძალისხმევით მოქმედებდა კანონი, რომლითაც მამათმავლობა დანაშაულად გამოცხადდა, რასაც მოჰყვა კრემლის გაწმენდა პედერასტებისაგან.

სტალინს არ ჰქონდა პირადი ამბიციები, მაგრამ ჰქონდა პოლიტიკური ღირსება და არ ემონებოდა უცხო ძალებს თავისი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ.

სტალინს არ ჰქონდა მილიონები (მას გარდაცვალების შემდეგ საბანკო ანგარიშზე 680 მანეთი დარჩა), მაგრამ მას ჰქონდა დიდი ნდობა და სიყვარული სრულიად სსრკ-ს მოსახლეობისა (შეადარეთ – მილიონერი ნაც-ქოც პარლამენტარები და ე.წ. პრეზიდენტის რიო-დე-ჟანეიროში 4 დღიანი ვიზიტის შედეგად დახარჯული 350 ათასი ლარი).

სტალინმა იწინასწარმეტყველა, რომ გარდაცვალების შემდეგ მის პიროვნებას ტალახს ესროდნენ, მაგრამ ვარაუდობდა – ჩვენს წარსულზე მომავალი თაობები თავიანთ მომავალს ააშენებენო. 1952წ. გამოსცა წიგნი "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში", რომლითაც იხელმძღვანელა ჩინეთმა, ნიდერლანდების სამეფომ და იაპონიამ. სტალინის პიროვნების შეფასებისას მნიშვნელოვანია მისი თანამედროვე ტიტანების აზრი და არა უვიცი ექსპერტებისა თუ მწერლებისა.

სამწუხაროა, რომ ძალამ, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა და რომელსაც **"ქართული ოცნება ჰქვია"**, არც აღმაშენებლის, არც სტალინის ძეგლი არ დააბრუნა და ფსიქოპათი სააკაშვილის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური გზის გამგრძელებელიც აღმოჩნდა. როგორც ჩანს, საქართველოში ყველაფერი **"მოსულა"**: დაირქვა **"ქართული და ემსახურო არაქართულს"**; დაირქვა **"ეროვნული"** ან **"პატრიოტი"** და იმოქმედო ამ ცნებების საწინააღმდეგოდ". საქართველოში ისიც **"მოსულა"** უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა საამებლად მათ პრეზიდენტებს ძეგლი დაუდგან, ხოლო ქართველები შეურაცხყონ იმ ისტორიული პიროვნებების ძეგლის აღებით, რომელთაც თავიანთი ძალისხმევით საქართველო დღემდე მოიტანეს. ბ-ნი ჯ. ჩარკვიანი, რომელსაც პატივს ვცემ, როგორც ქართველ პოეტს, დადებითად აფასებს შევარდნაძის როლს ევროპისკენ სავალ გზაზე და გაზეთ – **"საქართველოს რესპუბლიკისთვის"** მიცემულ ინტერვიუში ბრძანებს: **"ის, რომ საქართველო ევროპის გზას დაადგა, სწორედ ე. შევარდნაძის დამსახურებაა. შევარდნაძის დროს ყვაოდა ქართული მწერლობა"**. – ქართული მწერლობა რომ ყვაოდა, არც შევარდნაძის და არც ევროპული გზის დამსახურება არ არის. როცა საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედევრები იქმნებოდა, ევროპელები კანიბალიზმითა და ინკვიზიციებით ერთობოდნენ. სწორედ **"ევროპულმა გზამ"** გამოიწვია ქვეყნის ნგრევა, რომელსაც შევარდნაძემ ჩაუყარა საფუძველი. ცხადია, ლიტერატურა ყვაოდა საწყის ეტაპზე, მაგრამ ახლა 25 წლიანი ნგრევის შედეგებს ვიმკით და ამით თავს მხოლოდ **"ტუალეტის მჯღაბნელები"** იწონებენ. ევროპისკენ მიმავალ გზაზე არც ქართველობაზე უარის თქმა აფერხებს რუსეთმოძულეებს, მაგრამ ქართველი ხალხი საქონელი არ არის თოკჩაბმული იქით გაათრიო, საითაც ლიბერასტ-პედერასტები მოისურვებენ. ჩემს წინა წერილში – **"ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ კრახი განიცადა"** (1-7 თებერვალი) ლიბერასტებისადმი გამოთქმულ მიმართვას: **"ვინა ხართ, რა ჯიში ხართ, რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა ამერიკამ და მოსასპობმა ევროკავშირმა, არ ფიქრობთ?"** – გამომეხმაურა სამართალდამცავი სტრუქტურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და მეფისტოფელის ღიმილით მითხრა: იქნებ ეს სიტყვები რუსეთუმეებს უფრო შეგეფერებათ, რომლებმაც სოციალიზმი ვერა და ვერ დაივიწყეთო? – დიახ, ვერ დავივიწყეთ **"ენა, მამული, სარწმუნოება"**, ერის დემოგრაფიული ზრდა, – რისთვისაც რუსეთს უნდა ვუმადლოდეთ; ვერ დავივიწყებთ ქართველობას და ევროპელობა პრიორიტეტად არ მიგვაჩნია. არც ხელისუფლების მონური მორჩილებაა საამაყო უცხო ძალებისადმი.

სამშობლო უნდა გტკიოდეს და **"ერის წყლული გაჩნდეს წყლულად"** მისთვის რომ იღვაწო – ამისთვის ეროვნული ღირსება უნდა გქონდეს. შენი სამშობლოს ბედის გადაწყვეტა სრულიად განსხვავებული მენტალიტეტის მქონე უცხო ქვეყანას რომ არ მიანდო – ამისთვის პოლიტიკური ღირსება უნდა გქონდეს, რაც კაცური ღირსებიდან იღებს სათავეს.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს მივმართავ: დაივიწყეთ ფრანგული თეზა: **"cherche la fame"** (ეძებე ქალი) და საკუთარ თავში უპირველესად ეროვნული, კაცური ღირსება ეძებეთ.

**იზა თამაზაშვილი,**
**593 90 55 07; 2 35 91 15**

## პოეზიის კუთხე

### სათრევლებად მითქვამს

### სტრასბურგული 8 მარტი

თუ პასუხი სხვას უგია,
ჩვენც რომ ვაგოთ,მერე რა?
ვისი ჯილაც სტრასბურგია,
ჩვენს ხალხს ვერ მოერევა.
რაში გვარგებს, ვინ თქვა რაცხა,
როცა სხვები წარგვმართავს,
გაზაფხულზე თუ არ დაცხა,
მზემ არ გამოანათა?
თუკი რვა მარტს ვერ ცვლის ხვალ ცხრა,
ვაი, ასეთ სამართალს!

### ბატონ იან კელს

„რუსთავ-ორის" მიტაცება
დღესაც ნიშნავს ზნის დაცემას
და გთხოვთ, თავი, იან კელო,
თავმოჭრილს არ მიაკერო!

### ბატონ შენ კაშს, არამკითხე მოამბეს

რომ შეეშველე „რუსთავ-ორს"
ზარების ჩამორეკვაში,
რა შუაში ხარ შენ კაში,
ვერ დაეტევი შენ კანში?

### სუფლიორი

თუკი რამე სალენჩოა,
სუფლიორად საელჩოა,
ამას ისე დაგვაჩვიეს,
მონად ვყვართ „პაპაჩიებს!"

### ნაპროკრუსტალს

შენი პროკრუსტობა როდის რას შვებოდა,
თუკი გაიხსენეს, თავს ვის შეაყვარებ?!
მახსოვს, ააოხრეთ ღამით „სამშობლო" და
ჟურნალ-გაზეთები თვალში შეაყარეთ!
– შენგან დარბეული მხოლოდ „იმედია"?
ჭერი რომ წაართვეს, ვკითხოთ იმ მედიას!

### მართული ქაოსი

– არიქაო, შარიქაო! –
„რუსთავ-2" უხმობს ქაოსს,
და არ მალავს:
– საღადაოდ
მთავრობასთან მიტომ ვდაობთ,
რომ ამტუტდეს სააქაო!

**ალექსანდრე შენგელია**

### აფუნი

გოთანდჷ დო ბჟაქჷ გერთ,
ოცხიმურეს მუკულუ,
გოხოლუას მაფშალიაქ
სქვამას ქიმიოღურჭულუ.
ბარდეფი დო ბარდეფ შქას
გილაცოჸჷნც ყურდგელი.
ბრილიანტით აშაფშა რე
ნდოლო გინოცუნდელი.
შუკას ჭიჭე ბოშჲ მოურცჷ,
ჭიჭე ბოში, მაფალუ,
რგნტუეფი მოურაჸ,
მეტი მუთა აპალუ;
მინდორი აშო მაზადუ,
ნოხო ეთორჩაფილი,
ჭყინტი ნდოლოში წვენით აფჷ
ნარჩა გითოღაფილი,
იმენდეფი გააფაფჷ
ცაშე გითორღვაფილი...
აფუნჲ რე დო ირფელ ფუნც,
სერით ნდოლო ცუნდის შუნც,
იშო-აშო გილურქჷნი,
ცქირპაპეფი გილაპუნც.
წყარეფი გეშასქირაფე დო
გორდი შარას მესხაპუნც.
ორთა ოცად მუნაფაში
ცაშა ეშაჸუნაფას.

**გიორგი სიჭინავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაცვა!

**„უკვანტავ საქმეს, საკვანტავად ნუ გაიხდი!“**
**ხალხური**

დაცვა არსებობს სხვადასხვანაირი და გამოიყენება მრავალ სტრუქტურაში!. ჭადრაკში, მაგალითად იყენებენ კაროკანის დაცვას. ფეხბურთში, ხშირად მიმართავენ ყრუ დაცვას. დაცვა ფართოდ გამოიყენება იურისპრუდენციაში. ყველაზე საპატიოა სამშობლოს ღირსებისა და პატიოსნების დაცვა!

ამას წინად გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩვენი, ეკონომიურად „უმდიდრესი“ ქვეყნის პრემიერ-მინისტრად წოდებულმა კვირიკაშვილმა, თურმე, ნაც თუ ნანაცარ დ. ბაქრაძეს დაუნიშნა პირადი(!?) დაცვა! ისმის კითხვა, ბაქრაძის რა დამსახურებებისათვის გაისარჯა „ბატონი“ პრემიერი, რომ კიდევ ერთხელ ჩაჰყო ხელი ხელისუფლების დიდმა ჩინოვნიკმა, ხალხის ჯიბეში და უშურველად გადაწყვიტა, იქიდან ამოღებული თანხების ფლანგვა ? იმის მაგივრად, რომ ეს „ვაჟბატონი“, თავისი „ნამოღვაწარისათვის“ ვირის აბანოში ათენაღამებდეს თავის ძმაკაც-ამფსონებთან ერთად, სუფთა ჰაერზე დაბოგინობს და ოცნებას, ნიშნისმოგებით ჭკუას ასწავლის და ხალხს ნერვებს უშლის! ოცნების მესვეურებო, თქვენზეა ზედგამოჭრილი: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“! მაგრამ, უბედურება ის არის, რომ ეს სახელისუფლებო ჩინოვნიკები, ყველაფერ სიგლახეს აკეთებენ ხალხის ხარჯზე! კაცს, რომ ქუჩაში მარტო გამოსვლის შეგეშინდება, ამის მერე შენ კაცი გქვია? კაცი კი არა მთხლე ხარ! რა აზრი აქვს ამისთანა ცხოვრებას?

1966/68 წლებში მივლინებით ვმუშაობდი აზერბაიჯანის სსრ-ში, დაშქესანის რაიონის. სოფ. კუშჩში, სადაც გვქონდა უბნის ადმინისტრაცია და საქმიანი ეზო განთავსებული! ეს ის ადგილია, საიდანაც რუსთავის მეტალურდიული ქარხანა იღებდა რკინის მადანს. მე ვიყავი სატვირთოსაბაგირო გზების სამონტაჟო უბნის უფროსი. ვამონტაჟებდით სამ, 7 კილომეტრიან საბაგირო გზას, რომლის მეშვეობითაც უნდა მომხდარიყო ალუნიტის, ანუ ალუმინის მადნის რკინიგზამდე ტრანსპორტირება. მაშინ ვიყავი 32 წლის. ჩემთვის ამ უცხო გარემოში, სადაც ძირითადათ ცხოვრობდნენ აზერბაიჯანელები და სომხები, იყვნენ სხვა ეროვნების ხალხიც, მაგრამ ცოტანი. მე თავი უცხოდ არ მიგრძნია, იმიტომ რომ ყველასთან ვიქცეოდი შესაფერისად, და შესაბამისად ავტორიტეტიც მქონდა მოხვეჭილი! როგორ ფიქრობთ, ადვილი იქნებოდა ოჯახს (მაშინ მყავდა დედა, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ვაჟი!) მოწყვეტა? მაგრამ საქმემ მოითხოვა და წავედი. აქ მთავარია ის, რომ მე იქ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს შემეძლო დაუბრკოლებლად მევლო, სადაც საქმე მოითხოვდა, არც მიფიქრია დამცველი ამალის ყოლა, ვინაიდან არ იყო ამის საჭიროება! თუ რატომ, ზემოთ მოგახსენეთ. და აქ, საკუთარ სახლში, დამცველი ამალით, რომ ივლი, რა ჰქვია შენს ცხოვრებას? ნული! ეხლა ყველა ჩინოვნიკს, დიდია თუ პატარა, ყველას კუდში დაჰყვება ერთი ან რამდენიმე სუბიექტი, დაცვის ვარიანტში! საინტერესოა, ეს დასაცავი ობიექტები, თუ სუბიექტები აბაზანაშიც და ტუალეტშიც დაცვით დადიან? ვაი თქვე უბედურ დღეზე გაჩენილებო! თქვენს ცხოვრებასაც თუ ცხოვრება ჰქვია?! ასე შიშში როდემდე გინდათ იცხოვროთ? თავისი არაკაცური „ნაღვაწისათვის“ არის შემოღობილში დამარხული, სულაძაღლებული ედიკა შევარდნაძე! არავიძესავით საფლავიდან ამოთხრა, რომ არ მოგიწიოთ, სიცოცხლეში დაიმსახურეთ კაცური სახელი!

როგორც დიდი შოთა ბრძანებს: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!“ თუ იცხოვრებ, უნდა იცხოვრო ამ სულისკვეთებით, ანუ კაცურად!

გვფარავდეს მამა ზეციერი და დედა ღვთისმშობელი, სრულიად საქართველოს და ჩვენს პატრიარქს! ამინ!

პატივისცემით,

**ანზორი დანელია**

# ვისთვის რეკს ზარი?

**საით მიდის ორად გაყოფილი საქართველო?**

***პატრიარქი გადარჩა — შეტევა სულიერების უკანასკნელ ციტადელზე გრძელდება, რუის-ურბნისის დროა!***

კარგახანია ქვეყანას არყევს ბრძოლა ღვთიურობასა და ულმერთობას შორის. ყველა უბედურება ეშმაკის მოციქულთაგან მოდის, რომელთათვის მზაკვრულ-მოღალატეებრივი და პირადულის გარდა არ არსებობს სხვა მაღალი ღვთაებრივ-ზნეობრივი ღირებულებები. ეშმაკმა უწყის ახლაც ვის დაკვეთას ასრულებენ ე.წ. ნაციონალები პარტიისა და დემოკრატიის სახელით. მრავალი წელია ცდილობენ მოარყიონ სულიერების უკანასკნელი ციტადელი. არადა ქრისტიანობა და ქართველობა იდენტურია, გენეტიკურია ღვთაებრივი სული, მაღალი აზრი, ალბათ, არავის უყვარს ქრისტე ღმერთი ქართველზე უფრო, ამიტომაც არაა იოლი ბრძოლა ამ მიმართულებით, თუმცა, ამ ბრძოლის გენერალური გეგმაც ქონდათ შემუშავებული ეკლესიის მორალური დისკრედიტაციის ქონებრივ-კორუფციული სქემებით. მაგრამ იყო დიდი ბარიერი: ღვთის კაცი-საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, რომლის სავარაუდო ლიკვიდაციაზე კარგა ხანია გვაფრთხილებდა პრესა. ხალხიც, თუნდაც ქვეშეცნეულად გრძნობდა ამ ბოროტი ძალების განზრახვას, რომელთაც სამწუხაროდ ეკლესიაშიც შეაღწიეს, რათა ციხე შიგნიდან გაეტეხათ.

ბოლო მოვლენებმა ბევრ რამეს ახადეს ფარდა, გამოჩნდა პოლიტიკოსების, ექსპერტების, სამღვდელოების წარმომადგენელთა ნამდვილი სახე. მათ შორის „რუსთავი 2”-ის, რომელმაც ეპოქის სკანდალური მოვლენა-პატრიარქის მკვლელობის მცდელობა თავისებური ინტერპრეტაციით გააშუქა — პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაცია, ეჭვმიტანილის გამართლება, რომ ყველაფერი ივანიშვილის ბრალია, არაფერია გასაკვირი, კიდევ ამ კაცს ფორმალურად თუ არაფორმალურად უკავია ქვეყანა, თუმცა, ეს მართლაც შავი ჭირი, საბოლოოდ ვერ მოაცილა საქართველოს. უბედურება ისაა, რომ ევროპა-ამერიკა მაგათ დემოკრატებს ეძახის და ხალხს არაფერს ეკითხება. „ნაცები” კვლავ რჩებიან სერიოზულ შემაფერხებელ ძალად, რომელთაც მხარს უჭერენ უცხოელები, ეტყობათ სხვა დასაყრდენი ვერ ნახეს. ასე რომ ქართველმა ხალხმა უნდა გამოიღვიძოს, „ნაცების” აყოლა „ოცნების” გინებაში კარგს არაფერს მოგვიტანს, ახალ მთავრობას უჭირს ბრძოლა 2-3 ფრონტზე. „ნაცების” ნაავკაცარი კიდევ ბევრჯერ დაგვხვდება წინ და კისერს მოგვატეხინებს, თუ ფრთხილად არ ვიქნებით. განა მთავრობას სიამოვნებს ნაცებთან გარიგებას, რომ აბრალებენ, მაგრამ, როგორც კი შეუტევენ, ძველი მეპატრონეები მაშინვე თავს წამოყოფენ თავიანთი მამაძაღლების დასაცავად. რომელთა, როგორც პოლიტიკური პატიმრების, განთავისეუფლებას ითხოვენ და აღწევენ კიდეც. როგორ გინდა იცხოვრო, ამ ვითომ თავისუფლების, ვითომ დემოკრატიის, ვითომ პატრიოტიზმის, აპოლოგეტი პოლიტიკოსების და მათ აყოლილი, ხათრით არჩეული ვითომ პრეზიდენტის, ვითომ ათასობით ადამიანის უფლებადამცველების და ა.შ. გარემოში. ამდენად ჩვენ ახლა ფსიქოლოგიურ ომში ვართ, არანაკლებ ომში ვინემ ზარბაზნებით სროლაა.

სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა მოასწრო ბევრი ფასეულობების გადაფასება და გადაგვარება, მოსპო მეცნიერება, ტვინი საქართველოსი. განსაკუთრებით აიყოლიეს ახალგაზრდები — ნიჰილიზმი, წარსულის უპატივცემულობა, გაუაზრებელი სწაფვა ევროპული ცივილიზაციისაკენ, ღირებულებებისაკენ, ერთსქესიანთა ქორწინება,სექსუალური, რელიგიური და ყოველნაირი თავისუფლება, თავისუფლება ზნეობისგან, მორალისგან და ნამდვილი საკაცობრიო ღირებულებებისაგან. აი, რა გარემოა ქვეყანაში. რაც მათ დატოვეს მძევალივით, დატოვეს სიღარიბე, რომელიც ანგრევს ადამიანთა ცხოვრებას, თავისუფლებას, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას, არადა ცარიელი ტერიტორიებიც უცხოელებს დარჩებათ. სამართლიანობის აღდგენა, არის ის ქვაკუთხედი, რამაც უნდა შეაჩეროს ძველი რეჟიმის ნარჩენები, რომლებიც აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას. სხვა გამოსავალი ქვეყანას არა აქვს.

უნდა დადგინდეს სიმართლე პატრიარქისა და ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. დაისაჯონ მთავარი დამნაშავეები, და არა მარტო შემსრულებლები. ეს უკვე ქვეყნის პრესტიჟს და მის მომავალს განსაზღვრავს და მხოლოდ პროკურატურის იმიჯის საქმე არაა. რომლის ხელმძღვანელის გადადგომასაც ითხოვენ პარლამენტარი „ნაცები” და თუ ვერ გაუძელით ამ შემოტევას ეს იქნება ხელისუფლების, ეკლესიის და პროკურატურის საბოლოო მარცხი. მეუფე პეტრემ პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაციისათვის პასუხი უნდა აგოს, ხალხისა და იმ ეკლესიის წინაშე, რომელმაც გაზარდა და ამ სიმაღლეზე აიყვანა, პასუხი უნდა აგონ მისმა წამქეზებელმა. თუ ასე არ მოხდა საბოლაოდ მივიღებთ იმ ქვეყანას, რომელმაც დაკარგა ღმერთი, რწმენა და ღირსება. არადა რწმენა აერთიანებდა საქართველოს, ამიტომაც გადაურჩა ურჯულოებს, ამიტომ უშლის ხელს ეკლესია და პატრიარქი მავანს თავისი მიზნების მიღწევაში, რომელიც აგრძელებს შეტევას სამივე მიმართულებით- „ენა, მამული, სარწმუნოება”. ხალხს კარგად ახსოვს მათი შეტევა ეკლესია მონასტრებზე. მორწმუნე კაცი არ არის იოლი დასაყოლიებელი, ქრისტიანული რელიგია, უძველესი ფილოსოფია და უდიდესი სიბრძნეა თვითმოვლენილი და ჩვენი ორთავყოფნის — სააქაო და სამარადმჟამოს განმსაზღვრელი.

ეკლესია არ უნდა ერეოდესო პოლიტიკაში, განა მისი მიზანი საღვთო კაცების და მამულიშვილების აღზრდა არაა, სად გაგონილა ცალკე ხალხი, ცალკე ეკლესია, ყველა ერთ საქმეს უნდა ემსახუროს, ქვეყანა ხომ ერთია? განა ასე არ იყო აღმაშენებლის და ჭყონდიდელის დროს — რწმენა იყო მეფეში და — მეფე და მეომარი ეკლესიის წინამძღოლში. როგორ გინდა მოითმინო ამ მემკვიდრეობის ფონზე ამათი ქვენააზრები, დემოკრატიის უბედურებაც ესაა, შენმა არჩეულმა დაგაქცია და არ გასვენებს სინანული შეცდომისა, რომელიც შეიძლება არ გამოსწორდეს. აი, როგორი სიფრთხილე გვმართებს, როგორმე გლობალურად, კრიტიკულად შევხედოთ დემოკრატიას და არჩევნებს. რა გამოდის, დემოკრატიამ სააკაშვილის რეჟიმი მოუტანა ხალხს, რომელიც ახლაც არ გვეშვება, უბრალო მოკვდავს ეკლესიასთანაც არ მიუწვდება ხელი, ღმერთსა და კაცთაშორის შუამავალი ავტორიტეტები ისე გაულანძღეს, დაიბნა ხალხი, არ იცის საით წავიდეს.

დიქტატურა დემოკრატიის სახელით ულმერთობა ღვთის სახელით. ვიღაც კორუფციასთან ბრძოლას საწამლავით აპირებს, სანამ იქნება იდუმალებით მოცული მავანთ ჩანაფიქრი. ეს არ იყო მხოლოდ ერთი კაცის მკვლელობის განსაზღვრა, ეს იყო ქვეყნისა და ღვთის მკვლელობის ტოლფასი. ეს იყო ერთმხრივ პატრიარქის ფიზიკური განადგურება, მეორე მხრივ — მორალური მკვლელობა. მეუფე პეტრეს განცხადებები — სავარაუდოდ ნაციონალთა დაკვეთით, რომ ეკლესიას ქალბატონი შორენა მართავს, რომ აქ გამეფებულია გაუგონარი კორუფცია, რომ მამა გიორგი უდანაშაულოა — ეს ნამდვილად არ გამოხატავს ღვთისმოსავი კაცის სულისკვეთებას. პარადოქსია, ისიც, რომ ბერლინის ცნობილ კლინიკაში პატრიარქს თავზე ედგნენ ისინი, ვინც წლების წინათ გადადგომას ითხოვდნენ მისგან. სააკაშვილმაც მოინახულა პატრიარქი (იქნებ მოელანდა შარაძის, ჟვანიასა და პატარკაციშვილის სახეები?), რაც უფრო იმის დემონსტრირება იყო, რომ მისი დაკავება არავის უნდა. მოკლედ აქაც, ამოუცნობი შეხვედრების და სიყალბის აპოთეოზია.

სამწუხაროდ, ეკლესიაში შეაღწიეს „ნაცების” კადრებმა, რომელთა პარტიული ტელევიზია ფართო ასპარეზს უთმობს მათ, დღესაც დემოკრატიის იმიჯს მორგებულები, ვითომ ჟურნალისტები გვარამიას ხელმძღვანელობით, ზეგავლენას ახდენენ სასამართლოზე, ერევიან ქონებრივ დავაში, თითქოს სააკაშვილის რეჟიმს ბიზნესმენებისთვის ქონება არ წაერთმიოს. ასევე კარგად ირგებენ კრიტიკული ტელევიზიის იმიჯს, რათა მთავრობის გინებით „ნაცების” დაბრუნების აუცილებლობა დაამტკიცონ. სააკაშვილის რეჯიმის 10-წლიანი პერიოდიდან, თუნდაც ერთი კრიტიკული მასალა აჩვენონ, სადაც სააკაშვილს, ამ ქვეყნის დამაქცევარს რამე გაუბედეს, რეჟიმის სამსახური არაა დანაშაული? დღეს არაა დემოკრატია? რასაც უნდა იმას ამბობენ, თავისუფალი სიტყვა დემოკრატიის ნიშანია, მაგრამ, არა ბინძური თავისუფალი სიტყვა, რომელიც გახდეს ბოროტმოქმედთა მიზნის მიღწევის საშუალებად.

30 წელია დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით ვაჭრობს 200 პარტია. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულებმა, რევოლუციით ქუჩიდან მოსულებმა, არაპროფესიონალებმა, ფარისევლებმა გააჩანაგეს ქვეყანა ყველა პარამეტრით. არადა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, რწმენაზე, სიყვარულზე და კაცობაზე გადის. ყველას ერთნაირად უნდა მიგვეტანა გულთან ქვეყნის გასაჭირი, ქამარზე შემოგვეჭირა, ამათ კიდევ დრო იშოვეს და გაძარცვეს ქვეყანა. მტრისგან რა გვიკვირს ტერიტორიები რომ წაგვართვეს და ვერ მოვუარეთ.

დღესაც გაიძახიან — ადამიანის უფლებათა დაცვა და სიტყვის თავისუფლებააო მთავარი, არადა, რაც „ნაცებმა” მათ დღე აყარეს, რა საერთო აქვს ევროპასთან და ცივილიზაციასთან. მისი დამქაში ტელევიზიაც იცავს მეპატრონეს და არც ის რჩება ვალში ერთგულ, ვითომ მედიასთან; უბედურება ისაა, რომ ამ მედიას იცავენ სხვა პარტიული ლიდერები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, ნუთუ მართლა ასე ბნელა? შეიძლება ესენი ერის კაცებად იწოდებოდნენ, ისინიც დანაშაულის თანამონაწილეები არიან და ეს ხმამაღლა უნდა ითქვას. მართალია, სულიერების ციტადელი შეარყიეს, მაგრამ ისიც გამოჩნდა — ვინ და რომელი ძალები არ ისვენებენ.

პატრიარქი ენდობა გამოძიებას, თუმცა „ნაცები” არ ენდობიან და მისი ხელმძღვანელის გადაგომას ითხოვენ. დაველოდოთ იქნებ პროკურატურამ გადაარჩინა პატრიარქი და მამა გიორგისთვის არაფერი ისეთი მოუწყვიათ, რასაც წლების უკან თავად აკეთებდნენ ეს ნეოფაშისტები, ან სადაა გარანტია, თვითონ არ არიან ამის მოთავე.

გადამწყვეტი ეტაპი დადგა საქართველოს ცხოვრებაში — ან საბოლოოდ უნდა აეხადოს ფარდა ნაციონალების ავკაცობას ან საბოლოოდ დავასამაროთ ქართული სულიღმერთი და ეკლესია, ქართველი კაცის ღირსება და ტრადიციები. ეს უკანასკნელი ციტადელიც მორყეულია. ვინ გაამაგრებს? ვის აწუხებს, ვის ტკივა ეს ქვეყანა? ვისთვის რეკს ზარი?

**ზაურ აბრალავა,**
**გაზეთის „ნიკოლაძის გზით” რედაქტორი**
**ტელ: 568 41 71 58**

# დროა, გავიღვიძოთ და გადავარჩინოთ ქვეყანა!

## დადგა ჟამი, კვლავ შემოვკრათ კაკაბეთის ზარები...

დაუნდობელ-ყოვლისწამლეკავი გლობალიზაციისა და მსოფლიოში ძალთა ხელახალი გადანაწილების დღევანდელ ურთულეს ვითარებაში ყოველი სახელმწიფოს წინაშე წამოიჭრება ისეთი პრობლემები, როგორიცაა სახელმწიფოებრიობის და რეალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, იდენტურობის, ეროვნული ინტერესებისა და უშიშროების დაცვა, ვითარების შესაბამისი და სათანადოდ მოქნილი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა, ქვეყნის შემდგომი განვითარების პრიორიტეტული მიმართულების დადგენა და მისი განხორციელების გზების მოძიება, ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება.

აღნიშნული შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ ქვეყანაში რეალური სახელმწიფო ძალაუფლების შემთხვევაში, რაც გულისხმობს ხელისუფლებისათვის საზოგადოების მხარდაჭერას და ერთობლივ ძალისხმევათა რეალურ უზრუნველყოფას.

აღნიშნულის განხორციელება რთული, ძალიან რთული საქმეა, რომელიც გულისხმობს ხელისუფლებისა და საზოგადოების ღრმად გააზრებულ ერთობლივ ქმედებას, მეცნიერულად სრულყოფილ და ხელოვნების უმაღლეს დონემდე აყვანილ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, რომლის წყარო და ჭეშმარიტი შემოქმედი უნდა იყოს ხალხი და მხოლოდ ხალხი.

ეს პრობლემები სახიფათო, რთული და ძნელად გადასაჭრელია ყველასთვის, და მითუმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა.

...და თუ ეს ასეა, მაშ, საქართველომ როგორ მოაღწია დღემდე, მაშინ როცა გაცილებით დიდი სახელმწიფოები და იმპერიები უკვე კარგა ხანია პირისაგან მიწისა აღგავა ჟამთასვლამ?

საქართველო განადგურებას გადაარჩინა ჩვენი დიდი წინაპირების – ქართველი ხალხისა და მისი მეფეების უაღრესად გააზრებულმა და მოქნილმა პოლიტიკამ, რომელმაც მტრულად განწყობილ გარემომცველ სახელმწიფოთა მიზნების გაუვალ ლაბირინთებში საქართველო ეროვნულობისა და ქრისტიანობის დროშით გამოატარა.

არც ის იყო შემთხვევითი, რომ ქართველი მეფეები სასახლეებიდან ან კარგად დაცული სიმაღლეებიდან კი არ ადევნებენ თვალს ბრძოლის ველს, არამედ ხმალამოღებულნი წინ მიუძღოდნენ ლაშქარს და პირველნი ხელდახელ ეკვეთებდნენ მტერს.

აი, სწორედ ეს იყო ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობის ე.ი. რეალური ძალაუფლების საფუძველთა-საფუძველი. როცა რომელიმე მეფე ამ ერთიანობას ვერ უზრუნველყოფდა, ძალაუფლებას კარგავდა, რაც ქვეყანას ძვირად უჯდებოდა.

თუ ქვეყანაში ხელისუფლება უზრუნველყოფილია რეალური ძალაუფლებით, ე.ი. ხელისუფლებას აქვს ხალხისა და საზოგადოების სრული მხარდაჭერა, მაშინ სწორედ ხალხი განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც ღრმად იქნება გააზრებული პრაგმატული და სხვა სახელმწიფოთა ინტერესებთან მიმართებაში.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია სწორედ ასეთი მრავალვექტორიანი გააზრებული პოლიტიკით არის გამორჩეული, რამაც გადაარჩინა ჩვენი ერი და შეგვინარჩუნა ქართული სახელმწიფოებრიობა.

დღეს, ყოვლისწამლეკავი გლობალიზაციისა და მსოფლიოში ძალთა ახალი გადანაწილების ვითარებაში, როცა მტერი პირდაპირ ხმალშემართული არ სჩანს, კვლავ დიდი საფრთხე ემუქრება ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეროვნულობას და, საერთოდ, ქართველი ერის არსებობას.

დიახ, ეს ასეა და ნურვინ ეცდება თვალი დახუჭოს ამ რეალობის წინაშე!

ეს საფრთხე ჩვენთვის განსაკუთრებით მძაფრდება იმის გამო, რომ საქართველოს უკვე კარგა ხანია არ ჰყოლია და არც დღეს ჰყავს ეროვნული ხელისუფლება!

ჩვენში კი დღეს ასეთი ვითარებაა:

- საქართველოს ხელისუფლება მოქმედებს სხვათა კარნახით და შეშინებული თვალებით ელოდებიან განაჩენს დასავლეთიდან, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ქვეყნის პოლიტიკის მიზნად იქცა ის კი არა, ემსახურებოდეს ჩვენს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, არამედ როგორმე აამონ აშშ-ის მთავრობას; ამიტომაცაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ასე უცერემონიოდ ერევა ქვეყნის საშინაო საქმეებში – სასამართლოს, სამინისტროების, ცალკეული უწყებების, მასმედიის საკითხებში, თავად „ადგენს" ვინაა მტყუანი – ოპოზიცია თუ ხელისუფლება(!?)

ელჩი, როცა ამას ბედავს, ეს უშუალოდ ჩვენი ხელისუფლების უსუსურობის შედეგია.

- ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უუნარობის და სხვათახელისშემყურე პოლიტიკის შედეგია საგარეო პოლიტიკის ცალმხრივი – ერთვექტორული ხასიათი, რომელსაც შედეგი არასოდეს მოუტანია და ვერც მოიტანს. სამწუხაროდ, ჩვენში საზოგადოების ერთი ნაწილის შეხედულებები და, მეტ-ნაკლებად, საზოგადოებრივი აზრიც კი, სახიფათოდ დეფორმირებულია, ანტიეროვნულია და ხელისუფლებას არც აქვს სურვილი დაძლიოს ეს პრობლემა. არადა, დასავლეთიდან მოწოდებული გრანტები, სადაც დიდძალი თანხებია დაბანდებული, მიზნად ისახავენ სხვისი ინტერესების რეალიზაციას ჩვენში და ჩვენი საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოყენებას მხოლოდ მათი ინტერესებისათვის.

- დასავლეთში საქართველო წარმოდგენილია, როგორც განვითარებადი ქვეყანა, რომელიც თითქოსდა შორსაა ევროპული განათლებისა და ღირებულებებისაგან. ასეთი ვითარება ჩვენშიც ბევრს აწყობს ბარაქიანი გრანტების მისაღებად და არ ვაანალიზებთ ამ ადამიანების „მოღვაწეობას", რომელიც სამშობლოს ღალატის დონემდეა აყვანილი. ეს ადამიანები მთავრობასაც მკაცრად თხოვენ, ჩვენს ჭკუაზე იარეთო და მთავრობაც ცახცახებს მათ წინაშე.

არადა, როცა „შუშანიკის წამება" დაიწერა, როცა კაცობრიობას შევძინეთ „ვეფხისტყაოსანი", მაშინ ევროპის ბევრ ქვეყანაში ერთმანეთს დაუნდობლად აჭრიდნენ თავებს.

რას ეხვეწებოდა დიდი სულხან-საბა დასავლეთს – წერა-კითხვა გვასწავლეთ, უკულტუროები ვართ და კულტურას გვაზიარეთ, მამულის, ერის, ოჯახის სიყვარული გვასწავლეთო?

არა და არა!

ჩვენ დასავლეთში არც ჭკუის სწავლა გვჭირდებოდა და ვთხოვდით მხოლოდ, დაგვხმარებოდნენ ჩვენი სამშობლოს – ქრისტიანული საქართველოს დაცვაში, ქვეყნის განადგურებისაგან გადარჩენის საქმეში.

მაგრამ დასავლეთი და, კერძოდ, ევროპა არც მაშინ და არც შემდგომ არასდროს დაგვხმარებია. ეჭვი არაა, მომავალშიც არავინ დაგვეხმარება, თუ ვინმეს თავად არ ვჭირდებით მათი ინტერესებისათვის.

ასე, რომ დასავლეთის ასე უაზროდ გაფეტიშება, კარგს არას გვიქადის! ვერც ე.წ. ვიზა-ლიბერალიზაციის გადაჭარბებული შეფასება არგებს ქვეყანას.

- დასანანია, ქვეყნის ხელისუფლებას სრულად რომ არ აქვს გაცნობიერებული, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ფასეულობათა დაცვასა და შენარჩუნებას. ამ მხრივ დანაშაულებრივი დაუდევრობა იკვეთება ჩვენი ისტორიული ძეგლების, მუზეუმებისა და სამუზეუმო ექსპონატების, გამორჩეულ მამულიშვილთა სახლ-მუზეუმებისა და მემორიალების, ქართული მწერლობის, ქართული ენის სიწმინდისა და ქვეყანაში მისი პრიორიტეტულობის უზრუნველყოფის, ლიტერატურის, მწერლობის, თეატრის, განათლებისა და სხვათა მიმართ. ამ სულისკვეთების მკაფიო დადასტურებაა ხელისუფლების ძალისხმევით საყდრისის ისტორიული ძეგლის განადგურება.

- საკამათო არაა, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა და ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველთა-საფუძველი ყოველთვის იყო და არის სოფელი. დიდი შოთა როცა ამბობს: „ვა, სოფელო!", ან, როცა ქართველი კაცი იტყვის „წუთისოფელიო", აქ რომელიმე დასახლებული ადგილი – სოფელი კი არ იგულისხმება, არამედ ქართველისათვის სოფელი სამყაროს სინონიმია... და ეს იმიტომ, რომ სოფელი იყო, არის და იქნება საქართველოს ძლიერების საფუძველი.

საქართველოს ხელისუფლებამ კი სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის ამ საფუძველს შეუტია და სოფელთა ორი მესამედი ნასოფლარად აქცია. დაიხურა სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბები, ჯანდაცვისა და მომსახურების ობიექტები, გლეხს წაართვეს მიწა, საძოვრები, ტყე, მდინარე. ქართველ გლეხს სოფლის ტყიდან ფიჩხის გამოტანის უფლებაც არ აქვს, ე.ი. მას მოუსპეს არსებობის ყველა პირობა. შიგა ბაზრის დაუცველობის გამო უაზრობა გახდა გლეხმა თვად მოიწიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მიაწოდოს ქართულ ბაზარს. გაიყიდა მიწები, დაიცალა და გაუკაცრიელდა სოფლები.

ქართველი იძულებულია გაიქცეს ქვეყნიდან!

ჩვენ ოკუპირებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების იურიდიული საფუძველი მუდამ გვექნება, მაშინ, როცა ასეული ათასობით ჰექტარი მიწა, რაც უცხოელებზეა გაყიდული, სამუდამოდ დაკარგულია დაბრუნების იურდიულ უფლებასთან ერთად!

- დღითიდღე სულ უფრო გაუსაძლისი ხდება საქართველოში დარჩენილთა ყოფა, სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით. ტოტალური უმუშევრობა აჩანაგებს ადამიანებს სულიერადაც და ფიზიკურადაც. დაცინვაა 180 ლარის ოდენობის პენსია, მაშინ როცა ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში მოკალათებულ ჩინოვნიკთა ხელფასები, პენსიები თუ დანამატები ათეული ათასი ლარია. ხელმიუწვდომლად გაძვირდა მედიკამენტები, მათ ხარისხსა და ვარგისიანობაზე რომ არაფერი ვთქვათ. საავადმყოფოში მკურნალობაც შეუძლებელი და მიუწვდომელი ხდება, რასაც სრულად ვერ უზრუნველყოფს დღეს არსებული სამედიცინო დაზღვევის სისტემა. შემაშფოთებელია ისიც, რომ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში დაუცველია ადამიანის შრომა, რაც, არც თუ იშვიათად, მონური შრომის ხასიათს ატრებს და განმკითხველი არავინ სჩანს!.. სასამართლოებმაც დაკარგეს ნდობა და ავტორიტეტი!

- საუბედუროდ, ხელისუფლება მოსწყდა ხალხს და ამიტომ დღითი-დღე კარგავს მოქმედების უნარს და ავტორიტეტს, რადგან თუ ხელისუფლებას არ აქვს ხალხის მხარდაჭერა, მაშინ მას არც ძალაუფლება აქვს. ე.ი. ხალისუფლება არალეგიტიმური და ფიქტიურია. რას ფიქრობენ ხელისუფლების გაბღენძილი ბობოლები, როცა არ უსმენენ ხალხს! ხალხს არ აქვს შესაძლებლობა შეხვდეს ხელისუფალს არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ მთავრობაში. ხელისუფლების მთელ ვერტიკალზე ფაქტობრივად არსად არაა მოწესრიგებული მოქალაქეთა მიღება. არავინ პასუხობს მოქალაქეთა წერილებს, განცხადებებს, საჩივრებს თუ თხოვნას.

- ხელისუფლებას არ აინტერესებს საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი, უხეშად უშლიან ხელს სამოქალაქო მონიტორინგისა თუ კონტროლის საზოგადოებრივი საბჭოების მუშაობას. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ შენობებში თავი აარიდეს საზოგადოებრივი მისაღებების შექმნას, პრაქტიკულად უგულებელოფილია მართვაში სამოქალაქო ჩართულობის პრინციპი, გადაწყვეტილებების მიღებისას არ ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

გაწეული მუშაობის შესახებ ხელისუფლება ანგარიშს არ აბარებს ხალხს. თუ აბარებენ ანგარიში ფორმალურია და არაფრისმთქმელია!

უკვე ყოველგვარი არჩევნებიც ჰკარგავს აზრს!

ცხადია, ქვეყანაში ასეთი უარყოფითი ვითარების ბოლომდე და სრულად წარმოდგენაც კი შეუძლებელია...

ქვეყანა რომ აქამდე მივიდა, ამაში წვლილი ჩვენ, სწორედ ჩვენ მიგვიძღვის. ვგულისხმობ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს, ლიტერატურასა და ხელოვნების მუშაკებს, პედაგოგებს, სპეციალისტებს, სპორტსმენებს, სტუდენტებს, რიგით ადამიანებს, რომლებსაც ღრმად ჩაგვძინებია და მგონი, „დეპოშიც არ ვაპირებთ გაღვიძებას!"

ქვეყნის ბედი ჩვენზეა დამოკიდებული და ჩვენ კი ვდუმვართ, ხმას აღარ ვიღებთ, თუ ვიტყვით რამეს, ნათქვამს მაამებლობისა და კონიუქტურის საშინელი სენის ნიშანი აზის და იქნებ ყველამ არც კი იცის, რომ კონიუქტურით შეპყრობილი კაცი საზოგადო მოღვაწე არასოდეს იქნება! მლიქვნელობამ და მაამებლობამ გამოათაყვანა ქვეყანა!

შექმნილ ვითარებაში დავკარგეთ სამშობლოსათვის ჭეშმარიტად მზრუნველი შვილისა და მამულიშვილობის სულიერი სიმაღლე, ვერ წარმოგვიდგენია მთავრობისადმი მკაცრი განაწესის წარდგენა, შესრულების მკაცრი მოთხოვნა... და საზოგადო მოღვაწეებად კი მოგვაქვს თავი!

იმასაც ვერ ვახერხებთ, ხალხის გულისთქმისადმი დაყრუებულ ზოგიერთ ჩინოვნიკს გამოვუცხადოთ საზოგადოებრივი უნდობლობა და გადავაყენოთ თანამდებობიდან.

ასეა, ვისაც თევზის დაჭერა სურს, ფეხიც უნდა დაისველოს!

სხვანაირად შედეგი არ დადგება!

გვახსოვდეს ყველას, რა მოგვიწოდა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია მეორემ: „დაიცავით თქვენი წილი საქართველოო!"..

ჰოდა, უნდა მივყვეთ უწმინდესისა და უნეტარესის მოწოდებას!

ქუთაისში ოცი წელია ფუნქციონირებს სამოქალაქო მონიტორინგის კონტროლის საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, ჟურნალისტები და სხვები. გაწეულია დიდი მუშაობა ხელისუფლების საქმიანობაზე მონიტორინგის შდეგების გაანალიზების და რეაგირების მიმართულებით. გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია.

მიმდინარე წლის იანვარში დავაფუძნეთ სამოქალაქო გაერთიანება – სრულიად საქართველოს საზოგადოებრივი-სადისკუსიო დარბაზი „ღირსება", რომლის დამფუძნებლებთაგან ერთი არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ხუთი კი – ქუთაისის საპატიო მოქალაქე.

დადგა ჟამი, კვლავ შემოვკრათ კაკაბეთის ზარები!

ჯერ კიდევ აქვს აზრი სამშობლოსათვის ზრუნვას და დროა გავიღვიძოთ, მამულიშვილნო!

თავს ნუ შევირცხვენთ შთამომავლობის წინაშე, გადავარჩინოთ ქვეყანა!

**ბენია თხილავა,**
**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ჟურნალისტი, ქუთაისის საპატიო მოქალაქე**



**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ 78 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე,**

**ბატონი გენო კალანდია...**

**უფალმა განათლოს განსვენებულის სული...**
**ღორონთქ განათას გენო კალანდიაში შურ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიზალიბერალიზაციური ეიფორია

ტაიანიმ ხელი მოაწერა საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების დოკუმენტს, რაც იმას ნიშნავს, რომ მალე საქართველოს მოქალაქეებს, როგორც ტურისტებს, კარი გაეხსნებათ უვიზოდ იმოგზაურონ შენგენის წევრ სახელმწიფოებში, ცხადია ბიომეტრიული პასპორტების აღების და რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

აქვე ვიტყვი, რომ ევროკავშირის ქვეყნებში 90-დღიანი მოგზაურობა გამორიცხავს იქ დასაქმებას ან რაიმე სახის ბიზნესპროექტებში მონაწილეობას, სწავლა-განათლებას და ა.შ. უვიზო შესვლა მხოლოდ ტურისტულ მოგზაურობას ეხება და სხვა არაფერს, რაც უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მოქალაქემ. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დეპორტაცია არ ასცდება, თან შესაძლოა საერთოდ უარი უთხრან ევროპაში განმეორებით შესვლაზე. იმ შემთხვევაში თუ უვიზო შესვლას, მრავლობით რიცხვში დარღვევები მოჰყვება, ევროკავშირს შეუძლია მკაცრი ზომების მიღებაც – საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო შესვლის წესის შეჩერება.

შეძლებს თუ არა საქართველოს მოქალაქე იქ დარჩენის ცდუნებისგან თავის შეკავებას – ძნელი გამოსაცნობია.

დღემდე არსებული ვითარებიდან გამომდინარე საფუძვლიანი ეჭვია, რომ ვერ შეძლებს და რატომ? უპირველესად იმიტომ, რომ მას, ვისაც ევროპაში დარჩენა სურს – სამუშაოს მოსაპოვებლად, სულაც არ ადარდებს რა მოხდება მისი იქ დარჩენის შემდეგ ანუ აუკრძალავენ თუ არა სხვას ევროპაში უვიზოდ შესვლას. მსგავს ეგოისტთა რაოდენობა არცთუ მცირე იქნება. ისინი რახანია ელოდებიან ამ შანსს და ხელიდან არ გაუშვებენ. ასეთთათვის ევროპაში უვიზო შესვლა უდავოდ დიდი შეღავათია, ვინაიდან თავიდან აიშორებენ საკმაოდ მსუყე თანხების დახარჯვას – არაკანონიერი გზით ვიზების მიღებისთვის.

ყველასთვის ცნობილია საქართველოში აკრედიტებული უცხოური საკონსულო დაწესებულებების კორუფციის თაობაზე. ისინი ხომ ზედმეტ ფულს იღებდნენ ევროპაში წამსვლელთაგან ტურისტული ვიზის გაფორმებაში. ყველა საკონსულომ, ვინც ვიზებს გასცემდა კარგად იცოდა, რომ ქართველ „ტურისტთა“ უდიდესი უმრავლესობა ევროპაში სამუშაოდ დამრჩენი იყო. იცოდა და სწორედ ამიტომაც დიდ ფულს ადებდა ვიზას.

ასე და ამრიგად საბერძნეთი, გერმანია, საფრანგეთი, ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოები არალეგალი ქართველებით გაივსო. მათ შესანიშნავად აუღეს ალღო იქაურ წესებს და უკვე მერამდენე წელია მუშაობენ, ცხადია არალეგალურად და საქართველოში დარჩენილ ოჯახს არჩენენ, თან მაქსიმალურად ცდილობენ შვილებსაც იქ (ახალ სამშობლოში) გამოუძებნონ სამსახური და აქედან წაიყვანონ. თუ ამდენ ხანს გამგზავრებას უკანონოდ, კორუფციულად ახერხებდნენ, 20 დღის შემდეგ, კანონიერი გზით აისრულებენ გულით საწადელს. ასეთთათვის უდავოდ დიდი შეღავათია ევროპაში უვიზოდ შესვლა.

დიდი შეღავათია იმათთვისაც, ვისაც იქაურობის ნახვა სურს და უკან დაბრუნება, ანუ ნამდვილი ტურისტობა. ასეთთა რაოდენობა ცოტაა, რამეთუ დიდ ფულთან არის დაკავშირებული. საქართველოს მოქალაქეთა მხოლოდ უმცირეს ნაწილს აქვს დიდი ფული – ტურისტულ მოგზაურობაში დასახარჯი. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, რომელიც უფულობას განიცდის, ევროპაში უვიზოდ შესვლას ზერელედ უყურებს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ადამიანს, რომელსაც შინ, ერთი ქალაქიდან მეორეში წასვლა, უფულობის გამო პრობლემად აქვს ქცეული, ევროპაში ვერ წავა.

ევროპაში უვიზოდ შესვლა, გარკვეული სახით სატყუარაც არის, თუნდაც იმათთვის, რომელთაც უცხოეთში გამგზავრება სულაც არ აქვთ გეგმაში. „ცდა, ბედის მონახევრეას“ პრინციპით – მათ შეუძლიათ წელებზე ფეხის დადგმა და შესაბამისი თანხის დაგროვება – იქ გასამგზავრებლად, არალეგალურად, მუშაობის დასაწყებად და შინნასესხები ფულის გასასტუმრებლად.

უვიზო გამგზავრებას სხვა „სიკეთეებიც“ ახლავს თან – ქვეყნის დაცარიელება. არვინ თქვას, რომ ამას ადგილი არ ექნება. სხვა ქვეყნების მაგალითები უხვად გვაქვს და მათი მიხედვით, ევროკავშირის წევრი ახალი სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად არის შემცირებული, მას შემდეგ, რაც შენგენის წევრობა მიიღეს. საქართველოს მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა სწორედ სავიზო რეჟიმის დროს მოახერხა ევროპაში შესვლა და უვიზო შესვლის პირობებში რა იქნება?

ეს კითხვა ხელისუფალთ უნდა აწუხებდეთ, მაგრამ არა. ისინი სხვაგვარად ფიქრობენ, ჩემის აზრით არასახელმწიფოებრივად. მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის ევროკავშირის გადაწყვეტილება მთლად ეიფორიულად არ უნდა აღიქმებოდეს, ვინაიდან მან შეიძლება ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა სამუდამოდ განარიდოს სამშობლოს.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას შინ ეზრუნა სამუშაო ადგილების შექმნისთვის, დიდი ენერგია დახარჯა ბრიუსელში სირბილში და იქაურთათვის ხვეწნაში. ბრიუსელიც, ხელოვნურად თავდაფასებული და მკაცრი მასწავლებლის როლში შესული, დროს აჭიანურებდა, თან გვამადლიდა – ხომ ხედავთ, რას ვაკეთებთ თქვენთვისო. არადა იმათავითვე იყო ცნობილი, რომ ის ამ საქმეს დადებითად გადაწყვეტდა და რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის ჯიბრი ჰქონდა და აქვს. და რომ რუსეთი არა, ბრიუსელი არც მოლდოვას, არც უკრაინას და არც საქართველოს ასეთ „საჩუქარს“ არ გაუკეთებდა.

მოლდოვა რახანია აზიარეს უვიზო მიმოსვლას, უკრანას კი ზაფხულში აზიარებენ.

მოლდოვას ახალმა პრეზიდენტმა დოდონმა, რომელმაც ევროპასთან ასოცირებული წევრობა ნეგატიურად შეაფასა და მზადაა ახალ პარლამენტს ხელშეკრულების გაუქმებისკენ მოუწოდოს, განაცხადა, რომ ვიზალიბერალიზაციამ ამ ქვეყანას ცუდის მეტი არაფერი მოუტანა.

დიდი კმაყოფილება არც რუმინეთს, ბულგარეთს, ბალტიისპირა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ეტყობათ, ვინაიდან ვიზალიბერალიზაციის შედეგად მათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს. თუ მოლდოვა და საქართველო ბევრს ვერაფერს დაუშავებს ევროპას – იქ არალეგალურად დარჩენის თვალსაზრისით, 45-მილიონიანი უკრაინა იოლად გადასამუშავებელი არ იქნება.

უკრაინაში შექმნილი ქაოსი და შიდა დაპირისპირება, უმუშევრობა, უმძიმესი სოციალური სახის პრობლემები ევროპაში გამგზავრების მსურველთათვის დიდი სტიმულია. უკრაინისთვის უვიზო მიმოსვლის დაწესება ევროკავშირისთვის დიდი რისკია, თუმცა, როგორც ჩანს ბრიუსელი მზადაა დააკმაყოფილოს უკრაინის თხოვნა, რითაც კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს რუსეთის ორბიტიდან უკრაინის გასაყვანად.

ბრიუსელი მზად არის აიტანოს ყოფილი სამი საბჭოთა რესპუბლიკიდან ევროპაში შესული ე.წ. ტურისტები, პოტენციური არალეგალური მუშები, ოღონდ შეასრულოს პოლიტიკური მოთხოვნა – რუსეთის გავლენის სფეროს შემცირება და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე საკუთარი გავლენის გაფართოება.

უვიზო მიმოსვლა და ასოცირებული წევრობა ხომ იმ გეგმის ნაყოფია, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შემუშავდა ბრიუსელში და რომელიც ზემომოყვანილ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება?

ასე, რომ ბრიუსელს იმთავითვე ჰქონდა გადაწყვეტილი სამივესთვის ვიზალიბერალიზაციის მიცემა. მაშ რას ზეიმობს საქართველოს ხელისუფლება?

რატომ მიიჩნევს ის ამ ამბავს, როგორც უდიდეს საქმეს და გამარჯვებას? იმიტომ ხომ არა, რომ მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეაყაროს თვალში ნაცარი?

ვაგლახ, რომ ასეა! ვუსმენ რა საქართველოს პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის ბრიუსელში გაკეთებულ განცხადებას, ილუზია მექმნება, რომ საქართველომ ახალი დიდგორი, ახალი 2008 წლის აგვისტოს ომი მოიგო. რა გამოდის – უვიზო შესვლა მოუგია.

„ეს, არის ჩვენი დიდი წარმატება. ეს, არის მთელი 25 წლის განმავლობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, არაერთი ადამიანის გმირული მოღვაწეობის შედეგი, მათ შორის რა თქმა უნდა მოვიხსენიოთ ის ადამიანები, რომელთაც თავი დადეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის და სიცოცხლე შესწირეს მას...“

ეს „სადღეგრძელო“ – სხვას ვერაფერს დაარქმევ, უდავოდ დამშვენდებოდა მართლაც მნიშვნელოვან გამარჯვებას – ომში გამარჯვებას და არა პრიმიტიულ ვიზალიბერალიზაციას, რომლის განხორციელება, სხვათა გამოცდილებიდან გამომდინარე, არცთუ დადებითად იმოქმედებს ნაკლებმოსახლიან საქართველოზე.

ესოდენ პატრიოტული აღტაცება პრემიერს რომ დაპირებული 100 ახალი ქარხნის ერთდროულად გახსნის ცერემონიალზე წარმოეთქვა, ისიც არ იქნებოდა ეიფორიის საბაბი და ვიზალიბერალიზაციისთვის? თანაც მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლების წვლილი ისაა, რომ მან უარი არ თქვა ამაზე. წვლილი ვისიცაა – ბრიუსელია და არა თბილისი, რამეთუ მას, რომ თავისი ჩანაფიქრი არ განეხორციელებინა, ოფიციალური თბილისი ვერაფერს გახდებოდა – სასთუმალიც რომ დაედო ევროკავშირის კართან.

პრემიერმა თავის განცხადებაში ქვეყნის დამოუკიდებლობა ახსენა, რაც სულ ახლახანს დამტკიცდა სტრასბურგელი მოსამართლის მხრიდან – ცხადია შებრუნებითი მნიშვნელობით. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, გაწბილებულმა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა უმალ სტრასბურგს მიმართა და მანაც ელვისსისწრაფით მოახდინა რეაგირება, „რუსთავი-2“-ის სასარგებლოდ, თან თითიც დაუქნია საქართველოს ხელისუფლებას – აწ და მარადის ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკა ისეთი უნდა დარჩეს, როგორიც არისო.

ამ ამბავმა მთელი ევროკავშირ-ამერიკა ააყაყანა – შეხედეთ, რას სჩადის საქართველოს პრორუსული ხელისუფლება, რუსი ოლიგარქის ივანიშვილის მეთაურობით, დემოკრატიას ბღალავსო! გაისმა მუქარაც – თუ სასამართლოს გადაწყვეტილებას აღასრულებთ, ვიზალიბერალიზაციას გაგიუქმებთო და ა.შ.

ესეც, ჩვენი სისხლით მოპოვებული „დამოუკიდებლობა“.

დამოუკიდებლები და სუვერენულები რომ ვიყოთ, ვერც ბრიუსელი და ვერც ვაშინგტონი ხმას ვერ გაგვცემდა, მაგრამ საქართველო 25 წლის წინათ გამოვიდა რა საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებიდან, უმალ თავი შერგო ახალ უღელში, ვითომ დემოკრატიულში – ევროატლანტიკური სივრცე რომ ჰქვია. და იმდენად კმაყოფილია იქაური ნასუფრალის მიღებით, რომ მზადაა სულითხორცამდე მიეწებოს მას.

ამას წინათ ერთი ჩემი კრიტიკოსი წერდა – ჭიპაშვილმა არ იცის, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთმა დაარღვია და საგარეო ურთიერთობები აგვიკრძალაო. ჩემი პასუხი გეორგიევსკის ტრაქტატის იმ პუნქტის გამოქვეყნება იყო, სადაც ხელმოწერისთანავე ჩაიწერა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკას ამ დღიდან დაწყებული თბილისი კი არა სანკტ-პეტერბურგი წარმართავდა.

ასე, რომ რუსეთს არაფერი წაურთმევია. ჩვენ თვითონ წავართვით საკუთარ თავს, ისე, როგორც დღეს, გეორგიევსკიდან მრავალი ათეული წლის გასვლის შემდეგ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

მაგრამ ეს ნაკლებად ანაღვლებს საქართველოს ხელისუფალთ. მათთვის მთავარია თავი ნატოსა და ევროკავშირში შერგონ. ქვეყნის მართვის სადავეები, ის უმცირესიც, რომელიც შემორჩათ, ამ ორგანიზაციებს გადააბარონ, თვითონ კი განიმტკიცონ ქვეყნის ნომინალური მმართველობა, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე.

თუ ქვეყნის უსაფრთხოების საკითხები ნატოს ჩაბარდება, ეკონომიკური კი – ევროკავშირს, პარლამენტის და მთავრობის ნომინალური სხდომების ჩატარებას რაღა უნდა?!

და ვიქნებით ქვეყანა, ხალხისგან დაცლილი, სხვისი მოიმედე, სხვაზე ჩაბარებული. განა რა სჯობს ამას ხელისუფალთათვის?

ამიტომაც ზერელედ უყურებენ ისინი იმ ვითარებას, რაც ევროკავშირშია შექმნილი. მათ არ აღელვებთ არც ევროკავშირის დაშლა და არც ნატოსთვის წყლის შეყენება. დიდი იმედი აქვთ, რომ უცბათ, ერთ დღეში, ეს ორგანიზაციები არ დაიშლება და თუ ერთი წევრიც დარჩება, მზად იქნებიან იმას შეუერთდნენ.

**ჯ. ჭამლეტიძე,**
**პოლიტოლოგი**

# რუსეთში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მიგრანტების განთავსების იდეა რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება

საქართველოში მიგრანტთა განთავსების შესახებ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის მოსაზრებას რუსეთში პირველი კომენტარები უკვე მოყვა. რუსეთში მიიჩნევენ, რომ საქართველოში მიგრანტების განთავსების იდეა, საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის გათვალისწინებით, რუსეთის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამასთან დაკავშირებით სააგენტო **„რია ნოვოსტისთან“** კომენტარი გააკეთა რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ფრანც კლინცევიჩმა.

**„ჯერჯერობით ეს არის საქართველოს რეაქციის შემოწმება, მაგრამ შემდეგ ამას შესაძლოა მოჰყვეს უფრო კონკრეტული წინადადებები და ნაბიჯები. ცხადია, ევროკავშირის ქვეყნები ეცდებიან, შეძლებისდაგვარად, სწრაფვას იქითკენ, რომ ჩამოიხსნან საიმიგრაციო კრიზისის ტვირთი და ის სხვას გადააბარონ“,** – განაცხადა კლინცევიჩმა.

მისივე თქმით, ამ ცოტა ხნის წინ საქართველომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მიიღო, **„უფასო ყველი კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სათაგურშია“. „საქართველოსთან დიდი ხნის ისტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე, ამ ქვეყანაში არსებული ვითარება, შეუძლებელია, არ გვაღელვებდეს. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის წინადადება ხომ პირდაპირ ეხება რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას, რომელსაც საქართველოსთან საკმაოდ დიდი საერთო საზღვარი გააჩნია, უპირველესად მუქარების ასპექტში, რაც საერთაშორისო ტერორიზმს უკავშირდება. ჩვენ გვახსოვს ის დრო, როდესაც საქართველოს პანკისის ხეობაში მზადდებოდნენ ტერორისტები, რომლებიც შემდეგ ჩვენთან კავკასიაში იარაღდებოდნენ“,** – აცხადებს ფედერაციის საბჭოს წევრი.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის მოსაზრებით, ევროკავშირის ლტოლვილთა მიღების ცენტრები ევროკავშირის ფარგლებს მიღმა უნდა გაიხსნას. ამის შესახებ სებასტიან კურცმა bild-თან ინტერვიუში განაცხადა. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფიქრობს, რომ ეს ქვეყნები შეიძლება იყოს საქართველო, ეგვიპტე და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები. მისივე განმარტებით, ის პირები, რომლებიც ევროკავშირის საზღვარს არალეგალურად გადაკვეთენ, ამ ცენტრებში იქნებიან მოთავსებული.

აღსანიშნავია, რომ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი სებასტიან კურცი საქართველოს 3 თებერვალს სტუმრობდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ამ ვიზიტის დროს აღნიშნული საკითხი არ განხილულა და, შესაბამისად, უწყებისთვის უცნობია, რას უკავშირდება მინისტრ კურცის ეს მოსაზრება.

ისიც ფაქტია, რომ ყველას თავისი მკვდარი ჰყავს სატირალი – ვერ გეტყვით რა საფრთხე დაემუქრება რუსეთს საქართველოში მიგრანტების განთავსებით, მაგრამ ეს მოვლენა რომ საქართველოსათვის ძალზე დიდი საფრთხის მომცველი იქნება – ფაქტია! ვიზალიბერალიზაციის ძალაში შესვლის შემდეგ ქართველები საქართველოდან ეშელონებად გაიკრიფებიან, მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა მაინც არ შემცირდება, რადგან წასულების ადგილს ეთნიკურად არაქართველი და არაქრისტიანი მიგრანტები დაიკავებენ. ამგვარი დემოგრაფიული ზრდა კი დამღუპველი იქნება საქართველოსათვის. ამიტომ, ჯობს ახლავე დავფიქრდეთ – უნდა გვიხაროდეს თუ უნდა გვეშინოდეს ვიზალიბერალიზაციის!

# წარღვნამდელი ცივილიზაციით შთაგონებული თანამედროვეობის აღმოჩენა

(იხ. 31 იანვარი-7თებერვალი 2017 წ. გაზეთი „ილორი“. გაგრძელება)

წარღვნამდელ ცივილიზაციაზე ბევრი რამ ბურუსითაა მოცული. აბაშელი მხატვრის ზაზა თოფურიას შემოქმედებაში, რომელიც სიზმრისეული ზეშთაგონებით არის მიღებული, ზოგიც კი უბრალოდ ბუნების მიღმისმიერი შთაგონებითაა განპირობებული, განსაკუთრებით ხაზგასმით არის გამოსახული უძველესი ცივილიზაციის მცირეოდენი დეტალებიც კი.

ვხედავთ ჩანახატებში ფიგურების მრავალფეროვნებას, უიშვიათესი, სიუცხოვით გამორჩეულ ორნამენტებითა და ფორმებით. ხშირად თვითნასწავლი შემოქმედის ჩანახატებში ფიგურირებს თვალი ყოვლისმომცველი, ყოვლისმნახველი ღვთიური თვალი. სულის, სულიერების სარკე, სხეულის შიგნით არსებული სამყაროს სულიერების გამაზიურებელი სამყარო.

მოჩანს მრავალრიცხოვან ჩანახატებში მეფე-ქურუმების მრავალიარუსიანი თავსარქმელი. ზედ ძვირფასი თვლები მიმზიდველად, ბრწყინვალებით აოცებს მნახველს. თავსახურავზე შთამბეჭდავია პირამიდა დანაყოფებით. აღნიშნულ დანაყოფებში არის სახესხვაობები ციურ მნათობთა ასევე სხვა სემიოლოგიური ნიშნები: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ბორჯღალო ეგრეთწოდებული სვასტიკა; მხატვარს თავის კომპოზიციებში ბორჯღალო მრავალფეროვნებით, მრავალსახეობით აქვს გამოსახული.

მეფე-ქურუმების მდიდრულ ძვირფასი თვლებით, ე.წ. თვალ-მარგალიტით შემკულ სამოსზე იეროგლიფური წარწერებია ამოქსოვილი. იმდროინდელი სიბრძნის ან ნიშანდობლივობის ასო-ნიშნები. როგორც აღვნიშნეთ ასეთ წარწერებს არამარტო ტანსაცმელზე, არამედ თავსაბურავებზე, ტაძრებში, კლდოვან თუ ხეზე აღნიშნულებს ვხედავთ. ამერიკელი მეცნიერი მიტფორდი წერდა, რომ **“ალფაბეტი წარღვნამდელი სამყაროს მემკვიდრეობაა”. სტრაბონი “კოლხურ მოდგმას ყველა დამწერლობის მამამთავრად თვლიდა”.** ძირითადად იწერებოდა ლოცვები, სიბრძნის, მრავალღმერთიანი წარმართობის სადიდებელი ამონარიდები. იწერებოდა გზამკვლევარობის, ხიფათისა თუ კეთილდღეობის აღმნიშვნელი მინაწერები. ქვის სტელებზე თუ ხის დაფებზე, ტაძრის კედლებზე მიწერილი იყო სამკურნალო რეცეპტები თუ რჩევები. წიგნები რადგან არ იყო, მცირეოდენი წარწერები ამოკვეთის სახით იყო ინფორმაციის მატარებელი შემეცნების უსაზღვრო, უკიდეგანო სიმდიდრიდან. წარღვნამდელი ცივილიზაციის დროს არსებული ქვეყნის კანონები ასევე ქვის სვეტებზე ან კედლებზე იწერებოდა. ძველ სამყაროში მეფე-ქურუმების ტანისამოსზე, მოსასხამებზე, ასევე უფრო კანონიკური წესდებები იყო აღნიშნული. ძირითადად მაშინ მეხსიერების ფენომენალური შესაძლებლობები არსებობდა. ადამიანები ზეპირსიტყვიერებებით იმახსოვრებდნენ უზარმაზარ ინფორმაციებს წარმართული რელიგიურობის, სიბრძნისმეტყველებისა თუ ბუნებისმეტყველების სფეროში. იქმნებოდა პოეტური სილამაზის უიშვიათესი სტრიქონები და ზეპირსიტყვიერების სახით მაშინდელ მეხსიერებაში ამოუშლელ შთამბეჭდავ განძს წარმოადგენდა. დიდებულთა თუ უბრალო ხალხის თავყრილობებზე. სიტყვაკაზმულობის იმდროინდელ დღევანდელობასთან შედარებით მწირი ფორმის, მაგრამ განსაკუთრებულად გონებაში ჩასაბეჭდი თუ გულში ჩამწვდომი სიტყვები წარმოიქმნებოდა ტკბილხმოვანებითა და ამაღლებულობით. წინარე კაცობრიობა უფრო ნათელმხილველური ტელეპატიური იყო, ვიდრე მეტყველებითი ფორმების განვითარებით.

უძველეს ქვეყანაში გამოიყენებოდა კალენდარით დროის, ჟამის აღწერა, აღრიცხვა. ყველაფერი ეს ხალხის ისტორიული წარსულიც ზეპირსიტყვიერებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

საინტერესოა სემიოლოგია თმებთან დაკავშირებით. თმებისგან გაკეთებული ნასკვების მრავალფეროვნება, სიმბოლოების ნაირსახეობა. თმის, როგორც ინფორმაციის გამტარიანობა, შემეცნებისა და შეგრძნებათა სახესხვაობა ნებელობისა და სამყაროსეული წიაღსვლის 50-ე მისტიკური გამოხატულება, ფიგურალური ნასკვების სახით.

ზაზა თოფურია შთაგონებით მიღებული ინფორმაციით გვაგებინებს, რომ მის ჩანახატებში არსებული თევზების, მწერების, ფრინველების აგებულების მქონე ფიგურები საფრენი აპარატები არისო. ზოგიერთ ხალხთა მითოსში გვხვდება მსგავსი საფრენი ობიექტები. სამხრეთ ამერიკის ინდიელთა ტომ ტაირონებში არის მცირე ზომის ოქროსგან გაკეთებული საფრენი აპარატის მსგავსი, მწერის თუ თევზის ფორმის თვალწარმტაცი საგნები. მათი დანიშნულება დღესდღეობით უცნობია. მათ ძირითადად კი ბავშვების სათამაშოდ თუ იყენებდნენ.

საინტერესო და გასაოცარია, ბოლომდე შეუცნობადი გვხვდება ჩანახატებში დანადგარები. აპარატურები წყლისა თუ ჰაერის სტიქიების გამოსაყენებლად, საყოფაცხოვრებო თუ სოფლის მეურნეობებში ტაძრების თუ სახლმშენებლობებში სამუშაოდ, დასახმარებლად არსებული დანადგარები.

წარღვნამდელ ცივილიზაციის ამ ქვეყანაში გარკვეულწილად იერარქიულობა იყო. მათ შორის საზოგადოებრივ ზეაღსვლითობის საფეხურებზე მყოფები ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ ჩაცმულობით, თავსარქმელით, სიმბოლოებით, ფეხსაცმლის მცირეოდენი განსხვავებულობითა და უმთავრესად ძალაუფლების გამომხატველ კვერთხების მრავალნაირობით. ისინი იმოსებოდნენ ცხოველური წარმოშობის მატერიალით. ძირითადად ფასდებოდა ნიანგის, გველის ტყავისაგან დამზადებული სამოსი თუ ფეხსაცმელი. უბრალო ადამიანები იმოსებოდნენ თხის და მისი მსგავსი წვრილფეხა ცხოველების ტყავისაგან.

უძველეს ქვეყანაში მოსახლეობას ყოფდნენ ცისფერთვალებიანებად და თაფლისფერთვალებიანებად. მათ შორის შედარებით ნაკლებად იყო დაქორწინება. დანარჩენი ურთიერთობები არ იზღუდებოდა. იყო მრავალშვილიანი ოჯახებიც.

კვებით იკვებებოდნენ ხორცეულით, უფრო მცენარეულითა და ხილ-ბოსტნეულით. თევზეულის დიდი არჩევანი ჰქონდათ. ალკოჰოლის ნაცვლად გამოიყენებოდა გარკვეული მცენარეების მათრობელა ნაყოფი, რომლის მიღების შემდეგ სასიამოვნო სიმთვრალის გრძნობა ეუფლებოდათ. გარდაცვალების შემდეგ განკუთვნილი ჰქონდათ სპეციალური სამარხები. ქურუმებს და სხვა დიდებულებს ძვირფასი ქვებით შემკულ უკანასკნელ განსასვენებელზე მოთავსებულს კრძალავდნენ მათ მიერ განკუთვნილ მცირე ზომის გამოქვაბულში. განსაკუთრებულად დაწინაურებულთათვის დიდი გამოქვაბულები იყო. მათ სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 80-100 წელს აღემატებოდა. გარდაცვალების შემდეგ ზოგიერთი ადეპტის თავის ქალა ითვლებოდა სალოცავ სიწმინდედ. ის თავსდებოდა ტაძრებშიც და ასევე, საკრალური დანიშნულების ხეებზე თუ კლდეებზე და ა.შ. ასევე, ასეთ ადგილებში გამოფენილი ჰქონდათ ზოგიერთი მათთვის წმინდა ცხოველის თავის ქალები.

მხატვრის სურათებში გვხვდება ავი სულების მქონე არსებები. ერთი მათგანია ერთრქიან-ერთთვლიანი ბანჯგვლიანი ადამიანის აღნაგობის ურჩხულის მსგავსი არსება. არის შექმნილი მდედრობითი სქესის ნიუ ერთრქიანი, სამთვლიანი, წაწვეტებულ ყურებიანი. მსხვილი თხის ფეხები ჩლიქებით, უკან ბასრი წვერიანი წანაზარდით, ხოლო მას ხელში ყვავილები უპყრია.

ერთ-ერთ ჩანახატში რეციპიენტი ნახავს შეიძლება დავარქვათ ქვების მისტერიის ტაძარს. ტაძრის არქიტექტურა გამოირჩევა იმით, რომ მის ირგვლივ გიგანტური ორსართულიანი სვეტებით დამშვენებული სალოცავი-სასწავლებელი ჩანს მრავალსაფეხურიანი კიბეები. ტაძრის წინ ეზოში მოთავსებულია მოდიდო შავი ფერის ქვა. მის ირგვლივ და ამ დიდ ეზო-მოედანზე მომლოცველები მიმოდიან. ეს თავისებურად ჰგავს მექაში მუსულმანთა მიერ წმ. ქვის მოლოცვას. ქვა კი სიმბოლოა სიმკვრივის, მტკიცე ხასიათის, მძიმე ნებისყოფის, აზრობრივი სიმყარის. გავიხსენოთ ეგრეთწოდებული **“ფილოსოფიური ქვა”** შუა საუკუნეების საკრალურობის სიმბოლო, რაც აზრობრივ სიმყარისა და სიმტკიცის არსობრიობაა და ამით ჭეშმარიტი გზისმაძიებლობის ჩამომყალიბებელი.

უძველესი ქვეყნების ტაძრებში სწავლობდნენ იმდროინდელი მომავალი სახელმწიფო სასულიერი თუ საერო პირები. ყურადღება ეთმობოდა როგორც სულიერ ისე ფიზიკურ სრულყოფას. სწავლის მაღალ საფეხურებზე იყოფოდა სასულიერო და საერო პირები და აღმზრდელობითი სისტემაც განსხვავდებოდა.

მრავალრიცხოვან ჩანახატებში ჩანს კლდოვანი ტაძარი გამოქანდაკებული უზარმაზარი გველებით, მათ ქვემოთ გამოკვეთილია სხვადასხვა ფერების შავი, თეთრი, წითელი და სხვა წრებრუნვის აღმნიშვნელი სიმბოლოები, რომელიც თავისებურად დღევანდელ საათებს გვაგონებს.

უძველესი წარღვნამდელი სამყარო სახელმწიფოებრიობის სახით არ იყო ერთადერთი. ეს ჩვენი ვარაუდით ატლანტიდაა. მეცნიერთა ვერსიით იყო ასევე ლემურია და ა. შ.

მომდევნო წერილებში მე გავაგრძელებ თვითნასწავლი, სმენადაქვეითებული მხატვრის ზაზა თოფურიას საინტერესო და განუმეორებელი თემატიკური თვალსაზრისით, თვითმყოფადი შემოქმედების აღწერას.

**მალხაზ-ლაზარე გრიგოლია**

# ლიბერალ-გლობალიზმის კრახის დასაწყისი

ბარაქ ჰუსეინ ობამა (როგორც ორი მისი წინმორბედი, ჯორჯ ბუში უმცროსი და ბილ კლინტონი) ძალინ სუსტი პრეზიდენტი იყო. სუსტი იყო არა იმიტომ, რომ პრეზიდენტობის დროს მისგან ითხოვდნენ გამორჩეულ ადამიანურ თვსებებს, რომელიც მან ვერ გამოავლინა და ვერ გაამართლა მასზე დადებული ფსონი. არამედ ყველაფერი დიამეტრლურდ საწინააღმდეგოთაა. ობამამ პრეზიდენტად გახდომამდე რამდენიმე ხნით ადრე, „ხელი მოაწერა თანმშრობლობის კონტრატს“ ლიბერალისტ-გლობალისტებთან. ხოლო ეს სისტემა ყოველთვის წინააღმდეგი იყო სახელმწიფოში ძლიერი მმართველობის, ძლიერი პრეზიდენტის და საერთოდ სახელმწიფოსი როგორც ასეთის, გამოკლებით იმ შემთხვევებისა როცა ქვეყნის ხემძღვნელობა მთლიანად მათზე, ლიბერალ-გლობალისტებზე იყო დამორჩილებული. ობამა, მთლიანი ასი პროცენტით აწყობდათ გლობალისტებს და პრინციპში ის იდელურდ მოერგო იმ „მოლაპარაკე თავის“ როლს რომელიც ლიბერალმა „ხაზეინებმა“დაავალეს პრეზიდენტად გახდომის სანაცვლოდ.

ტრამპი-ობამასგან დიამეტრალურად განსხვავებულია. ჯერ კიდევ, სანამ საპრეზოდენტო კანდიდატი გახდებოდა, მთელი მსოფლიო იცნობდა როგორც წარმატებულ ბიზნესმენს და ტელეწამყვანს, რომელიც ამერიკული უმაღლესი ელიტის შემადგენლობაში შედიოდა. ზოგი მისი მომხრე მას რუზველტს ადარებს, რადგან მან თავის საინაგურაციო სიტყვაში რუზველტივით „ახალი კურსის“ დაწყებაზე ისაუბრა, რომელიც ამერიკაში წარმოების დაბრუნებას, რეინდესტრულიციას, უამრავი სამუშაო ადგილის შექმნას, ეკონომიკაში პროტექციონალიზმს, სხვა ქვეყნების საქმეებში არჩაურევლობას ითვალისწინებს. ხოლო ისეთ პარაზიტულ, საერთაშორისო საფინანსო „საპნის ბუშტებს“, რომელზეც ხელს ისეთი საერთაშორისო აფერისტები ითბობენ როგორიც ჯ. სოროსი და ძმანი მისნი არიან, ან საერთოდ გააუქმებას ან მაქსიმლურდ ფრთების დაჭრას შეპირდა.

მაგრამ იქნება კი ტრამპის პრეზიდენტობა წარმტებული? რა პოზიციას დაიჭერს ოთხი წლის განმავლობაში ამერიკის კონგრესი და სენატი? ხოლო ლიბერლების კონტროლის ქვეშ მყოფი საინფორმციო საშუალებები გააგრძელებენ თუ არა ამერიკის მოსახლეობის მოშხამვას ტყუილებით, ტრამპის, მისი ოჯახის და გუნდის წევრების ვითომ საეჭვო კავშირების შესახებ რუსეთის სპეცსამსახურებთან? რის შემდეგაც ტრამპი ჩაეფლობა გაუთავებელ გარჩევებში თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან და წინასაარჩევნო დაპირებებს მეორე პლანზე გადაიტანს. აქ კი ოთხი წელიც უცბად გაირბენს...

შესაძლებელია თუ არა ტრამპის ლიკვიდაცია როგორც ეს კენედის შემთხვევაში იყო?

ტრამპი არის სისტემური პოლიტიკოსი, ის არ არის თვითნომინირებული პერსონა, მის უკან დგანან საკმაოდ გავლენიანი ძალები. იმაზე უფრო გავლენიანი ვიდრე გლობალისტ-ლიბერალები. ისინი დღეს საკმაოდ კონსოლიდირებული არიან (რაც საპრეზიდენტო არჩევნებმაც დაგვანახა) და არც ერთ შემთხევვში არ დაუშვებენ მათ მიერ არჩეული პრეზიდენტის მკვლელობას. კენედის მმართველობის დროს არ იყო ასეთი დაპირისპირება ელიტებს შორის როგორიც დღეს არის, არ იყო როგორც დღეს არის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, კენედის არ ყავდა აშკარა ღია მტრები როგორიც დღეს ყავს ტრამპს (თან პრესაში გაპირებული). ამიტომაც ლიკვიდაციის შესაძლო შემთხვევაში მთელი ამერიკა (ტრამპის მომხრეები მაინც) თითს გაიშვერს კონკრეტული პიროვნებების მიმართულებით და მოითხოვენ შურისძიებას. ასე რომ ამგვრი სცენარი ლიბერალ-გლობალისტებისთვის ძალიან სახიფათოა. ტრამპის ლიკვიდაცია მხოლოდ გააღრმავებს მათ წინააღმდეგ რისკებს და არაფერს გადაუწყვეტთ...

რატომ დაიძაბა სიტუაცია და დაირღვა ხელისუფლების რბილი გადაცემის ტრადიცია?

არჩევნებში დამარცხებული ფინანსურ-პოლიტიკური ჯგუფი რომლის საჯარო სახეს წრმოდგენენ ჯ. სოროსი და ჰ. კლინტონი, წამავალი ობამას ადმინისტრაციის ხელით ცდილობდა ყოველნაირი წინააღმდეგობა შეექმნა მომავალი ადმინისტრაციისთვის, რათა თავისთვის დაეტოვა მოედანი მომავალი ვაჭრობისთვის, ვაჭრობისთვის ადგილის გამო ფინანსური მზის ქვეშ. ვაჭრობისთვის იმათთან, ვინც ტრამპის უკან დგას.

ხოლო ტრამპის უკან დგას:

– ნაციონალური ბიზნესი (მაგალითად, სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ტრამპისგან ელოდებიან 6 ტრილიონი დოლარის ღირებულების ინფრასტრუქტურულ პროექტებს!);

– ამერიკის ტრანსნაციონალური კომპანიები. რომლებსაც ქუსლებზე აბიჯებენ ამერიკის ლიბერალ-გლობალისტების მიერ ბოლო 20 წლის განმავლობაში წარმოებული ლიბერალური „თავისუფალ კონკურენციის“ პოლიტიკის შედეგად მომძლავრებული ევროპული თუ აზიური კომპანიები.

– ამერიკის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, რომელიც ტრადიციულად ვერ იტანს დემოკრატ-გლობალისტებს რომლებიც ანაწილებდნენ სამხედრო ბიუჯეტს პენტაგონის სასარგებლოდ. უაზრო, არაფრისმომცემი ომები, ავღანეთსა და ერაყში რომელიც უამრავ ფულს ახარჯინებდა ბიუჯეტს, ფულს რომელიც წესით ჯარის გადაიარაღებაზე უნდა დახარჯულიყო. ხოლო ასობით მოპნეული სამხედრო ბაზები მთელ მსოფლიოში, რომელიც საუკეთესო გაუკონტრლებელი სალაფავი იყო პენტაგონელი გენერლების ჯიბის გასასქელებლად...

– ამერიკის ფედერალური ბიუჯეტი – ლიბერალების მთავარი შემოსავლის წყარო. ადრე ლიბერალ-გლობალისტები დოლარის ემისიის შედეგად მიღებულ შემოსავლებით და ე.წ. კოლონიალურ მოსაკრებელით საზრდოობდნენ. ამიტომ ამ სეგმენტში ბრძოლა განსაკუთრებით უშღავათო იქნება.

ყველაფერი აქედან გამომდინარე, მომავალი 100 დღის განმავლობაში გამოჩნდება კონტური იმისა, შეძლებენ თუ არა ტრამპი და მისი მხარდამჭერი ძალები მსოფლიოს დამანგრეველი ლიბერალ-გლობალისტური ძალების წელში გატეხვას. ტრამპს ხელში ყველა კოზირი აქვს, ამიტომ ჩემი აზრით ეს დღეც მალე დადგება.

**ვიქტორ ცაავა**

# ქართული მიწა არ უნდა გაიყიდოს, უფრო მეტიც, რაც გაყიდულია უცხოელებზე ისიც დასაბრუნებელია

*„მშობლიურო ჩემო მიწავ
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას,
წინაპართა ძვლებს დავიცავ.“*

გალაკტიონის ამ ბრწყინვალე პატრიოტულ ლექსს ვერავითარი მზაკვრული ხერხებით შედგენილი კონსტიტუციური კანონები ვერ დაუდგება წინ და ვერ დაუპირისპირდება.

ბრძენმა ქართველმა ხალხმა თავის სამშობლოს საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიას, რომელიც წინაპართაგან ისტორიული მემკვიდრეობით აქვს გადმოცემული უწოდა – დედა-მიწა.

ჩემთვის, მცირე გაბარიტიანი მეცნიერისათვის გაუგებარია ქართველმა გეოგრაფებმა, თუ რატომ უწოდეს საერთაშორისო ტერმინ ხმელეთს დედამიწა, თუმცა ის კია ცალსახად გასაგები, რომ სიტყვა დედა-მიწა ქართველი კაცისათვის ერთადერთი მნიშვნელობითაა დატვირთული – ის დედასავით საყვარელია და შეუცვლელი. დაუმატებდი იმას, რომ ქართული მიწა უბრალო სტეპის მიწას კი არ უნდა შევადაროთ, რომელიც გადამფრენი ფრინველების მოსასვენებელ სივრცეს რომ წარმოადგენს, არამედ იგი ისტორიული რელიქვიაა.

ადრე, ათასეული წლების წინ და შემდეგაც ჩვენი წინაპრები ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერები ყოფილან, არაერთი ცივილური საზოგადოება უშენებიათ, საკუთრებაშიც ვრცელი ტერიტორიები ჰქონიათ, მაგრამ უსამართლო ისტორიულმა ქარტეხილებმა მინიმუმამდე შეამცირა, როგორც წინაპართა რიცხვი, ასევე მათ მფლობელობაში მოქცეული მიწა-წყალიც.

ორი ათეული წლის წინ, ჩვენმა სამშობლომ დღევანდელი თაობის თვალწინ, უთანასწორო ომში, სადაც რუსეთის იმპერიაც გვებრძოდა, აფხაზებმა და ოსებმა უკანონოდ მიიტაცეს უძველესი ქართული მიწები, რისი დაბრუნებაც უპირველესი საზრუნავია ჩვენი ხალხისა.

ქართულ მიწას ილია ჭავჭავაძის დროიდან ხშირად მამულს უწოდებენ, რომელიც უფრო ფართო განზომილებას მოიცავს. **„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება“,** წარმოთქვა სრულიად ახალგაზრდა 23 წლის ილია ჭავჭავაძემ და იგი დღემდე ითვლება ერის საიდენტიფიკაციო საპროგრამო სიტყვებად.

უფრო ადრე 1790 წელს, როცა ყოველთა იბერიელთა გამაერთიანებელ ტრაქტატს ხელი მოეწერა, ასეთი შინაარსისა იყო: „ვინათგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთ, სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონენი, აქვსთ მავასხებლობითიც სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა...“ მაშინაც ივერიელთა გაერთიანების საფუძველი გახლდათ სარწმუნოება, ენა, სისხლით ნათესაობა და მამული, რათქმა უნდა საერთო ივერიელთა.

ისე, წარსულშიც ყოველთვის ყოფილა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ვერ წვდებოდა და ვერ აფასებდა ქართული მიწის მაცოცხლებელ მნიშვნელობას. მაგალითად XIX საუკუნის ეროვნულ თვითშეგნებაში სიტყვა-ცნება მამული ილია ჭავჭავაძის თქმით დავიწროებულია, დაკნინებულია და შელახულიც: „მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე... მამულის სიმაღლე“. ისმება კითხვა – დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ასეთად ხომ არა აქვთ წარმოდგენილი ქართული მიწა. უფრო მეტიც ალბათ ნეხვდაუყრელი მიწა შეიძლება უფრო იაფი ღირდეს, ამიტომ ხომ არ არის, რომ ხელაღებით და ასე ადვილად ყიდიან უცხოელებზე. ეჭვი ჩნდება, იციან თუ არა, რომ ამ მიწისთვის დაღვრილია რეალური ოფლი, რეალური სისხლი, რამაც შექმნა მისადმი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ქართველი ერისა. იგი სამშობლოსთან ერთად ქართველი კაცის ცოცხალი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია. დაისმის კონკრეტული კითხვა: მიწის გაყიდვასთან ერთად ჩვენი სამშობლოს ნაწილიც ხომ არ იყიდება, უფრო მეტიც ნაწილ-ნაწილ ჩვენც ხომ არ ვიყიდებით?

ნეტავ მომავალში ხომ არ იგეგმება ქართული მიწების მასიურად გაყიდვა, იმის მიზეზით, რომ ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების უმეტესი ნაწილი დაუმუშავებელია და აუთვისებელი. კაბინეტის ჩინოვნიკებმა რა თქმა უნდა ნიუანსებში არ იციან მიწის დამუშავების უაღრესად რთული პროცესი. ეს არ ხდება ისე ჰარი-ჰარალედ, მიწა დახანი, დათესე და მოსავალი შემოდგომით ნალიაში შეიტანე, ეს ხომ სერიოზულ ფინანსებზეა დამოკიდებული. გლეხს თუ ფერმერს ერთჯერადი ფინანსური დახმარება კვალიფიციურ მწარმოებელს ვერ გახდის, მას სჭირდება წლების განმავლობაში იაფფასიანი სესხი, რომ ის მოღონიერდეს და ამ მხრივ როგორც მწარმოებელი წელში გაიმართოს. მე ტელეეკრანებზე მოვუსმინე დეპუტატ გუგული მაღრაძეს, რომ ქართველი გლეხების გარშემო, სოფლად უამრავი მიწებია დაუმუშავებელი, რომ ისინი მას არ ამუშავებენ, ამიტომ ნოყიერი მიწები რომ არ გაცდეს, უცხოელებზე უნდა გაიყიდოსო. ასეთი მსჯელობა აბსურდად მიმაჩნია, ქართველი გლეხი უსაქმო და ზარმაცი კი არაა, არამედ ფინანსურად გაღატაკებული და უქონელია, თორემ ძლიერ სახელწიფოში ქართველი გლეხი მიწათმოქმედების გასაოცარი მცოდნეა და მეტად გამრჯე. იმის გამო, რომ ჩვენი სოფლების ღატაკი მოსახლეობა მიწას რომ ვერ ამუშავებს, ამიტომ ის კონკურსში რომ ჩააყენო არაბ, თურქ და ჩინელ მილიონერებთან, ეს უსამართლობა იქნება და ამის გამკეთებლებს უახლოეს მომავალში ბუმერანგივით დაუბრუნდება უკან. ერისა და ქვეყნის კატეგორიული მოთხოვნაა მტკიცედ დავიცვათ ჩვენი მოსახლეობის ინტერესები.

თავისი სამშობლოს ძირითად შემადგენელ ორგანიზმს ქართველმა ადამიანმა მოუძებნა შესაფერისი სიტყვები და მას წინ დაურთო დედა: დედა-სამშობლო, დედა-ენა, დედა-ბოძი, დედა-აზრი, დედაქალაქი და რა თქმა უნდა დედა-მიწა. აქედან ერთის გამოკლებით ჩვენი ცივილური ქვეყანა სრულყოფილი არ იქნება, ჩამონათვალში ერთი სიტყვაც გამომრჩა, რომელსაც ქართველი კაცი ხმარობს, მაშინ როცა მას ძალიან შეაწუხებ, დაამცირებ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებ – დედას გიტირებო იტყვის და შეგისრულებს კიდეც, რიდი გქონდეთ მიწის გამყიდველებს.

ახლა ცოტა რამ იმ გლობალურ ძალებზე, რომელიც რეალურად მოქმედებენ გარედან და შიგნიდან ჩვენს ერთს ციცქნა სამშობლო – საქართველოზე.

მსოფლიოში გეგმიური გლობალიზაციის პროცესი კარგა ხანია მოქმედებს და გარკვეული დადებითი თუ უარყოფითი შედეგები ბევრგან აშკარად ჩანს. იგი თავისით, თვითდინებით არ დაწყებულა, მას ყავს დამგეგმავი ზე-ეკონომიური შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც ძალიან სურთ დედამიწის ხალხთმოსახლეობა, მათ მიერ გასაიდუმლოებულ კანონზომიერებას და კონტროლს დაუქვემდებარონ, რისთვისაც ისინი მილიარდებს ხარჯავენ ხოლმე. ამ გლობალიზაციამ შესაძლებელია ბევრი ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე პროვინციული ადათ-წესები და ქაოსები აკრძალოს და სიახლეები შეიტანოს ხალხთა ცხოვრებაში. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამა თუ იმ ერში ათასეული წლობით შემონახული და გამყარებული, უბრწყინვალესი ადათ-წესები და ტრადიციები გააქროს, მათ შორის შეიძლება საქართველოც აღმოჩნდეს. ამიტომ ნაჩქარევად, ღრმა ანალიზის გარეშე გლობალიზაციის პრინციპების გატარების ინიციატორები და მებაირახტეები ნუ ვიქნებით ქართველები, ტოლერანტობა მჭადი არაა ყველას რომ მოუტეხო.

ისიც მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ მსოფლიო მარტო ამერიკა და ევროპა არ გახლავთ. მაგალითად ზოგი რამ რაც ამერიკასა და ევროპისათვის მისაღებია, აზიის ქვეყნებისათვის კატეგორიულად მიუღებელია. კერძოდ ერთსქესიანთა ქორწილი და თანაცხოვრება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოაგდო აშშ-მ და ევროპამ და რომლის დაკანონების მცდელობაა ჩვენს პარლამენტში, მსგავსი რეალობისათვის მუდმივი ციხეა ან დახვრეტა აზიის ქვეყნებში.

თუ ერთსქესიანთა თანაცხოვრების მასობრივი დაკანონება მოსახლეობის გამრავლების შესაჩერებელი ღონისძიებაა, რისთვისაც გლობალისტები მილიარდებს ხარჯავენ, მაშინ ასეთი კანონები ჩინეთიდან და ინდოთიდან უნდა მომდინარეობდეს, სადაც მთელი ხმელეთის 7%-ზე მსოფლიოს მოსახლეობის 70 %-ზე მეტი ცხოვრობს. მოსახლეობის გამრავლების რეგულირების მიზნით ჩინეთში დაშვებულია მშობლებისაგან მხოლოდ ერთი შვილის ყოლა, ამ დოგმას ჩინელი ხალხი გაგებით ეკიდება და ასრულებს კიდეც, რაც მისასალმებელია.

როგორც ცნობილია, საქართველოში ქართული მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია, ორი ათეული წელია რაც მათი რაოდენობა ინტენსიურად კლებულობს – აზერბაჯანელები და სომხები სწრაფად მრავლდებიან. ქართული მოსახლეობის ასეთი უჩვეულო კლების მიზეზი მრავალია, რომელთა შორის უმთავრესია ქვეყნიდან შრომისუნარიანი ახალგაზრდობის მასობრივი მიგრაცია, საზღვარგარეთის ქვეყნებში, რასაც ახლა კიდევ დაემატება მთავრობის მიერ ევროპის ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმება უვიზო მიმოსვლის შესახებ; მეორე მიზეზად ითვლება თითოშვილიანთა ოჯახების სიმრავლე; მესამეა მოსახლეობის ეკონომიური სიღატაკე, მეოთხე – აბორტების გაუკონტროლებელი სიმრავლე, მეხუთეა ბავშვების სიკვდილიანობა და სხვა.

გასაკვირი და გამაოგნებელი ის არის, რომ ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისი ბობოქრობს, ხოლო ხელისუფლება შესაშური სიმშვიდით გამოიყურება, სრულებითაც არ ფიქრობს გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმაზე, რაც ქვეყნის სტაბილიზაციას შეუწყობდა ხელს, რის დაყოვნებამაც შეიძლება დიდი აფეთქება გამოიწვიოს საზოგადოებაში.

და ბოლოს, ხელისუფლების მესვეურთა მომაჯადოებელი სიმშვიდე მაგონებს იმ მერცხლებს, რომლებმაც დააგვიანეს შორეულ, თბილ ქვეყნებში გადაფრენა და ისინი ჯგუფ-ჯგუფად ჩამომსხდარან ხოლმე ელექტრო თუ ტელეფონის მავთულებზე. მათ მოწყენილობა ეტყობათ, იმიტომ რომ ინტუიციით გრძნობენ მალე ამინდის გაუარესებას.

**სიმონ ზაქარაია**

# რას ვჭამთ და როგორ ვიმოსებით, ანუ, რატომ არ ადგენს მთავრობა რეალურ ფიზიოლოგიურ ნორმას?!

ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში უხეშად ირღვევა სასურსათო უსაფრთხოების პრინციპები, სურსათის მოხმარების ნორმები და, აქედან გამომდინარე, უარესდება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

განსაკუთრებით დაბალია სასიცოცხლოდ აუცილებელი ცილოვანი საკვების მოხმარება (ხორცის მოხმარება შემცირებულია – 2,5-3-ჯერ, თევზის – 4-5-ჯერ, რძის პროდუქტების 2, 3-ჯერ), პურისა და პურპროდუქტების 1,8-2,0-ჯერ მეტია ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით, რის გამოც საკვები რაციონის ენერგეტიკული ღირებულების თითქმის 62% პურპროდუქტებზე მოდის (განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი საკვებ რაციონში 12-15%-ს არ აღემატება).

2003 წელს, NATO-ს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის კომიტეტმა (FAPC), საქართველოს მოსახლეობის სურსათის მოხმარების მაჩვენებლები საგანგაშოდ ჩათვალა და საგანგებოდ აღნიშნა მდგომარეობის გამოსასწორების აუცილებლობის შესახებ.

ხელისუფლებამაც არ დააყოვნა და 2003 წლის 8 მაისს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით №111-ნ დაამტკიცა ახალი „ნორმა“ (სადაც სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ).

ამ ბრძანების თანახმად, ხორცის მოხმარების მაჩვენებელი 80 გრ/დღ ჩაითვალა „ნორმად“, რომელიც 2,5-ჯერ ჩამორჩება საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმას (200 გრ/დღ), რძისა და რძის პროდუქტების ნორმა შემცირდა 4,5-ჯერ (!) 960 გრამიდან 215 გრამამდე, ბოსტნეულის განახევრდა 370 გრამიდან 182 გრამამდე, შაქარი შემცირდა 100 გრამიდან 55 გრამამდე. ხოლო პურის მოხმარების ნორმა – 350 გრამიდან გაზრდილია 400 გრამამდე.

ამრიგად, ფიზიოლოგიურ ნორმად ჩაითვალა მინიმალური საკვების ის რაოდენობა, რის მიღებასაც მოსახლეობა ახერხებდა და მოხმარების მაჩვენებელიც ახალ „ნორმებს“ დაუახლოვდა, ზოგიერთი პროდუქტისთვის გადააჭარბა კიდეც (რძე და რძის ნაწარმი).

ასე მარტივად „მოგვარდა“ სასურსათო უსაფრთხოების დარღვევის საგანგაშო მდგომარეობა, ბიუჯეტიდან ხარჯების გაწევის და სათანადო ღონისძიებების გატარების გარეშე და ამ ე.წ. „ნორმების“ მიხედვით, ჩვენი მოსახლეობის მიერ სურსათის მოხმარების ვიზუალური სურათი „არც თუ ისე სავალალოდ“ გამოჩნდა. სასურსათო კალათაში მნიშვნელოვნად შემცირდა ძვირადღირებული პროდუქციის ჩამონათვალი და გაიზარდა შედარებით იაფი პროდუქციის რიცხვი (შ. ჩხეიძე).

სამწუხაროდ, ამ „ნორმების“ გადახედვით და გამოსწორებით დღემდე არც ერთი მთავრობა არ დაინტერესებულა და სასურსათო კალათას და საარსებო მინიმუმს ამ ნორმებით ანგარიშობს (ზოგადად სასურველი იქნებოდა სურსათის მოხმარების ნორმები იცვლებოდეს ზაფხულ-შემოდგომის და ზამთარ-გაზაფხულის პერიოდების და მთისა და ბარის რეგიონების მიხედვით).

ეს „ახალი სასურსათო კალათა“ 2016 წლის ივნისის მდგომარეობით 109.9 ლარის ღირებულების საარსებო მინიმუმს იძლევა, რაც მაინც მიუწვდომელია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის.

პრობლემის სპეციალური შესწავლით (რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდიკას ეყრდნობა) დადგინდა, რომ საქართველოში საარსებოდ მიღებული მინიმალური ნორმის შესაბამისი სასურსათო კალათის რეალური ღირებულება 172.5 ლარია, რომელიც 36.2 პროცენტით აღემატება ოფიციალურად მიღებულ – 109.9 ლარს.

საარსებო მინიმუმის გაანგარიშება საქსტატის მიერ ხორციელდება ე.წ. ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდის საფუძველზე – მიჩნეულია, რომ სურსათის წილი ამ მაჩვენებელში უნდა შეადგენდეს 70 პროცენტს (რაც არასწორია, რადგან ადამიანს, როგორც გონიერ არსებას სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნია. განვითარებული მსოფლიოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია, რომ ეს მაჩვენებელი საარსებო მინიმუმში 15-30% ფარგლებში უნდა მერყეობდეს), დანარჩენი 30 პროცენტით კი უნდა დაიფაროს ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, არასასურსათო საქონლისა და მომსახურების ღირებულება.

ეს ნიშნავს იმას, რომ რეალური საარსებო მინიმუმის ღირებულება – 246.4 (172.5+73.9) ლარი, 1.56 ჯერ მეტი იქნება დადგენილ – 157.1 (109.9+47.2) ლარზე თვეში. სასურსათო და სამომხმარებლო ხარჯების გათანაბრების (0.5/0.5) შემთხვევაში (რაც სწორი და სავსებით მისაღები გადაწყვეტილება იქნება), საარსებო მინიმუმის ღირებულება 345 (172.5+172.5) ლარს გაუტოლდება (ცნობისათვის: ეს მაჩვენებელი აზერბაიჯანში – 358 ლარია, სომხეთში – 230 ლარი, რუსეთში – 390 ლარი, ესტონეთში – 520 ევრო, სლოვენიაში – 830 ევრო, აშშ-ში 902,5 დოლარი, ნორვეგიაში – 2100 ევრო).

2006 წლის შემდეგ საარსებო მინიმუმის ამჟამად მოქმედ მეთოდოლოგიაზე გადასვლისას მყისიერად, 30 პროცენტით შემცირდა მისი ღირებულება (დაბალანსებული კვების რაციონის ნაცვლად ნორმატიულ ბაზაში შეტანილ იქნა შედარებით ნაკლებად ღირებული საკვები პროდუქტები, ანუ მაქსიმალურად შეიზღუდა ცხოველური წარმომავლობის საკვები პროდუქტების წილი). აღსანიშნავია, რომ საარსებო მინიმუმის ახლანდელ კალათაში სურსათის კალორიულობა შეფასებულია 2300 კკალ-ის დონეზე, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდებულ ნორმაზე (2450 კკალ) საგრძნობლად ნაკლებია. ჩვენს მირ შესრულებული გაანგარიშება ამ უკანასკნელ რაციონალურ ნორმას ემყარება.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს საარსებო მინიმუმში სურსათისა და დანარჩენი სამომხმარებლო საქონლის თანაფარდობა პროპორციით 0.7/0.3. ეს პროპორცია სასწრაფოდაა შესაცვლელი – უნდა მკვეთრად შემცირდეს სასურსათო კომპონენტის წილი და გაიზარდოს არასასურსათო კომპონენტის წილი (ეს იმ დროს, როდესაც ინფლაციის გასაანგარიშებელ კალათაში სურსათის წილი წლიდან წლამდე მცირდება და ამჟამად 30 პროცენტს არ აღემატება). ამ შემთხვევაში, თვით ამჟამად მოქმედი მინიმალური სასურსათო ნორმისა და სადღეღამისო კალორიულობის შენარჩუნების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაიზრდება საარსებო მინიმუმის ღირებულება (109.9 +109.9) 219,8 ლარი.

აღნიშნული ცვლილებით საარსებო მინიმუმის ღირებულება საგრძნობლად მიუახლოვდება მის ფაქტობრივ დონეს, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება აგრეთვე ამჟამად კატასტროფულად დაშორებული „საარსებო მინიმუმისა“ და „სიღარიბის“ ცნებათა შინაარსობრივ დაახლოებისკენ.

**პაატა კოღუაშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

# ნაციონალების აქციაში ჩართვა და გააქტიურება კიდევ უფრო ბევრ შეკითხვას აჩენს

სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე ჩნდება, სულერთია ხოლმე, ვინ თამაშობს „სასარგებლო იდიოტის" როლს; ვინ არის პროვოკაციული ჯაჭვის ერთ-ერთი საწყისი რგოლი. კარგად ორგანიზებული პროვოკაცია კი არა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ქვები მოიმარაგო და ზუსტად იცოდე, ვინ რა როლი უნდა ითამაშოს უკვე შემდეგ მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად, არამედ ისიც კარგად უნდა გათვალო, რომ არეულობის კვალი შენამდე არ მოვიდეს.

არ არის გამორიცხული, ბათუმში „სასარგებლო იდიოტის" როლში მერაბ ღოღობერიძე აღმოჩენილიყო. „ნაციონალური მოძრაობა" ახლა ამ პირთან ყოველგვარ ურთიერთობას უარყოფს და არგუმენტად ღოღობერიძის წარსული საქმიანობა მოჰყავს – ის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის სახლს, აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, ქვებს უშენდა.

მაშინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დარწმუნებით აცხადებდა, რომ აქცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული.

ამ არგუმენტის ლოგიკა ასეთია: ნაციონალები იმ პირს ხომ არ შეეკვრებოდნენ, რომელიც ადრე მათ ქვებს უშენდა? დამეთანხმებით, სუსტი არგუმენტია, პოლიტიკური ინტერესები და ამბიციები ასეთ ფაქტორებს არ ცნობს. ამის მაგალითი ქართულ პოლიტიკაშიც საკმარისზე მეტია. იგივე ნაციონალებმა ნინო ბურჯანაძეს პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი ეძახეს და ყველა პარტიას, ვინც მასთან მოლაპარაკებებს მართავდა, მოღალატეებად მოიხსენიებდნენ, თუმცა, ახლა თავად ნაციონალები თანამშრომლობენ აქტიურად მის პარტიასთან სხვადასხვა ფორმატში. ასე რომ, ღოღობერიძის წარსული არგუმენტად აქ არ გამოდგება.

არსებობს მედლის მეორე მხარე და ამ მხარეზე მიხეილ სააკაშვილი დგას საკუთარი სერიოზული რევოლუციური განწყობებით. „ენმ"-ს გაყოფაც სწორედ მის გეგმებთან შეუთავსებლობამ გამოიწვია. ახლა ამბობენ, რომ მას გიჟური გეგმები ჰქონდა და მუდმივად ითხოვდა ხალხის ქუჩაში გამოყვანას და ხელისუფლების რევოლუციის გზით დამხობას. „ენმ"-დან გამოყოფილ პოლიტიკოსებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ისინი ვერ ხედავენ რევოლუციის მოწყობის ვერც აუცილებლობას და ვერც საჭიროებას, რომ დემოკრატიული პროცესები ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილებას გულისხმობს.

შემთხვევითი არ არის, რომ „ენმ"-ში დარჩენილმა რადიკალებმა ბათუმის აქციას – და ეს მაშინ, როცა აქციის მონაწილეები მანქანებს წვავდნენ, პოლიციელებს ქვებს უშენდნენ და სახიფათო ლოზუნგებს ისროდნენ – სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და სოლიდარობის აქციები მოაწყვეს როგორც ქუთაისში, ისე ზუგდიდსა და თბილისში. დედაქალაქში ნიკა რურუა და აკო მინაშვილი გამოვიდნენ. მოგვიანებით კი „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა და მიხეილ სააკაშვილის სტუდენტობის მეგობარმა ლევან ვარშალომიძემ მეორე დღეს, ანუ კვირა საღამოს აქცია დააანონსა და მოსახლეობას ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. სოციალურ ქსელებში კი გაისმა პოლიტიკური მოწოდებები: გადადგეს მთავრობა, დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.

ყველაფერი კი „სასარგებლო იდიოტიდან" დაიწყო. საუბარია მერაბ ღოღობერიძეზე, რომელიც სახიფათო და პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდა (ჩვენ შეგნებულად არ ვახდენთ მისი ფრაზების ტირაჟირებას). საინტერესოა, რომ შაბათის აქციამდე რამდენიმე დღით ადრე მან რამდენჯერმე სცადა აქციების გამართვა, თუმცა მხოლოდ ოთხი ადამიანი შეუერთდა, რაც იმას ნიშნავს, რომ აჭარაში არანაირი ნეგატიური განწყობები არ არსებობდა. ადგილობრივმა ჟურნალისტებმა „პრაიმტაიმთან" პირად საუბრებში აღნიშნეს, რომ ღოღობერიძე სწორედ „ნაციონალურ მოძრაობასთან" ურთიერთობდა ბოლო დროს. ამ კონტექსტში სოცქსელებში გაიჟღერა ელგუჯა ბაგრატიონის გვარმა, რომელიც აჭარაში ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერია.

ადგილობრივების თქმით, აქცია აშკარად კარგად ორგანიზებული იყო და თითქოს ყველამ კარგად იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და როგორ უნდა ემოქმედა. აქციის რადიკალურად განწყობილ მონაწილეებს სახე დაფარული ჰქონდათ და ჟურნალისტებს ეუბნებოდნენ, ნუ გვიღებთ, პოლიცია ამოგვიცნობსო.

ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ აქციაში ბათუმელების ძალიან ცოტა ნაწილი მონაწილეობდა, სოციალურ ქსელშიც აჭარის მოსახლეობა ამბობს, რომ ისინი ამ აქციას არ შეერთებიან.

კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, ბათუმელი გიორგი გოგიბერიძე თავის ქალაქში მომხდარ არეულობას სოციალური ქსელით ეხმაურება:

**„ბათუმელები არაა ეს ხალხი!**

**ჩემი რამდენიმე მეგობარია იქ, რომლებსაც ახლომახლო კომერციული ფართი აქვთ ნაქირავები. ბათუმელი ვერავინ ვნახეთო, არადა 37-40 წლის ხალხია... სახეზე მაინც იცნობენ ბათუმელებს! ნუ, გარდა ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლისა...",** – წერს გოგიბერიძე.

წინასწარი ინფორმაციით, მთავარი მამოძრავებელი ძალა კობა ხაბაზი და მისი „თავისუფალი ზონა" იყო, რომელიც, ასევე, მიხეილ სააკაშვილზეა მიბმული. თავად ხაბაზი შაბათს საღამოს, ნიკა რურუასთან და აკო მინაშვილთან ერთად, თბილისში პარლამენტის წინ გამოჩნდა. ipress.გე წერს:

**„მათ [აქციის მონაწილეებს] თავიანთი მოთხოვნები აქვთ, რომელსაც ხელისუფლების წარმომადგენლებს უყენებენ. ეს მოთხოვნები გააჟღერა ირაკლი ჩხვირკვიამ, რომელიც მედიასთან ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის" სახელით ურთიერთობს.**

**მისი თქმით, ის სპეციალურად ჩავიდა ბათუმში იმისთვის, რომ ამ ხალხს გვერდით დასდგომოდა.**

**ჩხვირკვიამ ბათუმში, ნიღბიანებთან ერთად, სპეციალური განცხადება გაავრცელა და ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა.**

**ჩხვირკიამ მოითხოვა, საპატრულო პოლიციის უფროსის გადაყენება. ის არეულობაში მონაწილეების სახელით ითხოვს შს მინისტრთან შეხვედრას და მისგან აღნიშნული პირებისთვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიღებას. მან ხელისუფლებას 1,5 საათი მისცა და პირობა დადო, რომ ამ დროის განმავლობაში ქვების სროლა არ გაგრძელდება:**

**„მე მინდა ამ ბიჭების სახელით ვთქვა, რომ არ იქნება ქვების სროლა, არ იქნება ცეცხლის დანთება და არაფერი. ვიდგებით მშვიდობიანად, მოწესრიგებულად, ისე, როგორც აჭარელ და ქართველ ხალხს შეეფერება".**

ინფორმაციისთვის: არეულობა მოჰყვა ინციდენტს, რომელიც მოქალაქესა და საპატრულო პოლიციის თანამშრომელს შორის მოხდა – პოლიციელმა არასწორი პარკირებისთვის მოქალაქეს ჯარიმა გამოუწერა. როგორც მოქალაქე ჯიმი ვარშანიძემ განაცხადა, ის ძმის სასაფლაოდან მოდიოდა, მანქანაში მამა ეჯდა და მისთვის აფთიაქში სასწრაფოდ წამალი უნდა შეეძინა, თუმცა ეს ვითარება საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა არ გაითვალისწინა და ჯარიმა მაინც გამოწერა.

ვარშანიძემ პატრულს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაც შემდეგ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. ინციდენტში იქვე მყოფი გამვლელებიც ჩაერთვნენ, რომლებმაც მამა-შვილის დაცვა სცადეს. პოლიციამ ინციდენტის ადგილას 6 ადამიანი დააკავა, მათ შორის ჯიმი ვარშანიძეც.

ამის შემდეგ უკვე აქცია სერიოზულ და სახიფათო ხასიათს იღებს და აქტიურობს როგორც მერაბ ღოღობერიძე თავისი პროვოკაციული ლოზუნგებით, ისე „თავისუფალი ზონა"...

კიდევ უფრო სახიფათო განმარტება გააკეთა მერაბ ღოღობერიძემ უკვე კვირას, ვანდალური აქციის მეორე დღეს. მან თქვა, რომ რასაც აპროტესტებდა, ეს თავად კი არ მოისმინა, არამედ ასე გადასცეს. „სუფრასთან, სადაც ბატონი კახა ბუხრაძე [საპატრულო პოლიციის უფროსი, ვის გადაყენებასაც მოითხოვდა ღოღობერიძე] ადგილობრივ პოლიციელებთან და მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, იქ მან ჰომოფობიური განცხადებები გააკეთა. რაც სააშკარაოზე გამოიტანეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. მე პირადად არ მომისმენია, გადმოცემით ვიცი", – აღნიშნა ღოღობერიძემ „რუსთავი 2"-თან ინტერვიუში.

გამოძიება მიმდინარეობს... საინტერესოა, რომ დაკავებულებიდან არც ერთი არ ადასტურებს პოლიციის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლას, ისინი არ უარყოფენ, რომ მანქანა არასწორად ჰყავდათ გაჩერებული, ღოღობერიძე აცხადებს, რომ ეგრეთ წოდებული ჰომოფობიური განცხადებები საპატრულო პოლიციის უფროსისგან პირადად მას არ მოუსმენია და მხოლოდ გადმოცემით იცის, ვისგან – არ აკონკრეტებს... და მაშინ ნაციონალების აქციაში ჩართვა და გააქტიურება კიდევ უფრო ბევრ შეკითხვას აჩენს...

## გოგი კუპრეიშვილი: უგულავამ ჩემი კაბინეტი გადატენა იარაღით, იძახებდა ბიზნესმენებს და ფულს აწერდა!

**„მე ჯერ კიდევ არჩილ კბილაშვილს შევხვდი, როცა მთავარი პროკურორი იყო, დავწერე განცხადება და მცნეს დაზარალებულად. ხმამაღლა ვაცხადებ: ჩემი დაკავების პროცესს თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე, გივი თარგამაძე. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები: გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, გიორგი ღვინიაშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ეს ხალხი განსაზღვრავდა ნებისმიერი ადამიანის ბედს მიშა სააკაშვილის დადგენილების მიხედვით, ეს ხალხი იყო თავად კანონი",** – ამის შესახებ აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი ექსპრესსინფო-სთან მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

**„2004 წლის მარტში, აპრილში, თებერვალში ჩემგან ითხოვდნენ, რომ მიმეწოდებინა ინფორმაციები და ოჯახთან ერთად გადმოვსულიყავი თბილისში, კონსპირაციულ ბინაში საცხოვრებლად, როგორც ასლან აბაშიძის რეჟიმს გამოქცეული გენერალი. მე ეს არ შევასრულე და ამიტომაც დამსაჯეს.**

**ეს შემომთავაზეს ზურაბ ადეიშვილმა და ამირან მესხელმა. 2004 წლის 12 მარტს პირადად მესაუბრნენ. როდესაც ესენი შემოვიდნენ აჭარაში, გიგი უგულავა მოვიდა და დაჯდა ჩემს კაბინეტში, 5 რიცხვში რომ შევიდა, 11 რიცხვამდე იჯდა.**

**ჩემი კაბინეტი გადატენა იარაღით, იძახებდა ბიზნესმენებს და ბოლომდე წეწავდა, ფულს აწერდა. ასევე ორგანიზებას უკეთებდა ძვირადღირებული აპარატურის გატანას, ასევე ძვირადღირებული ხატებისა და სხვა ძვირფასი ნივთების გატანას. ეს იყო კონტრაბანდული გზით გატანისას ჩამორთმეული ხატები და ნივთები. არსებობდა კატალოგი, სადაც ეწერა მონაცემები და ინახებოდა უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ ოთახში, სხვაგან სად უნდა შეგვენახა? ეს გახლდათ მართლმადიდებლური ეკლესიის ხატები, თანაც ძალიან ძვირადღირებული. ასეთი რამის გატანა აკრძალულია. სად წაიღეს, არ ვიცი. რაც კი უშიშროების სამინისტროში ღირებული იყო, ყველაფერი წაიღეს. ვიმეორებ, ძვირადღირებული აპარატურაც გაზიდეს, ამას ვადასტურებ, ოღონდ სად წაიღეს, არ ვიცი. ჭურჭელიც კი წაიღეს, ხომ წარმოგიდგენიათ? სოსო გოგიტიძის კაბინეტიდან ოდეკოლონები, პერანგები და ფეხსაცმელები გაზიდეს. ესენი ახლა რაღაც კანონებზე და ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, სირცხვილი არ არის? 320 ათასმა კაცმა გაიარა მაგათ წნეხში, სად არიან ეს ადამიანები?!**

**როდესაც გიგი უგულავა ჩემს კაბინეტში დაჯდა, მისი განკარგულებით გადმომიყვანეს თბილისში, იმ დროს გამომწყვდეული ვიყავი მოდულის შენობაში, "კაპეზეში". შემდეგ იქიდან გამამწესეს ორთაჭალის ციხეში. წელიწადი და ერთი თვე ახლობლებს არ მაკარებდნენ, ბავშვების სურათები მოვითხოვე, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა ციხის ადმინისტრაციას აუკრძალეს, სურათები არ გადასცეთ, გოგი კუპრეიშვილი ინერვიულებსო. წარმოგიდგენიათ, როგორი ცინიკოსები და დაუნდობლები იყვნენ? წელიწადი და ერთი თვე მხოლოდ ეკა ბესელია შემოდიოდა ჩემთან, ოჯახის წევრებიც კი ვერ მნახულობდნენ. ესენი ლაპარაკობენ დღეს ევროპულ ღირებულებებზე? ამათი პროკურორი ითხოვდა 12 წელს, მაგრამ მომისაჯეს 8 წელი, თითქმის 5 წელი ვიჯექი. 2 წელი შეწყალება გამიკეთა პატრიარქმა, მადლობა ამისთვის. თითქმის 10 წელი დავკარგე ამათთან ჭიდაობაში, ცხოვრების საუკეთესო წლები. ამ პერიოდში საკუთარ შვილებსაც კი არ მაჩვენებდნენ.**

**მოგვიანებით გივი თარგამაძეს ჩოლოქზე შევხვდი და ვილაპარაკეთ. მე ეს ყველაფერი გავაკეთე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეო. მან ვახტანგ კომახიძეზე თავდასხმის საქმე შემითითხნა, ტერაქტის ორგანიზებაში დამდო ბრალი, ვერ დამიმტკიცა და ბოლოს ზურაბ ადეიშვილმა მოიგონა ასანიძის საქმე, თითქოს მე ვლახავდი მის უფლებებს, ციხეში მყავდა უკანონოდ გამომწყვდეული. ადეიშვილმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთში ამაზე ხმას არავინ ამოიღებდა, მე ხომ ადამიანის უფლებებს ვლახავდი? თენგიზ ასანიძეც დაარწმუნეს, შენი მტერი გოგი კუპრეიშვილიაო. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე. 2005 წლამდე ასანიძესთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მის მეუღლესთანაც და მთელ ნათესაობასთანაც, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, რა უთხრეს, არ ვიცი, სასამართლო პროცესზე ყველამ აქეთ შემომიტია. არაფერი აღარ აინტერესებდათ, ჯოხი საბოლოოდ ჩემზე გადატეხეს.**

**მე ბრალს ვდებ ექვსეულს, გიგი უგულავა ერთ-ერთი იმათთაგანია. ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში და სჩადიოდა უამრავ დანაშაულს. გარდა იმისა, რომ მე ჩამსვეს ციხეში, წამართვეს ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა. სასამართლო წესით დაუსაბუთებლად ჩამითვალეს",** – განაცხადა კუპრეიშვილმა.

## გელა ზედელაშვილი: *წიკლაურმა გარიცხა ჩხვირკვია პარტიიდან, ნამუსი აღარ არი?!*

ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს:

**"გავიგე, ირაკლი ჩხვირკვია გაურიცხავთ "ნაცმოძრაობიდან", ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით ვირეშმაკულ განცხადებებს აკეთებდაო!**

**მაგ ლოგიკით ნუგზარ წიკლაურიც უნდა გაირიცხოს პარტიიდან და კიდევ ისინიც, იმ ღამეს პარლამენტის წინ რომ მიბლაყუნდნენ და ბათუმში განვითარებულ ვანდალურ მოვლენებს სოლიდარობა გამოუცხადეს!**

**ვა... ესე იგი, წიკლაურმა გარიცხა ჩხვირკვია პარტიიდან, ნამუსი აღარ არი?!",** – წერს ზედელაშვილი.



სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ხარჯების დაზოგვის მიზნით, ხშირად მეც არ მივდიოდი ნაკრების თამაშებზე



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა აცხადებს, რომ ხშირ შემთხვევებში, ნაკრების გასვლით თამაშებზე, ეკონომიის გაკეთების მიზნით, არ დადიოდა.

**– როდესაც საქართველო-ყაზახეთის თამაშზე დახარჯულ 260 ათას ლარზე სფფ-სა და სპორტის სამინისტროს განმარტების გაკეთება მოუხდა, მათ განაცხადეს, რომ დავინტერესებულიყავით, წინა ხელმძღვანელობის დროს, რა თანხები იხარჯებოდა თამაშებზე და ვინ დადიოდა გასვლით თამაშებზე. იქნებ გვითხრათ, რა იხარჯებოდა ვინ დადიოდა თამაშებზე?**

– არ ვიცი, ჩვენ ვინ დაგვყავდა, რადგან, ხშირ შემთხვევაში მეც არ დავდიოდი თამაშებზე, ვიცე-პრეზიდენტი დაჰყვებოდა. იქ, ადგილზე ფედერაციის წარმომადგენლებთან შესახვედრად, რადგან თუ არ წაჰყვებოდა ვინმე, ლამაზი ტონი არ იყო. ჩვენ ყოველთვის ვზოგავდით ხარჯებს და ეს საბუთები გააჩნია სამინისტროს. ჩარტერი ყოველთვის ძვირია. ფეხბურთელები ყოველთვის გყავს მოწვეული. ის ამ ჩარტერს უკან არ მიჰყვება. პირიქით, იქიდან მიდის თავის გუნდთან.

**– ჩარტერები არ ყოფილა, მაგრამ ორი გასვლითი შეხვედრა, ჯამში, ფედერაციას 277 ათას ლარზე მეტი დაუჯდა.**

– კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, თანხა, რომელიც იდება, ყოველთვის რეალურია. თქვენ უნდა მოიძიოთ იჯარა, რაშია ფული გადახდილი, რა დაჯდა ტრანსპორტირება. სასტუმრო, ხანდახან, რომელშიც შენ ცხოვრობ, ღირს 1000 ლარი, მაგრამ როდესაც სეზონი არ არის, შესაძლოა აიღო 300 ლარად. ესეც შეღავათია. ფეხბურთელი დიდ ენერგიას ხარჯავს და მას სხვანაირი კვება სჭირდება. თევზი, ქათამი, ხორცი, ბრინჯი, მაკარონი და ა.შ. დილის კვება, ვარჯიშის წინ, სულ სხვადასხვაა, დამატებით ვიტამინები. ყველა ნაკრებს ჰყავს ექიმი, რომელიც წერს თავის მოთხოვნებს, მწვრთნელი – თავისას. რამდენი ვარჯიში უნდა, სად, რომელ საათზე, როგორ უნდა მიიყვანო, ავარჯიშო. საჭიროა წამლები. არ შეიძლება ჩვენი დროინდელი და დღევანდელი ფედერაციის შედარება. მაშინ დოლარის კურსი იყო 1,72 ლარი, დღეს არის 2,50.

**– მაშინ, როდესაც სფფ-ს ახლანდელი ხელმძღვანელობა თქვენს მიერ დატოვებულ ვალებზე საუბრობს, რამდენად ეკონომიურია 260.000 ლარი ერთ ამხანაგურ შეხვედრაში?**

– ამხანაგური თამაშები ყოველთვის საჭიროა.

**– საჭიროებაზე არ ვსაუბრობთ...**

– აგიხსნით, თქვენ გყავთ მანქანა და მიდიხარ, საწვავს ასხამთ. დღეს ბენზინი ღირს 1,2 ლარი. სამ დღეში ღირს 2,2 ლარი, აქედან გამომდინარე, არ ჩაასხამთ? მოთხოვნას დღევანდელი ეკონომიური საფუძველი აქვს. ვიღაცამ რაღაც არასწორად კი არ გააკეთა, ვიღაცას შეიძლება დაეზარა. ჩემი მხრიდან, ვამტყუნებ ქვედა რგოლებს. რატომ მათ? მათ უნდა ირბინონ, მოძებნონ საუკეთესო შემოთავაზება. პრეზიდენტს, ტექნიკურ ან სპორტულ დირექტორს, არასდროს გაუჩნდება იმის ეჭვი, რომ ადამიანი, ვისაც ეს ევალება, დაეზარა და ვისაც დაურეკა, ის შეთავაზება მოიტანა. ყოველთვის ვფიქრობ, რომ იმ ადამიანს, 6-7 შეთავაზებიდან საუკეთესო მოაქვს. ამაზე მქონდა სულ ჩხუბი და კამათი. მოვუსმინე სპორტის სამინისტროს, ვეთანხმები. ისინი ყოველთვის უკეთებდნენ ამას ძლიერ კონტროლს.

**– ყველანაირ მოთხოვნას გააჩნია თავისი განმარტება, თუ როდის და რისთვის არის საჭირო. ოდესმე გაგიგზავნიათ სამინისტროში მოთხოვნა, რომ ეს არის სახელფასო თანხა უბრალოდ და დაუმტკიცებიათ მათ?**

– რა თქმა უნდა. სახელფასო თანხას, კონტრაქტით, წლის დასაწყისში უთანხმებ.

**– ვის ხელფასებზეა საუბარი?**

– რა თქმა უნდა, მწვრთნელების.

**– სწორედ ამას გეკითხებით, სხვა ყველა შემთხვევაში მითითებულია მწვრთნელი, ერთგან კი მხოლოდ ზოგადად სახელფასო თანხაზეა საუბარი...**

– ამას დანართი ექნება აუცილებლად. როდესაც წლის დასაწყისში ყალიბდება ბიუჯეტი, იქ ზუსტად არის მითითებული, რომ ეს თანხა არის სახელფასო ფონდი. ეროვნული ნაკრები ყოველთვის ცალკეა და მას თავისი ბიუჯეტი აქვს, შემდეგ მოდის ცალკე ასაკობრივი ნაკრებები, ქალთა ფეხბურთი, ჩემს დროს ასე იყო. შეიძლება ერთი მოთხოვნით გამოიძახო თანხა. ჩემს პერიოდში, კვარტალურად ვწერდით, რომელ თვეში, რა თანხა დაგვჭირდებოდა ნაკრებებისთვის, მაგრამ ხელფასი არ იცვლება.

**– ჩემი ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ზუგდიდში კენჭისყრას აპირებ. ამასთან დაკავშირებით, ვიცე-პრემიერი, კახი კალაძე, წინადადებით დაგიკავშირდათ. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს და რა გეგმები გაქვთ არჩევნებთან დაკავშირებით?**

– არა, ასეთი შემოთავაზება არ ყოფილა. ვიცი, რომ წელს ზუგდიდში იქნება არჩევნები. ყოველთვის ხუმრობით ვამბობდი, როდესაც მეკითხებოდნენ, სად ხარო, სოფელ მონაკოში-მეთქი. იმიტომ სოფელი, რომ ჩემთვის არის ერთი ქალაქი, ეს არის ჩემი ზუგდიდი.

**– დამოუკიდებლად ფიქრობთ მონაწილეობაზე?**

– არ გამოვრიცხავ, ეს არის ჩემი ქალაქი. იმიტომ კი არა, რომ მინდა ახლა ვთქვა, ქალაქში არის პრობლემები და მინდა დავეხმარო ქალაქს. თუ რამე შემიძლია ჩემი ქალაქისთვის გავაკეთო, დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი. იმიტომ, რომ მე იქ გავიზარდე, იქ არის მამაჩემის სასაფლაო, დედაჩემი, ჩემი სახლი და ამიტომ არაფერს არ გამოვრიცხავ.

**– რომ იყოს „ქართული ოცნებიდან" შემოთავაზება არჩევნებში მათი პარტიული სიით მიიღოთ მონაწილეობა, გამორიცხავთ თანამშრომლობას?**

– ამ ცხოვრებაში არაფერს გამოვრიცხავ. გეტყვით ერთ რაღაცას. ეს არის თვითმმართველობა, რაც გულისხმობს მენეჯმენტს ანუ მართვას. ეს არის მთლიანობაში სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, განათლება, ჯანდაცვა და სხვა ყველაფრის ერთობა. პატარა ოჯახია, რომელშიც რაღაც უნდა გააკეთო. ეს არ არის პოლიტიკური სტატუსი. არ ვიცი, საერთოდ პარტია რა შუაშია. აქ არის ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ უნდა მართო წარმოება, სხვა არაფერი.

**– საბოლოო გადაწყვეტილება არ გაქვთ მიღებული ჩაერთვებით თუ არა არჩევნებში?**

– როგორ გითხრათ, გადაწყვეტილებას რაც შეეხება, ვფიქრობ ამაზე. „დათა თუთაშხიაში" რომ არის, წისქვილი ისეთი ადგილია, ფიქრის მეტი რა გამიკეთებიაო, ემიგრაციაში ამაზე მეტი რა მიფიქრია, როგორ დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში, რით შემიძლია დავეხმარო და რა გავაკეთო ჩემი გულისთვის, ჩემი ქალაქისთვის, ჩემი სახლისთვის. ეს ფიქრი სულ მაწუხებს, ყოველდღე ამაზე ვფიქრობ, მაგრამ ახლა რომ გითხრათ, ვზივარ და სულ ამაზე ვფიქრობ, ჩემთვის ეს დაახლოებით ასეთი რამეა, შენ რომ იყო სკოლის დირექტორი, ან საავადმყოფოს მენეჯერი, ან სახანძროს დირექტორი, ხომ ფიქრობ, რომ ყველაფერი იყოს თავის ადგილზე, წყალი იყოს ხელის დასაბანი, აქ საჭმლის ადგილი, აქ დასაძინებელი. ეს შენი სახლია. მე მაწუხებს ყველა ის პრობლემა, რაც არსებობს ზუგდიდში. დღეს არ არსებობს თეატრი ზუგდიდში. არ არის გასართობი ცენტრები, ბავშვებისთვის საჭირო ადგილები. ეს შესაძლოა ასაკის ბრალიც იყოს, როდესაც გადაცდები 50 წელს, სხვანაირად უყურებ ყველაფერს. როდესაც 20 წლის ხარ, შენ არ გადარდებს ის, სადაც მიჰყავთ შენი შვილები, რას აკეთებენ და როგორ მოღვაწეობენ, შენ სულ სხვა ქუჩაზე ხარ და სხვანაირად უყურებ ცხოვრებას. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც უნდა იზრუნო შენს ქუჩაზე, შენს ქალაქზე, შენს რეგიონზე და საერთოდ, შენს ქვეყანაზე.

## თამბაქოს მომაკვდინებელი შემადგენლობა

სიგარეტში, გარდა ქაღალდისა და თამბაქოსა კიდევ 597 ინგრედიენტია.

**თამბაქო** – მწვანედ შეფოთლილი მცენარე, რომელიც თბილ კლიმატურ პირობებში იზრდება. მისი გადამუშავებისას ფერმერები სხვადასხვა არომატებსა და დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს ურევენ.

თამბაქოს მწარე გემოს გადასაფარად ამატებენ ნივთიერებას, რომელიც კარგ გემოს სძენს, ამან კი სულ უფრო მეტი ადამიანი გახადა სიგარეტზე დამოკიდებული.

**ამიაკი** – ამატებენ, რათა ნიკოტინის ბოლი სწრაფად გაჯდეს ფილტვებში.

კიდევ რამდენიმე ინგრედიენტი, რომლებიც სიგარეტს უფრო გემრიელსა და არომატულს ხდიან:

**ნიკელი** – შხამი, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემებს იწვევს;

**ბენზოლი** – გამოიყენება საღებავის შესაქმნელად;

**დარიშხანი** – თაგვის საწამლავის მოსამზადებლად იყენებენ;

**ბუტანი** – თხევადი აირი, რომელსაც სანთებელა შეიცავს;

**ნახშიროჟანგი** – მომწამლავი აირი;

**კადმიუმი** – ბატარეებისა და აკუმულატორების საწარმოებლად გამოიყენება;

**ციანიდი** – მომაკვდინებელი შხამი;

**DDT** – მომაკვდინებელი გაზი;

**ეთილის ფუროატი** – აზიანებს ღვიძლს;

**ტყვია** – ძლიერი მომწამლავი;

**ფორმალდეჰიდი** – გვამების ბალზამირებისა და შესანახად გამოიყენება;

**ნაფტალინი** – განმარტება არ სჭირდება;

**მეთილიზოციანატი** – 1984 წელს, ინდოეთში, მისმა შემთხვევითმა გაჟონვამ 2 000 ადამიანი იმსხვერპლა;

**აცეტონი** – განმარტება არ სჭირდება;

სიგარეტზე საუბრისას კი, მხოლოდ სამ შემადგენელ ნაწილს ახსენებენ: ნიკოტინი, ფისი და ნახშიროჟანგი.

**ნიკოტინი** – ძლიერი შხამი, რომლის 1 წვეთი ცხენს კლავს;

**ფისი** – ნივთიერება რომელიც ფილტვებზე რჩება, შედეგად ფილტვები შავდება და ხველება გეწყებათ;

**ნახშიროჟანგი** – შხამიანი აირი, რომელიც ხელს უშლის სრულფასოვან სუნთქვას, აზიანებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ ფიქრობ, რომ თამბაქოს მოწევას თავს ვერასდროს დაანებებ, იქნებ ამ სტატიის შემდეგ მაინც დაკარგო მოწევის სურვილი. გაუფრთხილდი შენსა და გარშემომყოფების ჯანმრთელობას!

ანა ვერძაძე

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სააკაშვილის რეჟიმის პერიოდის პოლიტპატიმარი**

## რევაზ ბულია

**უფალმა გაანათლოს განსვენებულის სული...**

**„ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა სააკოვის ბინძური რეჟიმის მიერ რეპრესირებული ყოფილი პოლიტპატიმარი, უწესიერესი კაცი რეზო ბულია უკანასკნელ გზაზე გააცილეს...", – ამის შესახებ ჟურნალისტი ზაზა დავითაია სოციალურ ქსელში წერს.**

**„კაცს სრულიად უსაფუძვლოდ დააბრალეს შეიარაღებული გადატრიალების მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობა და 4,5 წლით ციხეში გამოკეტეს... ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, არამცთუ სამართლიანობის აღდგენას ვერ ეღირსა, ამ ხელისუფლებამ მისთვის პოლიტპატიმრის სტატუსიც არ გაიმეტა!**

## იუმორი

კახელმა ხელი მოიტეხა. მეგობარმა უთხრა: – არა უშავს, ქორწილამდე მოგირჩებაო და ტკივილით შეწუხებულმა კახელმა მეორე დღესვე ცოლი მოიყვანა.

* * *

მოწმის ჩვენება სასამართლოში:

– ბრალდებულმა ფარდულიდან ნაჯახი გამოიტანა და დაზარალებულს თავში ჩასცხო... არადა, მაგ ვირიშვილს წინადღეს ვთხოვე, ნაჯახი მათხოვე-მეთქი და თავი მოიკლა, არა მაქვსო.

* * *

– ალო, კოწია ხარ?

– დიახ, ბატონო!

– შენი ცოლი გავიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია.

– გასაგებია, რა არის საჭირო?

– 3 ათასი დოლარი საღამომდე მოიტანე, თორემ, ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ!

* * *

– რას მირჩევ, – ეკითხება ძმაკაცი ძმაკაცს, – მდიდარი, ბინიანი, ფულიანი ქვრივი შევირთო თუ ღარიბი, მაგრამ ახალგაზრდა და ლამაზი გოგო?

– რა თქმა უნდა, ქვრივს ლამაზი და ახალგაზრდა გოგო სჯობია!.. რაო, რა თქვი, სად ცხოვრობს ის ქვრივი?


**გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.**



დომენტი გაგნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48



**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge